




ისტორიული მემკვიდრეობა

სამათეორო-კონფლიქტული ჟურნალი, 2013 წ. აგვისტო, №8 (37), ფასი 3 ლარი



დიმიტრი მედვედევი:

«ჩვენ ეხსოვდები ვართ. ჩვენ და თქვენ არასოდეს ვიქენებით აჯა-ის ეხსოვდები, ეკონომიკური ინციდენტების ფარავნი გადაღი საფასეარი კი გაიც მიმდევა, არცა აღავითო ეხსოვდად ცხოვრება»

«ცატოში უავტომატურად თქვენ თითქმის არაფარს იძეთ, იმიტომ, არა თანამედროვე სამყაროში საომარი კონფლიქტები დაუკავებელია, გაგრა ამავე დროს ეს ქვეყნებს ურჩის დაქანელობის გრძელვაზიან, სანერძოვ ცარის უკანის»

**უახლასი ისტორიის
ტრაგიკული ფურცელი**

13 ჩარქაზი
სალიტ
ვაჭრობა და
ისტორიის
გაყალბება
«ცატო-
ქართველის
არსენალი

16 ილია
ჭავჭავაძე
და გაზათი
«ივარია»
აფხაზის
უასახებ

ჯემალ მებონია:
სასკაზილის
რეაგება
ფანგრიბი
უნივერ-
სიტეტი
კაცონების
უგულებ-
ელუოფით,
ეს ხელის-
უფლება
ანგარიშს
უმოქა-
ვის

21 დოპიტი

24 მიტი
რაფორმა
საქართველოში

36 ციტე
ურვაგიპი

40 პირველი
ქართული
ცარმოდგანა
აფხაზის

47 სოერად
ჯუმარ
კატია-
გვილიან



სარჩვი

სიმართლე - აგვისტოს ომზე	
■ უახლესი ისტორიის ტრაგიკული ფარგლები	4
■ რატომ არ შემოვიდა რესერვის ჯარი თბილისში 2008 ნების აგვისტოში	5
■ რა ასერვს საღსა	9
■ ვაცელ ჭიჭირება: დღის საქართველო პასუხი რომის რეაგირებია!	10
საჯილდაო ქვეა	
■ ჩერქეზი საღსით ვაჭრობა და ისტორიის გაყალბება «ნებოძრობის» არსენალში	13
პვალი დათელი	
■ ილია ჭავჭავაძე და გაზათი ივარია «ავსაზათის გასახებ	16
გაცალება	
■ ჯამალ მაგონია: სააკავშირის რეაგირება დაადგინა უცველისობის კანონების უგულაყებულებით, ეს ხელისუფლება ადგევს უმოქმედობით	21
ზინ ფაველი თუ უკან	
■ მილის აკორდება საქართველოში	24
სესაციური გამოგონება	
■ «იზარდე, მცვალე აკაზილო»	29
მრავალებრივი	
■ ქართული ცატორები	33
მამული მამილი	
■ კოდეტაციები გარეუაიკა	36
სელოვება	
■ პირველი ქართული ცარმოლებელი ავსაზათი	40
ერისთავის გადასახლების პროცესი ისტორიის მიხედვით	
■ საქართველოს გადასახლების პროცესი	42
თავისის ისტორიია	
■ მეტევები და თევზის გაეყიდვება	45
ფოტოაღმანები	
■ სტეგარად კუთხიავილთან	47

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი „ისტორიული მემკვიდრეობა“

სარედაქციო კოლეგია

პასუხისმგებელი რედაქტორი დარეპან ანდრიაძე

მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. № 6 ტელ.: 234-32-95



უახლესი ისტორიის ტრაგიკული ფარაზე

აგვისტოს ომიდან 5 წელიწადი გავიდა, უმძიმესი 5 წელიწადი. ამ ომის მონაწილეებს კი რატომმაც ოფიციალურად სამხედრო წვრთნებში მონაწილეების სტატუსი აქვთ მხოლოდ. ქართველების მეხსიერებას კი შემორჩია დღეები, როდესაც დედამშვილის გაჩენა ინანა.

ომის დამთავრებისთანავე ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება რადიკალურად შეიცვალა, ბევრი ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკოსი თბოზიციაში გადავიდა. არეულობაც დაიწყო, ქართველი ხალხი აგვისტოს ომის პროვოკატორების დასჯას მოითხოვდა, მაგრამ ამაღლ...

„ნაციონალურმა ხელისუფლებამ“ საქართველო გამარჯვებულად გამოაცხადა, გრანდიოზული კონცერტები ჩაატარა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ მმართველებს უმღერა, უცეკვა და ყველაფერი დასრულდა. ...და ომნაგებულ, დაზარალებულ, მიწებდაკარგულ ქართველ ხალხს რეალურად ხელში შერჩა სასწრაფოდ აგებულ გეტოებში შესახლებული დევნილები და უსაშველოდ დიდი თანხის სანაცვლოდ ამერიკელების მიერ გადაღებული ფილმი აგვისტოს ომზე. მაშინვე გაჩნდა ეჭვი, რომ სააკაშვილს ეს ომი ხელს აძლევდა, რათა მსოფლიოს ყურადღება მიექცია და „ომგა-მოვლილი ქვეყნის ასალორძინებლად“ უცხოეთიდან ფინანსები მიეღო. თანხა მართლაც გამოიყო, მაგრამ არა ხალხისთვის.

2008 წლის აგვისტოში 200-მდე ჯარისკაცი დაიღუპა. დღემდე ითხოვენ მათი ოჯახის წევრები, რომ ომის მიზეზები გამოიძიონ.

5 წელიწადი გავიდა. სიმართლეს ვეძებთ ყველა — ხალხი, თვითმხილველები, გადამდგარი თუ მოხსნილი სამხედრო პირები, უურნალისტები, ჯარისკაცთა ოჯახის წევრები, უფლებადამცველები, სახლკარდაკარგულები... თუმცა თითქმის ყველა დანაშაული ხელისგულზე დევს, ამ ხნის მანძილზე გამოძიებული არაფერია.

2013 წლის 6 აგვისტოს „რუსთავი 2“-ის ეთერში გავიდა ექსკლუზიური ინტერვიუ, რომელიც რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარემ დიმიტრი მედვედევემა 2008 წლის 8 აგვისტოს სამხრეთ ოსეთში ომის 5 წლისთავის წინ მისცა ნინო შუბლაძის საავტორო გადაცემა „პოზიციას“.

უურნალისტის შეკითხვას — თქვენი აზრით, 2008 წლის აგვისტოში თქვენ მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება სწორი იყო? — მედვედევმა უპასუხა, რომ ისინი იძულებული იყვნენ, ამგვარად ეპასუხათ შესაბამის აგრესიულ ქმედებებზე, რომლებიც მაშინ ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა გა-

ნახორციელეს. „მიუხედავად იმისა, რომ ეს არის უმძიმესი გადაწყვეტილება, რომლის მიღებაც მომინია როგორც პრეზიდენტს, როგორც რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს, მეზუსტად ასევე მოვიქცეოდი“, — განაცხადა მან.

საომარი მოქმედებების დაწყების რეალურ მიზეზად მან ქართული შეიარაღებული ჯარების შექრაცხინვალში და რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების მკვლელობა დასახელა. როგორც მან აღნიშნა, „ყველაფერი დანარჩენი შეიძლება იყოს შედეგი. ...ჩვენ ეს პროგლემა არ გვიტარდებოდა. სამწუხაროდ, მის გადაჭრას სხვადასხვა ქართველი ხელისუფალი (ცალკე არავის ხსენება მსურს) უვარგისი საშუალებებით ან უქჟუოდ, ანდა დანაშაულებრივად ცდილობდა. და ეს მეტად სამწუხაროა.

...ვცდილობდით, დავხმარებოდით ამ ორ ხალხს, რომლებიც შესაბამისი თხოვნებით მოგვმართავდნენ. მაგრამ არანაირი სამხედრო გეგმები არასოდეს გვქონია, ეს არაფერში გვჭირდება. პირიქით, ჩვენ ყველანაირად ვცდილობდით ამ კონფლიქტის თავიდან აცილებას... ყველაფერი, რაც მოსდა, რა თქმა უნდა, ანომალიაა, ეს არის ძალიან უხეში შეცდომა, რომელიც სამხედრო დანაშაულში გადაიზარდა. სამწუხაროდ, ბატონმა სააკაშვილმა, როდესაც შესაბამის გადაწყვეტილებებს იღებდა (არ ვიცი, რა მდგომარეობაში აკეთებდა ამას), უბრალოდ, სტრატეგიული სახელმწიფოებრივი შეცდომა დაუშვა, რომლის შემდეგ თავისი ქვეყნის შეკონინების შესაძლებლობა პრაქტიკულად აღარ დარჩა“.

რუსეთის პრემიერის აზრით, საქართველოს პრობლემები არასოდეს გადაწყდება არც ვაშინგტონში, არც მოსკოვში, ისინი ყოველთვის ადგილზე უნდა მოგვარდეს. რაც შეეხება მომავალს, მას მიაჩნია, რომ „ყველაფერი შეიძლება სრულიად სხვადასხვა სცენარით განვითარდეს, მაგრამ ეს (საერთოდ, ნებისმიერი დაახლოება, ნებისმიერი დიალოგი) უნდა ემყარებოდეს ადამიანთა ნებას და არა სამხედრო ძალას. თუ ნორმალური ცხოვრების დაწყებაში ერთობლივი სურვილი იქნება, რასეთი აგას ხელს არასოდეს შეუშლის, ამაში ეჭვი არ შეგეპაროთ. ჩვენთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ამ რეგიონში მშვიდობა იყოს, ვიდრე რაღაც ინტერესების უზრუნველყოფა.

ვისურვებდი, რომ ჩვენც სტაბილური, კეთილგაზობლური ურთიერთობა გვეძლების, რომ ნორმალური მეზოგლები ვიყოთ, მითუმეთეს, რომ ჩვენს ხალხებს შორის მრავალსაუკუნოვანი, ძალიან ემგობრულ ურთიერთობა არსებობს...“

სატომ არ გემოვიდა აუსტინს ჯარი თბილისში 2008 წლის აგვისტოში

ბევრის აზრი მომისმენია სააკაშვილზე, მაგრამ, ვფიქრობ, იგი ყველაზე ზუსტად ერთმა რესპონდენტმა დაახასიათა: „სააკაშვილის, როგორც მოვლენის, კარგი მაგალითია აღმაშენებლის გამზირი: უცხო თვალის გასახარად მოჩინურობული ფასადების უკან იმაღლება ძველი, ამორტიზირებული, ნახევრადდაშლილი სახლები და ამ სახლებში მცხოვრები ჩვენი გაუბედურებული, იმედგაცრუებული და მიტოვებული თანამემამულეები...“ მოკლედ რომ ვთქვათ, ბრჭყვიალა გარსის შიგნით — სიდამპლე.

სააკაშვილის რეაგირების მძიმე დანაშაულთა გრძელ ნუსხაში განსაკუთრებული ადგილი უკავია 2008 წლის აგვისტოს ამბებს, რომელთაც მშვიდობიანი მოსახლეობის (ქართული და ოსური) დიდი მსხვერპლი მოჰყვა. თუ ვინ დაიწყო მიმი, „საქართველო და მსოფლიოს“ თავის მოსაზრებებს უზიარებს ვაუჩა ხატაპურიძე — ყოფილი თავდაცვისა და უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე, შიდა ქართლის ყოფილი გუბერნატორი და ცხინვალში პრეზიდენტის ყოფილი პირადი წარმომადგენელი.



— ბატონოვ ვაჟა, რამდენად
მართალია ის ამბავი, რომ ომის
წინა დღეებში კოკოითმა გასაფ-
რთხილებლად გამოგგზავნათ
სააკაშვილთან, ომი არ დაეწყო?

— დღის, სრული ჭეშმარიტება. 2008 წლის 15 ივნისს კოკოითმა პირადად დამავალა, შევხვედროდი სააკაშვილს და გადამეცა მისი თხოვნა-გაფრთხილება, რომ არ განეხორციელებინა საომარი მოქმედება ცხინვალში. რა თქმა უნდა, იმ დღესვე ჩამოვედი თბილისში. დავალების სირთულისა და სერიოზულობის გამო მინდოდა, ჩემთან ერთად შეხვედრის მონაწილეთა შორის ყოფილიყვნენ ჩვენი საზოგადოების ცნობილი წევრები. შევიკრიბეთ ავთანდილ მარგიანი, პროფესორი ტარიელ კვიციანი, პროფესორი ნოდარ გიგანი, აკადემიკოსი გივი ბერძენიშვილი და სხვები — სულ 7 კაცი. საკითხის გაცნობის შემდეგ, მართალია, შევთანხმდით, მეორე დღესვე შევხვედროდით სააკაშვილს, მაგრამ, გივი ბერძენიშვილის გარდა, ყველამ გადაიფიქრა მასთან სტუმრობა, იმ მოტივით: ხომ იცით, რა გიურ-გადარეულია. გამოვარდება ტელევიზიით და დაგვლანძღვას და ვინ იცის, რას დაგვაპრალებ-

სო. ბატონი გივის ავადმყოფობის
გამო, იძულებული გავხდი, შეხ-
ვედრაზე მარტო წავსულიყავი.

— ბატონოვ ვაუა, როგორ განვი-
თარდა შემდგომი მოკლენები?

— კანცელარიაში მეთერომეტე
სართულზე რომ ავედი, დაცვის
ბიჭებმა გამომკითხეს მისვლის
მიზანი. ზოგადად ვუთხარი და
მოვითხოვე პრეზიდენტან პირა-
დად საუბარი. მითხრეს, რომ აჭა-
რაში, ბობოყვათის აგარაკზეა წა-
სული და, ალბათ, ერთ კვირაში
ჩამოვაო. აღვმტფოთდი, სასწრაფო
საქმეა-მეთქი! განმიცხადეს, საქ-
მეები მერაბიშვილს გადააბარა და
მასთან წადიო. რა გაეწყობოდა,
იძულებული გავხდი, წავსულიყა-
ვი მერაბიშვილთან. სამწუხაროდ,
მერაბიშვილიც არ დამხვდა, შე-
საძლოა, დამემალა, არ ვიცი. პირ-
ველ მოადგილესთან მომინია ამ
საკითხებზე საუბარი. პირველი
მოადგილე საკმაოდ თავაზიანი
აღმოჩნდა. მან პირდაპირ მითხ-
რა: ოსეთის საკითხი მერაბიშვილ-
მა კონტრდაზვერვის უფროსს —
შალვა ჟლენტს დაავალაო. მანვე
დაურეკა ჟლენტს და 20 წუთის
შემდეგ წამიყვანეს საბურთალო-
ზე, მოდულის შენობაში შალვა
ჟლენტთან შესახევდრად.

— უღენტს თუ შეხვდით და რა-
ზე ისაუბრეთ?

— შევხვდი. კოკონითის დანაბარები და გაფრთხილება სიტყვასიტყვით გადავეცი: ღმერთი არ გაგიცყრეთ და ომი არ დაიწყოთ, თორეა ჩვენ ჩვენი კი დაგვემართება, მაგრამ თქვენი სახსენებელი გაცყდება ამ ტირიტორიაზეო. ამის შემდეგ იქაური მდგომარეობა, ოსი ხალხის განწყობა, მათი სურვილები გავაცანი; ოფიციალურიც და არაოფიციალურიც, მინვევაც შევთავაზე. ისიც ვუთხარი, რომ შენილბულად შეგიყვან ცხინვალში, როგორც ჩემს მეგობარს, და იქაურის დაგათვალიერებინებმეთქი. შენი თვალით ნახავ და დარწმუნდები, რომ ომი არაა საჭირო, რადგან, სტატუსის განსაზღვრის გარდა, თითქმის ყველაფერზე გვეთანხმებან-მეთქი. 4-საათიანი საუბრის შემდეგ, შალვა მეუბნება: ბაჟონო ვაჟა, ძალიან კი შეუშინებისარ იმ შენს კოკონითსო. სულ მცირე დრო მარილება, რომ კოკონითი თავისი განდით რუსთაველზე თეთრი ტრუსეპით ჩავათაროო. „იმედიც“ მომცა: შენ არ იგულისხოები ამაში,



შემ ჩვენი ხარო... რა თქმა უნდა, ძალიან აღვაშოთდი, ვუ-
თხარი, არ გაპედოთ იქ მოის
დაცება, თორემ კუდამოძუ-
ებული გამოიცევით, როგორც
ყოველთვის და მირე
ჩვენს თავზე დატრიბულდება
რისხევა, რომელიც თქვენი
მიზანით იქნება გამოვეუ-
ლი-მეტე.

ამით დამთავრდა ჩვენი შეხვედრა, უღენტმა ღიმილით მთხოვა, დავწყნარებულიყავი და დამეცა- და მოვლენების გახვითარებისთვის. იმედგაცრუებულმა დავტოვე შალვა უღენტის „რეზიდენცია“. ამ შეხვედრის შემდეგ ჩემთვის ნათელი გახდა, რა უბედურება გველოდებოდა ქართულ მოსახლეობას.

— ბატონოვ ვაჟა, კოკითის თუ
გააცანით სააკაშვილის მხრიდან
მოსალოდნელი საომარი მოქმე-
დების თაობაზე?

— არა! ცხინვალში 3 დღის შემდეგ დაგვბრუნდი, კოკოითმა თვითონ მომძებნა და მკითხა, თუ რა ამბავი ჩავიტანე. სიმართლის თქმას მოვერიდე. არ მინდოდა, ცეცხლზე ნავთი დამესხა და მხოლოდ ეს ვეუთხარი: ჯაბიევიჩ, ხომ გითხარით, ცდებით, არანაირი ომის დაწყებას არ აპირებს სააკაშვილი. პირიქით, შერიგებისთვის ემზადებიან-მეთქი. შემომხედა, ეტყობა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ რატომლაც არ ჩათვალა საჭიროდ, ხელი ჩაიქნია და უსიტყვოდ დამცილდა.

— ბატონოვ ვაჟა, როგორც თვითმხილველი, რას გვეტყვით, ვინდაიწყო ომი?

— მოი სააკაშვილეა და-
იცყო 2008 წლის 7 აგვისტოს
21:30 საათზე და არა 23:35 სა-
ათზე, როგორც ეს ჟალიავი-
ნის კომისიის დასკვნაშია
აღნიშული. პირველად გან-
ხორციელდა ცხირვალის მა-
სიური საართილერიო დაზოგ-
ება. გამოყენებულ იქნა უა-
ლესი საართილერიო იარაღი
და, გათ შორის, აკრძალული
კასეფური გომჩევი, რომელი-
მაც ეალაქის შენობა-ნაგებო-
ბეჭის ნახევარი დაანგრია,

**ხოლო მოსახლეობაში მსხვე-
რაცი გამოიწვია!...**

— მინდა შეგეკითხოთ, როგორც ამ საკითხებში გარკვეულ პიროვნებას: რა შედეგებს ელოდა სააკაშვილი ამ შეიარაღებული თავდასხმისგან?

— სიმართლე გითხრათ, ეს ჩემ-
თვის დღესაც გაუგებარია, თუნ-
დაც იმიტომ, რომ საკაშვილმა ხე-
ლისუფლებაში მოსვლისას ცხინ-
ვალი და აფხაზეთი დამშვიდებულ,
დაწყნარებულ მდგომარეობაში
ჩაიბარა. ამის ნათელი მაგალითი
იყო, თუნდაც ერგნეთის ბაზრობა-
ზე არსებული ვითარება. მანდ
თითქმის მთელი საქართველო
იღებდა მონანილეობას სავაჭრო-
სამეურნეო საქმიანობაში. არანა-
ირ სირთულეს არ წარმოადგენდა
როგორც რუსეთის პროდუქციის
შემოტანა, ასევე ყველანირი ქარ-
თული პროდუქციის გასაღება. მეტსაც გეტყვით, **ძართველ** და
ოს პიზნესმენებს შორის ისე-
თი მაგობრული ურთიერთო-
ბა იყო, რომ ერთმანეთს ასი-
ათასობით დოლარის საქო-
ნელს ანდობდნენ. ისიც უნდა
აღიინიშნოს, რომ საქართვე-
ლოს სხვადასხვა რაიონიდან
ჩამოსული კომერსანთები,
საქმიანი ხალხი ცხინვალში
ქირით ცხოვრობდნენ და არა-
ნაირი პრობლემა არ ჰქონ-
დათ, პირიებით, ყველანირად
უზრუნველყოფილი იყვნენ!

სააკაშვილის მოსვლის დღიდან ყველაფერი თავდაყირა დადგა! მისი თანაგუნდელებიდან განსაკუთრებული აგრესით ირაკლი ოქრუაშვილი გამოირჩიოდა. ჯერ ერგნეთის ბაზრობა გაანადგურეს, შემდეგ ამას მოჰყვა იქრუაშვილის მიერ 2004 წელს განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა. რა მივიღეთ ყოველივე ამის შედეგად? — მხოლოდ მსხვერპლი. მიუხედავად ასეთი რთული პროცესებისა, რსურიმსარე ყველანა-ილად ცდილობდა სიმმაღლის შენარჩუნებასა და კონცლიქ-ტის მშვიდობის გზით მოწინიერდა. 2005 წლის 15 დეკემბრის ერთობლივი მუშა ჯგუფის მიერ შეაუძვავებული

პირადად დამევალა, აღნიშნული დოკუმენტის შინაარსის გასაჯაროება. ალბათ, მოსახლეობას კარგად ახსოვს ჩემი ერთსაათიანი ინტერვიუ გიორგი ახვლედიანთან „იმედის“ არხზე. დოკუმენტში ასახული სამივე მხარისთვის მეტად სასარგებლო და აუცილებელი საკითხების თაობაზე მაყურებელს ამომწურავი ინფორმაცია მივაწოდე და, რაც ყველაზე მთავარი იყო, განვაცხადე, რომ 2006 წელი შერიგების წლად გამოცხადებულიყო, მაგრამ მოხდა დაუჯერებელი რამ: გადაცემის მსვლელობის დროს კერ გამოიყვანეს გოგა ხაიდრავა, რომელს ნათევამიდან აზრი კერ გამოვიტანე, მარე გამო-

იყვანეს ირაკლი ოქრუაშვილი. მან განაცხადა: 2007 წლის 1 იანვარს ცხენიალში გვათატიშვილით ყველას, ყანით უნდა დავლიო საქართველოს სადღეგრძელო. ამ ნათევამა დიდად აღაშფოთა ჩვენი მუშა ჯგუფი და მდუღარე ცყალგადასხმული ვით უკომენტაროდ დაიშალა. სასოფლაო ვეთილი ვიყავი, არანაირი სიკეთის ნიშანები აღარ ჩანდა...

— ბატონო ვაჟა, პირადად სააკაშვილის აზრი როგორი იყო ამ დოკუმენტაზე დაკავშირებით?

— რაც ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადა, ეს იყო სააკაშვილის პასუხი! თუ ირაკლიმ მის გარეშე გამოთქვა მისთვის არასასურველი აზრი, მაშინ რეაგირება უნდა მოეხდინა. დუმილი თანხმობას ნიშნავდა.

— თქვენი საუბრიდან ჩანს, რომ სააკაშვილი კონფლიქტის დარეგულირების ნაცვლად, მის გამნვავებაზე ფიქრობდა.

— ნამდვილად ასეა! მას არ აინტერესებდა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირება! ყოველი მისი ქმედება გამოიხატებოდა მდგომარეობის გართულებებითა და პროვოკაციებით. აი, მაგალითად, 2008 წლის 7 აგვისტოს ფართომასშტაბიან ომს წინ უძლოდა 2 აგვისტოს შეირაღებული თავდასხმა ცხინვალის მშვიდობიან მოქალაქეებზე. თავდასხმა ერგნეთისა და ნიქოზის მხრიდან განახორციელეს, რამაც გამოიწვია 6 კაცის გარდაცვალება და 57 კაცის დაჭრა! სწორედ ეს პროვოკაცია იყო 7 აგვისტოს მიზანმიმართული გეგმის განხორციელების საბაბი, მაგრამ სააკაშვილი მოლოდინი არ გაუმართლდა. ოსეთის მხარემ იცოდა, რომ ეს პროვოკაცია დიდი ომის საწინდარი იყო. ოსებს ეგონათ, დუმილით საფრთხეს თავიდან აიცილებდნენ; თუმცა, ჩვენდა სამნებაროდ, მოლოდინს მოვლენებმა გადააჭარბა და 7 აგვისტოს საღამოს სააკაშვილმა მაინც განახორციელა ფართომასშტაბიანი ომი. საარტილერიო დაბომბვის შემდეგ, შემოიყვანეს დიდი რაოდენობით



ჯავშანტექნიკა, საჯარისო ნაწილებიდან უამრავი მსუბუქი თუ სატვირთო მანქანა, მათ შორის, ორი სატვირთო მანქანა დროშებით იყო დატვირთული. ითქვა ისიც, რომ 2 ტრიბუნაც იყო, მაგრამ მე ტრიბუნები არ მინახავს.

ჩემი ნათქვამი ფაქტებზეა დაყრდნობილი. მცითხველს უთუოდ გაუჩნდება მრავალი შეკითხვა, მათ შორის, შალვა ულენტოან საუბრის სინამდვილის შესახებ. მე მინდა მკითხველს განვუმარტოის, რომ შალვა ულენტი გახლდათ სპეცსამსახურის უფროსი და მასთან ჩემი შეხვედრა ვიდეო და აუდიო ჩანაწერების გარეშე არ ნარიმართებოდა. ამავე დროს, არსებობს მორიე დამამტკიცებელი დოკუმენტი — 2008 წლის 9 აგვისტოს, დილის 10 საათზე ჩემს მობილურ ტელეფონზე მიღებავს შალვა ზღვენტი და მობილურ ტელეფონზე მიღებავს თქვენთან საუბარს. ამის გადამოწმება ადვილია. „მაგთიკომის“ სატელეფონო სადგურში 9-10 აგვისტოს შალვას და ჩემ მიერ განხორციელებული საუბრების მოპოვება საკსებით შესაძლებელია. დანარჩენში კი, სხვადასხვა საკითხებში დოკუმენტურ მასალების დასამტკიცებლად, პროკურატურის თანამშრომლებს მე გავუწევ მეგზურობას ცხინვალში, თუ მოისურვებენ.“

— რა აზრის ხართ რუსეთის ჯარის შემოსვლაზე ცხინვალში და შემდგომ — ცხინვალის გარეთ — გორისადა კასპის ტერიტორიაზე?

— ეს საკითხი მეტად აქტუალური თემაა და მასზე ატენილი აურზაურიც უსაფუძვლოა. ნებისმიერი მიმომხილველი შეცდომებს

ნება, სასწრავოდ მოდი ჩემთან სამსახურში, რათა დახმარება გაგვითხოვ“. მე 9 აგვისტოს არ მეცალა და შევპირდი, რომ ხვალ დავუკავშირდებოდი. 10 აგვისტოს დილით დავურეკე შალვას და ვუთხარი: შალვა მე ვარ, ვაჟა ხაჭაპურიძე, შეპირებისამებრ, მოვდივარ თქვენთან და საშვი ჩამოუშვი-მეთქი, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, შალვას ნაცვლად პასუხს მცემს ბადრაგი, რომელიც მეუბნება: ბატონო ვაჟა, სამწუხაროდ, შალვას ხელები აქვს გაკრული და ვერ გიპასუხებს, თუ დახმარება შეგიძლიათ, ჩვენ დაგვეხმარეთო. მალვა კი კარგა ხანი ვერ შეძლებს თქვენთან საუბარს. ამის გადამოწმება ადვილია. „მაგთიკომის“ სატელეფონო სადგურში 9-10 აგვისტოს შალვას და ჩემ მიერ განხორციელებული საუბრების მოპოვება საკსებით შესაძლებელია. დანარჩენში კი, სხვადასხვა საკითხებში დოკუმენტურ მასალების დასამტკიცებლად, პროკურატურის თანამშრომლებს მე გავუწევ მეგზურობას ცხინვალში, თუ მოისურვებენ.

— რა აზრის ხართ რუსეთის ჯარის შემოსვლაზე ცხინვალში და შემდგომ — ცხინვალის გარეთ — გორისადა კასპის ტერიტორიაზე?

— ეს საკითხი მეტად აქტუალური თემაა და მასზე ატენილი აურზაურიც უსაფუძლოა. ნებისმიერი მიმომხილველი შეცდომებს



აქვე მითითებულია, რომ, თუ შონინააღმდეგე (მეამბოხე) ძალა დღემატება მის შესაძლებლობას, სას (სამშვიდობო ძალას) აქვს უფლება, ექსტრემალურ ვითარებაში მიიღოს გადაწყვეტილება რუსეთიდან სათანადო დამხმარე ძალების შემოყვანის შესახებ. სამშვიდობო ძალის უფლებებში შედის შოვალეობა, გაანადგუროს მეამოხე ძალების საცეცხლე ობიექტები, რომლებიც განლაგებულია ზონის გარშემო გაკვეთილ პერიმეტრზე.

ქელშეკრულების გაუქმების შე-
მოთხვევაში, რუსეთის ჯარი ველარ
ქემოვიდოდა ჩვენს ტერიტორია-
ზე; ხოლო თუ შემოვიდოდა, კანო-
ნიერად გამოცხადდებოდა აგრე-
სორად! რატომ არ გააუქმა სა-
კაპიტოლიუმის ღია განვითარების
აერთობი, თუ იცოდა მისი
არსებობის თაობაზე, იგედ-
ა, აგას სასამართლო გაარკ-
ვის! ამიტომაც შემოსული რუ-
სული ჯარი აღმოჩნდა გორისა და
კასპის ტერიტორიაზე.

— თბილისი შედიოდა „გარკვეულ პერიმეტრში“?

— არა! დაგომისის ხელშეკრულების თანახმად, რუსებს თბილისში არაფერი ესაქმებოდათ. სასე კი, სააკაშვილი, როგორც პრეზიდენტი და იურისტი, ვალდებული იყო, სცოდნოდა ამ დოკუმენტის არსებობა!

აქვე მინდა დავგარნმუნო ბატონი
ბიძინა ივანიშვილი, იუსტიციის
მინისტრი თეა ნულუკიანი და
რეპსპუბლიკის პროკურორი არ-
იტილ კბილაშვილი, რომ მე და ჩემი
ხის ეროვნების მეგობრები მზად
ვართ აქტიური მხარდაჭერისთ-
ვის ამ ძმათამკვლელი ომის წა-
მომწყებების გამოსააშკარავებ-
ლად! სააკაშვილმა თავისი უმეცა-
ნი ქმედებებით თავს მოგვახვია
რაერთი უმძიმესი პრობლემა.
მინდა აქვე საზოგადოებას განვუ-
პარტო ის, რომ, თუ გაფორმება
კი-
ნინამ ომის თემის გამოძიე-
ბას გვირდი აუარა და ოსხალ-
თან შერიცხდის სურვილი
კამოთქვა, გარეშენები ყვე-
ლას, ეს საკითხი განუხორცი-
ოვთ ამავდნენ ამავა ამავა

არ დავსჯით ორივე მხრიდან
იმ დამაცავებას, რომლებიც
ოსი და ქართველი ხალხის ნი-
ნააღმდეგ მიზანიმისართულ
ცეცხლს აღვივებდა!

ოსი ხალხი ხომ ჩვენი ისტორიი-ული ძმა და მეგობარია. დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროიდან მოყოლებული, ფაქტობრივად, ჩვენ ერთ ეროვნულ ყაიდაზე აღზრდილი ვართ; საქართველოში სულ რაღაც 160 000 ოსი ცხოვრობს, აქედან 60 000 ცხინვალის გარშემო. სიკეთის მეტი რა უკეტებიათ?! ჩვენ გვერდით ქვეყნის მშენებლობაში მონაწილეობდნენ და ზოგიერთ შემთხვევაში ტოლს არ გვიდებდნენ სამშობლოს სიყვარულში! დიახ, დადგა დრო, აღდგეს კანონიერება და დამნაშავენი დაისაჯონ! ორივე მხრიდან მივცეთ საშუალება სამართალდამცავ ორგანოებს, იმუშაონ სიმართლის დასადგენად.

ბატონ ბიძინას მივმართავ თხოვნით: არ შეერთეთ და უკან არ დაიხიოთ, იბრძოლეთ ბოლომდე, რათა ძირფესვიანად ამოიძირკვოს ის ბოროტების კერები, რომლებიც, რამდენიმე წელია, სატანჯველად იქცა ჩვენი ხალხისთვის! თითქმის 23 წელია, საქართველოს მოსახლეობა ელოდება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას!

— ბატონო ვაჟა, ნლეულს, ოქ-
ტომბერში სრულიად საქართვე-
ლო აირჩევს ახალ პრეზიდენტს.
თქვენი აზრით, როგორი უნდა
იყოს იგი?

— ჩვენ ის ქვეყანა ვართ, რომელმაც უნდა აღიდგინოს ტერიტორიული მთლიანობა, ამიტომ მომავალ პრეზიდენტს, უპირველეს ყოვლისა, კარგად უნდა იცნობდნენ სოხუმშიც და ცხინვალშიც, როგორც ავტორიტეტულ და სანდო პიროვნებას. ასევე, მომავალ პრეზიდენტს უნდა იცნობდნენ მოსკოვში, როგორც ხალხის ნდობით აღჭურვილ, სერიოზულ და სიტყვაგაუტეხელ ადამიანს! თუ ბატონი ბიძინა ივანიშვილი ამას გაითვალისწინებს, მაშინ ქვეყნის წინსვლა და აყვავება გარანტირებული იქნება!

ჩა ახსრვს ხალხს

არის ასეთი სოფელი კოდისწყარო, რომელიც სოფელ ორჭოსანთან ახლოს მდებარეობს. ეს ის ორჭოსანია, გახარებულმა მთავრობამ რომ გვამცნო, იქით გადაუხვიეს და ნუ გეშინიათო.

სოფელი საზღვართან ახლოს მდებარეობს, გარშემო სულ ოსური სოფლებია და ამიტომაც იქაურმა მცხოვრებლებმა ყველაზე ადრე იგრძნეს საშიშროება.

აი, რას გვიყვება დვალიძების ოჯახი აგვისტოს დღეების შესახებ და რა ნახეს მათ საკუთარი თვალით:



— ჩვენი სოფელი ისეთ ადგილას მდებარეობს, რომ ფეხით უმოკლესი გზებითაც შეიძლება ოსეთში გადასვლა, ამ გზებით ჩვენს ბავშვობაში ძალიან ბევრი დადიოდა.

7 აგვისტოს საღამო იყო. სოფლის მოსახლეობა „ბირჟაზე“ ვისხედით, ამ დროს ახალი ყვითელი ავტობუსები გამორჩნდა, გაკვირვებულები ვუყურებდით. გზა ჩვენს სოფელში ძალიან ცუდია, ამიტომ ავტობუსებმა ჩქარა ვერ ჩაიარეს და ჩვენ მათში მხდომი ადამიანების შეთვალიერება მოვასწარით. სპეცნაზელები იყვნენ, აი, ზუსტად ისეთები, მიტინგების დარბევის დროს რომ გინახავთ, ჩაფეხუტებით, ავტომატებით, სახეზე აფარებული ნიღბებით. ზოგს ეფარა ჩაფხუტი, ზოგს — არა. საკმაოდ ბევრმა ავტობუსმა გაიარა, ყველამ ვიფიქრეთ, რომ, ალბათ, რაღაც სამხედრო წვრთნები უნდა ჩაატარონ-თქმ.

გამთენისას სოფელი ავისმომასწავლად აჩირჩოლდა, ტელეფონები გაითიშა, ტელევიზიონი სრულყოფილი ინფორმაცია არ გადმოიცემოდა. მერე ჩავთვალეთ, რომ მორიგ კონფლიქტურ სიტუაციას ჰქონდა ადგილი. ნინა დლით ჩავლილი ავტობუსები გაგვასენდა და ვიფიქრეთ, ამან, ალბათ, ოსები გააღიზიანა-თქმ. ვფიქრობდით ყველაფერზე, მაგრამ არამც და არამც — ომზე.

მალე დაბომბვის ხმა გავიგონეთ, გამოჩნდნენ თვითმფრინავებიც, გორიდან გამოქცეული ხალხიც დავინახეთ, მივსვდით, რაღაც საშინელება ხდებოდა. მიუხედავად ამისა, ხალხი სოფლიდან გაქცევას არ აპირებდა, რად-

გან დარწმუნებული ვიყავით, ეს მალე დასრულდებოდა. ერთი სიტყვით, არ გვეშინოდა. შიში მეორე დღეს დაინიკო, 9 აგვისტოს; მაშინ, როდესაც ის ბიჭები, სპეცდანიშნულების რაზმის წევრები, უკან გამორბოდნენ. მხოლოდ მაისურები ეცვათ, სხვა აღჭურვილობა არ გააჩნდათ, ალბათ სიმძიმის გამო გადაყარეს. ისინი ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ, ოჯახებში შემოდიოდნენ და გვთხოვდნენ, რამე გვაჭამეთო.

ერთ-ერთმა მათგანმა ასეთი რამ გვიამბო:

„ნაგვიყვანეს საზღვრამდე, ავტობუსებიდან ჩამოგვსვეს და იქ დაგვტოვეს, გვითხრეს, რომ მოგვაკითხავდნენ და მითითებებსაც მოგვცემდნენ, მაგრამ არავინ მოსულა, დაკავშირება ვერავისთან შევძლით, რადგან მობილურები გაითიშა, გაითიშა რაციობიც, არ გვქონდა საჭმელ-სასმელი, მხოლოდ ავტომატები გვქონდა. სროლისა და დაბომბვის ხმები გვესმოდა, მაგრამ იმასაც ვერ ვარჩევდით, საიდან იყო ეს ხმა. რაღაც ჰერიონის შემდეგ ფეხის ხმა გავიგეთ და რომ მივისუდეთ, რუსი ოფიცერი მოგვიახლოვდა, შეუიარაღებელი იყო, მოვიდა და გვითხრა: შვილებო, აქ რას აკეთებთო? ჩვენ ჰასუხი არ გვქონდა, მაგრამ მან ზუსტად იცოდა, რა გვინდოდა იქ. ის წერტილი უნდა დაებომბათ და ჩვენ კი, იქ უნდა ვმდგარიყოთ, მაგრამ იმ რუსმა ოფიცერმა გადაგვარჩინა, მან გვითხრა, რომ ბრძანება აქვს, ეს წერტილი აუცილებლად უნდა დაბომბოს. ჩვენც სხვა გზა არ გვქონდა. გახარებულები,

რომ ცოცხლები გადავრჩით, ავდექით და გავიფანტეთ“.

ჩვენს სოფელში რუსები შიგადაშიგ ჩნდებოდნენ, ისინი უფრო გზაზე მდებარე სოფლებში შედიოდნენ, ჩვენი სოფელი კი გზიდან ცოტა მოშორებით არის. იმ სოფლებში კი, რომლებშიც რუსები შედიოდნენ, ხალხი ამბობდა, რომ არ გვეშინია, არაფერს გვერჩიანო, მშვიდადაც კი ვართო. ოლონდ, ერთი გაჭირვება დაგვატყდა თავს, რაც, ვფიქრობ, ომის ჰერიონში ყველაზე მნიშვნელოვანია. სოფელი პურის, საჭმლისა და ნამლის გარეშე დარჩა. ეს რამდენიმე დღე გრძელდებოდა. სოფელი დაუცველი იყო, რუსი ჯარისკაცის კეთილშობილების იმედად ვიყავით დარჩენილები, საბედნიეროდ, გაგვიმართლა, უნამუსო რუსი არ შეგვხვედრია. უფრო მეტიც, ისინი სოფლის მოსახლეობას ეხმარებოდნენ, იყო შემთხვევები, როდესაც წამალიც მოუციათ. ერთ-ერთი შენაერთი როდესაც გადიოდა, ტანკს რაღაც პრობლემა შეექმნა და გზაზე დატყვეს, მაგრამ რაც შეინით საწავი იყო, ჯარისკაცებმა ამოიღეს და ადგილობრივებს მისცეს, უთხრეს, რომ ტრაქტორების სატვის გამოადგებოდათ, მიწას დახნავთო. რაც საჭმელ-სასმელი ჰქონდათ, ისიც დაარიგეს, ბავშვებს კანფეტები მისცეს. მოკლედ, თავისთვის არაფერი დაუტოვებიათ, ყველაფერი ხალხს მისცეს და ისე წავიდნენ.

ვის უნდოდა, ვის აძლევდა ხელს 2008 წლის ომი? ალბათ, გავადროდა ყველაფერს ნათელი მოეფინება და თავისი სახელი დაერქმევა.

ეკა ნასყიდაშვილი



გასილ ჭიჭინაძე:

დღას საქართველო კასიური რმის ჩეუიმაი!

ომი, რომელიც სულ ხუთი დღე გაგრძელდა და საქართველოსთვის უმძიმესი შედეგის მომტანი აღმოჩნდა, კვლავ დისკუსიის საგანია. ექსპერტები და პოლიტიკოსები დღემდე გაცხარებით მსჯელობენ იმაზე, თუ რა მოხდა და კონკრეტულად რა ქმედებებმა მიიყვანა ორი ქვეყნის ურთიერთობა შეიარაღებულ დაპირისპირებაში.

შეჯერებული პოზიცია ისევ არ არსებობს.

სახელისუფლო წრეებში კი უკვე ღიად საუბრობენ ხელახალი საგამოძიებო კომისიის შექმნაზე.

საჭიროა თუ არა ეს კომისია და ვინ ჩაერთვება დასკვნის მომზადების პროცესში, ამას, ალბათ, ახლო მომავალში მმართველი გუნდი გადაწყვეტს. მანამდე კი ორაზროვანი განცხადებები კეთდება, თუმცა წინა ხელისუფლების პოზიცია კვლავინდებურად ცალსახაა — ომი რუსეთმა დაიწყო... რა მოხდა ხუთი წლის წინ და რა უნდა გაითვალისწინოს ახალმა ხელისუფლებამ წინამორბედის შეცდომებიდან — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება დიპლომატი ვასილ ჭიჭინაძე.



— ბატონოვ ვასილ, ხუთი წელი, ალბათ, საკმარისია იმისთვის, რომ მეტ-ნაკლებად ობიექტურად შევაფასოთ ესა თუ ის მოვლენა. დღევანდელი გადმოსახედიდან, როგორ ფიქრობთ, რა გამოცდილება შეიძლება იყოს ჩვენთვის აგვისტოს ომი და რა დასკვნამდე შეიძლება მიგვიყვანოს ამ ყველაფერმა?

— პირველ რიგში მინდა, მივუსამძიმრო ყველა ოჯახსა და მოქალაქეს ამ ტრაგიკული თარიღთან დაკავშირებით. რაც შეეხება გამოცდილებას, ვფიქრობ, საქართველოს 2008 წლამდეც საკმარისი გაკვეთილები ჰქონდა მიღებული, რომ ამ უბედურებამდე არ მიეყვანა საქმე, მაგრამ მაშინდელ ხელისუფლებას, რბილად რომ ვთქვათ, გონიერება არ ეყო. სხვათა შორის, იმ დროს „ნაცმოძრაობაში“ ბევრს გულწრფელად სჯერდა, რომ რუსეთთან ომით რამის მიღწევა შეიძლებოდა, ბევრს კი, უბრალოდ, ხელს აძლევდა ის, რაც მოხდა, ამიტომ არ შეუშალა ხელი სააკაშვილის წინასაომარ სამზადისს, თორემ ერთი ზარი ვა-

«მთავრობას და კარლაშვილის აბარის ადამიანებს, რომელსაც არ დაუკავშირდა და არ მოუსმენ აუსეთში»

შინტონიდან იქნებოდა საკმარისი და ეს გიუ, სროლას გაბედავდა კი არა, თავის რეზიდენციიდან ცხვირს ვერ გამოჰყოფდა...

ახლა რა უნდა გაითვალისწინოს ახალმა ხელისუფლებამ წინამორბედის გამოცდილებიდან, ადრეც არა ერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: **უნდა გადაიხელოს მთლიანობაში ევეყნის საგარეო აოლიტიკის ური რობის გამგერებაზე**, რომ არა რამდენიმე მოგვარებაზე როგორც რუსეთთან, ისე აფხაზებთან და ოსებთან...

— გინდათ, თქვათ, რომ ახალი ხელისუფლება ჯერ არც ფიქრობს რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებაზე?

— არა, სხვა რამე ვიგულისხმე. რაღაც წამდვილად კეთდება, მაგრამ მოდი გულწრფელად ვთქვათ: ეს არაა საკმარისი. იმით, რომ რუსეთს არ ლანძღვავ და პუტინს სა-

აკაშვილივით ლილიპუტინს არ ეძახი, სიტუაცია თავისთავად ვერ გამოსწორდება. გარდა ამისა, კი-დევ მეორე ფაქტორია, რომელიც ძალიან აფერხებს ყველაფერს, — ესენიც „ნაციონალებივით“ გაი-ძახიან, საქართველოს ნომერ პირველი ამოცანა ევროატლანტიკურ სივრცეში შესვლა არისო. ჩვენ ხომ ყველამ ვიცით, რომ ამის შანსი, ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე მაინც, არ არსებობს. მაშ, როდის უნდა დამთავრდეს ეს ზღაპარი?!

— სხვათა შორის, ამას წინათ ჯონ მაკეინმა მოუწოდა ობამას ადმინისტრაციას, ნატოს გაფართოების მეორე ეტაპზე გადავი-დეს.

— ამ გაფართოებაზე ადრე თქვენს გაზიეთში ვიხუმრე, მე მგონი, რუსეთს უფრო ადრე მიიღებენ ნატოში, ვიდრე ჩვენ-მეთქი. აქ, ფაქტობრივად, ყველაფერი გარკვეულია — სანამ ქვეყნის ტერი-ტორიული მთლიანობა არ არის დაცული და საბოლოოდ დადგენილი საზღვრები არ გაქვს, ნატოში შესვლაზე საუბარიც კი, უბრა-ლოდ, ღიმილის მომგვრეულია. დღეს საქართველო პასიურ საო-მარ მდგომარეობაშია. ვის რაში სჭირდება აუტკივარი თავის ატ-კივება?! ნატოს ჩვენი მიღება რომ დღომებოდა, მარცხუ-ეთ, არც მომი იძნებოდა და სა-გარეოამლიტიკური მდგრა-რობაც გაცილებით უკეთე-სი გვევინარდა.

— თქვენ თქვით, რომ ამ ხელი-სუფლების პოლიტიკა ნატოსთან დაკავშირებით წინამორბედის იდენტურია. როგორ ფიქრობთ, რამდენად შესაძლებელია, ეს კი-დევ ერთი ომის მიზეზი გახდეს? რამდენიმე დღის წინ მედვედევმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით განაცხადა, რომ ის არ დაუშვებს მის სამხრეთით ალიანსის გაფართოებას.

— აგენტაზე რუსეთ-საქარ-თველოს შორის მომი პრატი-კულად გამოიიცეს. ვერ ერთი იმით მომი საკარ-



ეს არ სჭირდება და მეორეც, ალიანსის გაფართოება ახ-ლო მომავალში არ იგავავება. რაც შეეხება მედვედევის განცხა-დებას, მე მოვისმინე მისი საუბა-რი ერთ-ერთ ქართულ ტელეარხ-თან და დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ის ძალიან გულწრფელი იყო. გასაგებია, ვიღაცისთვის მიუღე-ბელია მისი მოსაზრებები, მაგრამ ჩვენ, ამ შემთხვევაში, სიტუაციას უნდა შევხედოთ არა მარტო ჩვე-ნი, არამედ მათი პოზიციიდანც. მან პირდაპირ, ყოველგვარი დიპ-ლომატიური კეკლუციბის გარე-შე თქვა: ნატო არის რუსეთის პო-ტენციური მოწინააღმდეგე. მორ-ჩა, რატომ გვიკირს, რომ მოწინა-აღმდეგის მიახლოება აღიზიან-ებს?!

— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ, ერთის მხრივ, თვითონ ნატოც და, მეორე მხრივ, საქარ-თველოს ხელისუფლებაც (რო-გორც წინა, ისე ამჟამინდელიც) რუსეთს არწმუნებენ, რომ ალი-ანსი მისთვის არ წარმოადგენს საფრთხეს.

— დავანებოთ თავი წატოს. ის ვერ იქნება ჩვენსა და რუსეთს შო-რის შუამავალი, ვერც აფხაზებთა-ან მოგვიგვარებს ურთიერთობას და ვერც ოსებთან. ზუსტად ამას გაუსვა ხაზი მედვედევმაც, — სა-ჭიროა პირდაპირი დიალოგი.

— დიალოგი ვისთან?

— ყველასთან, ვისთანაც პრობ-ლემა გვაქვს, პირველ რიგში კი,

ცხადია, რუსეთთან. ჰყავს საქარ-თველოს, საბედნიეროდ, ხალხი, რომელსაც პატივს სცემენ და უს-მენენ რუსეთში. აი, ეს ადამიანე-ბი უნდა წამოწიოს წინ ხელისუფ-ლებამ და არა მარტო ისინი, ვინც პირდაპირ ამერიკის საელჩოდან იმართებიან...

— გინ არის დღეს ქართულ პო-ლიტიკაში ისეთი ფიგურა, რო-მელსაც რუსეთში, შესაძლოა, მოუსმინონ?

— მაინცდამაინც პოლიტიკაში რატომ ვეძებთ ასეთ პიროვნე-ბებს? სხვა სფეროებიც ხომ არსე-ბობს? მაგალითად, ასლან აგაშიძეს სერიოზული კონ-ტაქტები აქვს მოსამართი; აგერ ჩვენი ალექსანდრე ჭა-შიძია, უჟკვიანესი ადამიანი. თუ გინდა, რამეს მიაღწიო, ამათი გამოუყენებლობა შე-იძლება?! პოდიგი და ათასი უვიცი, გაუნათლებელი რომ გიდგას გვერდით, დაუძახე ამ ხალხსაც და ჩააყენე ევეყ-ნის სამსახურში.

— პრიორიტეტებზე ვსაუბრ-ობდით და დღევანდელი ხელის-უფლება იმასაც ამბობს, რომ სა-ქართველოს ერთ-ერთი მთავარი ამოცანა რუსეთთან თანამშრომ-ლობაა. როგორ ფიქრობთ, ეს არ არის რუსეთისთვის საკმარისი სიგნალი?

— ყველაზე კარგი სიგნალი და განცხადება არის ხოლმე მოქმე-დება, მაგრამ, როცა შენი სიტყვა



ერთია და საქმე მეორე, ფიცი მნამს ბოლომაკვირვებს. გულუბრყვილო არავინაა, ერთდროულად ნატოს წევრობა და რუსეთთან სიამტკბილობა რომ არ გამოვა, ყველას კარგად ესმის. დღევანდელ ვითარებაში შენი განცხადებებით ვერავის „დააბოლებ“. ამიტომ ამ ყველაფერს, უბრალოდ, აზრი არ აქვს.

— ჩვენმა ხელისუფლებამ გამოთქვა მზადყოფნა, რომ ითანამშრომლოს რუსულ მხარესთან უსაფრთხოებაში.

— ეს ყველაფერი თეორიულად გასაგებია, რასაც ემსახურება, მაგრამ, თუ რეალურად გვინდა, ნინ წავიდეთ მეზობელ სახელმწიფოსთან ურთიერთობაში, მაშინ ამას უნდა გავცდეთ. არ გამოვა, ერთის მხრივ, თანამშრომლობაზე საუბარი და, მეორე მხრივ, ამერიკის ხელდასხმული ხალხით გატენო მთავრობა. ამას ძალიან კარგად ხედავენ და ესმით.

— შედარებით პრორუსულად მოაზროვნე ხალხიც ხომ არის მთავრობაში, პარლამენტშიც?

— მთავრობაც და პარლამენტიც დღეს, ფაქტობრივად, აბარიათ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც არ დაუჯდებიან და არ მოუსმენენ რუსეთში. დიახ, არ მოუსმენენ რესპუბლიკელებს, რაც უნდა იღაპარა კონკრეტული მოუსმენენ ალასა-

ნიას ალიანსს. ზუსტად ამიტომ ვამბობ თითქმის ყველა ინტერვიუში ერთსა და იმავეს, — გამოიყენეთ საჭირო ხალხი. არის ჯერ კიდევ ამის შანსი და ნუ გავუშვებთ ამას ხელიდან.

— აქ, ალბათ, კიდევ ცალკე საკითხია, თვითონ იმ ადამიანებს რამდენად უნდათ დღევანდელ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა.

— სიმართლე გითხრათ, არ მქონია მათთან საუბარი და არ ვიცი, რა დამოკიდებულება აქვთ ამ ხელისუფლების მიმართ, მაგრამ მე ვიცი მათი ზოგადი შეხედულებები და მოსაზრებები არსებული პრობლემების მოგვარების გზებზე. გარდა ამისა, ვერ წარმომიდგენია, ისეთმა ულით და ხორცით აატრიოფება ადამიანება, როგორც თუნდაც ალექსანდრე ჭავია, ძველის მომავლისთვის უარი თქვას ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე. ყოველ შემთხვევაში ასეთ ხალხს უნდა სთხოვონ მხარში ამოდგომა. სხვა დანარჩენს ვითარება აჩვენებს.

— დავუბრუნდეთ აგვისტოს ომის თემას. ამას წინათ ჟურნალისტის კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა, რუსეთმა აფხაზეთისა და ოსეთის აღიარება ოდესმეუკან ნაიღოს, მედვედევმა ერ-

თგვარად ორაზროვანი პასუხი გასცა. მან თქვა, რომ დღეს ამის წინაპირობას ვერ ხედავს. რომ ყველაფერი დამოკიდებულია კონფლიქტის მხარეებზე. როგორ ფიქრობთ, რას წინავდა ეს განცხადება?

— ეს იყო ძალიან დელიკატური და მოზომილი განცხადება. მან, ფაქტობრივად, გვითხრა, რომ საქართველოს ბედი უნდა წყდებოდეს აქ, საქართველოში, და არა სადღაც ოკეანის გალმა. ახლა ამას გააზრება სჭირდება, ეს ხომ არ იყო ცარიელი სიტყვები? ხელისუფლებამ მსგავსი განცხადებები კარგად უნდა აწონ-დაწონოს, რათა მომავალი ნაბიჯები სწორად გათვალისწინება.

— გეთანხმებით, მაგრამ ხელისუფლება ვერ იქნება შეცდომებისგან დაზღვეული. თქვენი აზრით, რამდენად სჭირდება მას საზოგადოების მეცნიერებული საგარეო პოლიტიკის გატარების პროცესში?

— ერთგვარი აქსიომაა: ხელისუფლება, რომელიც მუდმივ საზოგადოებრივ კონტროლს ვერ გრძნობს, მიღრეკილია ერთპიროვნული მმართველობისა, აბსოლუტიზმისა და დიქტატორობისკენ. ეს გინდა „ოცნება“ იყოს და გინდა — სხვა ვინმე, ობიექტური კანონზომიერებაა. ამიტომ, რათქმა უნდა, საზოგადოების აქტიურობა აუცილებელია. მეტიც, ხალხმა რიგ შემთხვევებში უნდა მოითხოვოს მმართველი გუნდისგან განმარტებები, სად რაკეთდება, რა გადაწყვეტილებებია მიღებული. გასაგებია, რომ ყველაფერის გასაჯაროება შეუძლებელია, მაგრამ არის საკითხები, რომლებზეც ადამიანებს, რიგით მოქალაქეებს, ინფორმაცია უნდა ჰქონდეთ. ამას ჰქვია სახალხო დიპლომატია და ეს აუცილებელია. სხვანაირად ყოველთვის იქნება განცდა, რომ ხელისუფლება თავისთვისაა, ცალკე, როგორც სააკაშვილის რეჟიმის დროს იყო.

ესაუბრა ჯაბა ზვანია



ჩერქეზი სალხით ვაჭრობა და ისტორიის გაუაღიაბა «ნაცოდარიშის» არსენალი

ჩერქეზულმა დიასპორამ ჩერქეზთა გენოციდის აღიარების თხოვნით საქართველოს პარლამენტს ოფიციალურად 2010 წელს მიმართა, მაგრამ ეს საკითხი ერთი წლის შემდეგ გადაწყდა. ამ პერიოდში კი პროფესორმა ჩუხუამ შესაბამისი მასალის მოგროვებაც მოახერხა და საქმეც „დროულად“ მოგვარდა. მსოფლიო მასშტაბით, ჩერქეზთა „გენოციდის“ საკითხი აშშ-ის შექმნილმა საერთაშორისო სტრუქტურებმა წამოჭრეს და ადილეურ-ჩერქეზული დიასპორის წარმომადგენლებს აშშ-მა და ევროკავშირმა გრანტებიც გამოუყვეს. პროცესში დაუფარვად ჩაერთნენ აშშ-ის სპეცსამსახურების წარმომადგენლები, გამოიცა ტენდენციური მასალები ე. ნ. ჩერქეზების გენოციდთან დაკავშირებით. იმავე წლის ნოემბრის ბოლოს, ამერიკული ჯეიმსთაუნის ფონდისა და ილიას უნივერსიტეტის ორგანიზებით, თბილისში ჩატარდა კონფერენცია თემაზე: „მიჩქმალული ერები – ბოროტმოქმედებები გრძელდება. ჩერქეზები და ჩრდილოკავკასიელი ხალხები – წარსულსა და მომავალს შორის“. სწორედ ამ კონფერენციაზე მიიღეს მიმართვა საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის მიმართ.

2011 წლის 20 მაისს საქართველოს პარლამენტმა 95 ხმით საზეიმოდ მიიღო რეზოლუცია ჩერქეზის ხალხის გენოციდის აღიარების თაობაზე. დოკუმენტი, რომელზე დაყრდნობითაც პარლამენტმა აღნიშული გადაწყვეტილება მიიღო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, კავკასიოლოგმა მერაბ ჩუხუამ ერთი წლის განმავლობაში მოამზადა. მისი თქმით, საქართველოსთვის გენოციდის აღიარება პრესტიული და სამართლიანობის აღდგენის საქმე იქნებოდა.

მაშინდელი საპარლამენტო „ნაცელიტა“ ხოტბას ასხამდა ამ გადაწყვეტილებას, რომლის მიღმა ისინი ფერად მომავალს ხედავდნენ.

„როგორც არასადროს, ისე ვარ დარწმუნებული, რომ მეშვიდე მონვევის პარლამენტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროდუქტი, რომელსაც ახლა ვქმნით, არის განმსაზღვრელი იმისა, რომ მიხარია და ვამაყობ, რომ ვარ

ქართველი“, — თქვა მაშინ დიმიტრი ლორთქიფანიძემ. რუსულან კერვალიშვილი კი უფრო შორს წავიდა: „ვგრძნობ, რომ მე ვარ ქართველი და, ამავე დროს, ვარ ჩერქეზი, რადგან თქვენ დღეს იცავთ კავკასიის ხალხთა ინტერესებს“.

ოპოზიციამაც დაუკრა კვერი და „იამაყა“ იმით, რომ საქართველოს პარლამენტი იქნება პირველი, რომელიც ჩერქეზთა „გენოციდს“ აღიარებს. მაგრამ რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ცოტათი რეალურად მოაზროვნები „ნაციონალების“ პარტიაში მაინც მოიძებნენ. ხათუნა ოჩიაურმა განაცხადა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება, „გარკვეულ რისკებსაც შეიცავს, მაგრამ მაინც იქნება სამართლიანი და ღირსეული“. ასევე მმართველი პარტიიდან მისმა კოლეგამ, რატი სამყურაშვილმა, ხაზი გაუსვა იმას, რომ ეს გადაწყვეტილება მათი პოლიტიკური გუნდის პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი იყო.

ერთადერთი დეპუტატი, რომელმაც რეზოლუციის კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო, ჯონდი ბალათურია იყო: „მორალურად მხარს ვუჭერ ჩერქეზი ხალხის მიმართ სოლიდარობის გამოხატვას, თუმცა ჩვენ უნდა გვქონდეს პრაგმატული პოზიციაც, თუ რა მოჰყვება ამ გადაწყვეტილებას, და ამიტომ მიჭირს ამის მონონება“. მან ასევე განაცხადა, რომ რეზოლუციის მიღებით, შესაძლოა, სომხებისთვის გვეწყენინებინა, რომლებსაც არასდროს ჰქონდათ მხარდაჭერა საქართველოსგან სომეხთა გენოციდის საკითხში.

რეზოლუციის მიღებიდან ერთი კვირის შემდეგ კი კავკასიური ორგანიზაციების ფედერაციის სამმართველოს წევრმა ხამდან ჩემიროზიმ განაცხადა: „ჩვენ მოვითხოვთ თურქეთისგან, სცნოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, იმ ორი რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, რომლებსაც მთელი მსოფლიო საქართველოს შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს. როგორ უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, გასულ კვირას საქართველომ ჩერქეზთა გენოციდი აღიარა, რაც რუსეთის მიმართ აშკარად არამეგობრული ჟესტია. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო შეძლებს ჩერქეზთა სათემოს გულის მოგებას. ჩერქეზთა ხოცა-ულებელის დროს ქართველები რუსეთის მეფის ჯარის მხარეზე იყვნენ; გენოციდში ბრალი მათაც მიუძღვით და ამიტომ მათ, უპირველეს ყოვლისა, ბოდიში უნდა მოეხადათ. ამის გარდა, 1992 წლის ომის დროს ქართველებმა აფხაზეთში კვლავ გაიმეორეს თავისი სასტიკი საქციელი: ჩერქეზთა მონათესავე ენა აკრძალეს, ინტე-



ლიგენციის წარმომადგენლები ჩახოცეს. არა მგონია, რუსეთმა აღიაროს გენოციდი, მაგრამ ის ახლა სოჭის ოლიმპიადის მშვიდობიან ჩატარებაზე ფიქრობს".

ამდენად, ჩერეზები რომაზ თამაშს ეცევია: მათ არანაირად არ აძლევს ხელს რუსეთთან ურთიერთობის გაფულება, რადგან მომღერდ რუსეთს აქვს უფლება, შეცვალოს კანონმდებლობა ჩერეზთა მიმართ. ამავე დროს ისინი ყველა შესაძლებლობას იყენებენ, რათა აიძულონ რუსეთი, შეიცვალოს აზრი. აჩეზებენ რუსეთთან არამაგრძრულ ურთიერთობაში მყოფ რეზიტებს, აღიარონ გენციდი. ვერვერობით მხოლოდ საქართველო თამოებო არ ანესს. დარა მივიღოთ შედეგად? საქართველო ტრამპინად გამოიყენოს: ჩვენი აღიარების ცყალობით, გაროსაც მიაწვდინოს ხმა, ჩვენ კი უხერხულ მდგომარეობაზი, ასე ვთქვათ, ხაზანგში აღმოჩენით.

ყოველივე ეს იძლევა საფუძველს, ვთქვათ, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ ე. წ. ჩერეზთა გენციდის აღიარება არ არის დამოუკიდებელი გადაცვალისადმი გამოიყენოს: ჩვენი აღიარების ცყალობით, გაროსაც მიაწვდინოს ხმა, ჩვენ კი უხერხულ მდგომარეობაზი, ასე ვთქვათ, ხაზანგში აღმოჩენით.

რაიმე გენოციდი აღიაროს ჩრდილოეთ კავკასიაში.

აშკარა საბოტაჟის, დასავლეთში საკუთარი ქვეყნის ლანდღვისა და სხვა წვრილმან მავნებლობათა გარდა, სააკამპილის რეჟიმი ახალ ხელისუფლებას იმ შენელებული მოქმედების ნაღმებითაც უშლის ხელს, რომელთა ჩადება 9-წლიანი მმართველობის მანძილზე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ამერიკელი პატრიორების ხელშეწყობით უხვად და ბევრგან მოასწრო.

ერთ-ერთი ასეთი ნაღმია ჩერეზების გენოციდის აღიარებაა. დღეს უკვე ცხადია, რომ 2008 წლის როგორც არჩევნები, ასევე, შესაბამისად, პლებისციტიც ტოტალურად გაყალბდა. ცხადია, რომ ჩერეზების მითიური გენოციდის აღიარება არა ქართველი ხალხის ნება, არამედ ამერიკელ მესვეურთა ბრძანება იყო. რა უნდა მოუხერხოს ახალმა ხელისუფლებამ ზემოხსენებულ შენელებული მოქმედების ნაღმებს? საქართველოს მიერ ჩერეზთა გენოციდის ცალმხრივი აღიარება, რაც, ექსპერტების მოსაზრებით, ემსახურება მხოლოდ რუსეთის გალიზიანებას, მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის. ითქვა ისიც, რომ ეს აღიარება არის შენელებული მოქმედების ნაღმი, რომელიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საქართველოში სეპარატისტული განწყობილების კულტივირებას. საკითხავია, უნდა მოხდეს თუ არა ამ აღიარების გადასინჯვა.

უშიშროების ყოფილი მინისტრი, ვალერი ხაბურძანია, მიიჩნევს, რომ არ არის ჩვენი საქმე

ჩერეზთა, ინდიელთა და სხვა ხალხების ისტორიის (და ისიც ცალმხრივად) შეფასება, რა თქმა უნდა, დადგენილი წესით უნდა მოხდეს ჩერეზების გენოციდის „აღიარების“ ნიველირება.

პოლიტოლოგი პამლეტ ჭიპაშვილი მიიჩნევს, რომ პარლამენტის ამ გადაწყვეტილების გადასინჯვადღეს ძალიან დიდი არასერიონულობა იქნება. ჩერეზების გენოციდის აღიარების საკითხიც ამერიკელების მიერ იყო ინსპირირებული. მათ უნდოდათ და აიძულეს კიდეც საქართველო, რომ ეს ნაბიჯი გადაედგა. „ნაციონალებ-საც“ სურდათ რუსეთის გალიზიანება და ეს სრულიად არარაციონალური გადაწყვეტილება მიიღო პარლამენტი. თქვენ იცით, რომ გენოციდის აღიარებასთან დაკავშირებით გართულება პეტონდა და აქვს სომხეთს. სომხები ამბობენ, თუკი თქვენმა პარლამენტმა ჩერეზთა გენოციდი ცნო, რატომ არ შეიძლება მან სომხეთა გენოციდი ცნოს თურქეთის მხრიდან. ამ შემთხვევაში საქართველო ერთობ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა როგორც აზერბაიჯანის, ისე სომხეთისა და თურქეთის მიმართ. საქართველოს არ უნდა გადაედგა ეს ნაბიჯი, მაგრამ ამერიკელებს დაუჯერეს. ამერიკის ჯეიმსთაუნის უნივერსიტეტმა სამით თუ ოთხი კონფერენცია გაამართინა ამ საკითხზე საქართველოს წინა ხელისუფლებას. სამწუხაროდ, ამერიკელები აღარ ჩანან, მაგრამ ვჩანვართ ჩვენ. დღეს ძნელია იმაზე საუბარი, რომ პარლამენტი დაუბრუნდეს ამ საკითხს და თავიდან განხილოს და უარი თქვას წინა პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

ამ საკითხთან დაკავშირებით თემურ შაშიაშვილი, მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი თვლის, რომ, „ვინც რუსეთს აღიზიანებს, ლანდღავს, რუსულ საქმეს აკეთებს. ისინი აღლევნ რუსეთს თავისუფალი მოქმედების საშუალებას საქართველოში. არც რუსეთის მორჩილებაა კარგი და არც — ამერიკის. ან ორივესთან კარგად უნდა

ცხადია, რომ ჩერეზების მითიური გენციდის აღიარება არა ქართველი ხელის ცხადა, არამაგრძრულ ურთიერთობას და რუსეთის მორის უზროვნებელი გამოიყენოს: ჩვენი აღიარების ცყალობით, გაროსაც მიაწვდინოს ხმა, ჩვენ კი უხერხულ მდგომარეობაზი, ასე ვთქვათ, ხაზანგში აღმოჩენით?

იყო, ან მათთან ნეიტრალური პოზიცია გეჭიროს. ერთთან კარგად იყო და მეორესთან ცუდად, მხოლოდ ქვეყნის საწინააღმდეგოა. საქართველოში ძალიან ცოდნა პოტა პოლიტიკოსი ფიქრობს საქართველოს მომავალზე. ისინი, ძირითადად, არჩევნებზე ფიქრობენ. საქართველოში დამშენება და დათრგუნეს ხალხი და ახლა მათ მოსყიდვას ცდილობენ. გონებადაკარგული პოლიტიკოსები აკეთებენ ზუსტად იმას, რაც, მაგალითად, ჩერქეზთა გენოციდის აღიარებასთან დაკავშირებით მოხდა და რაც ჩრდილოკავკასიელებთან დაკავშირებით ხდება. ჩერქეზების გენოციდის აღიარება, რუსეთის მტრობა კი არა, საქართველოს მტრობაა.

აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძის აზრით, ამერიკას ხელს აძლევს რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის გაფუჭება, თორებ თვითონ არასდროს ყოფილა დაჩაგრული ერების დამცველი: „ჩერქეზები ჩვენი მონათესავე ტომია და მათდამი ძალიან დიდი პატივისცემა მაქვს. ბევრი რამ გვაკავშირებს კულტურულადაც და ტრადიციებით, მაგრამ საქმე ისაა, რომ ნინა ხელისუფლებას ეს სულ არ აინტერესებდა. საკაშვილს ჩერქეზები კი არა, თავისი ქვეყანა ეკიდა ფეხზე. ამ კაცს საკუთარი ხალხის გენოციდი ჰქონდა გამიზნული. რამდენი რამის ჩამოთვლა შევვიძლია, რომელი ერთი გავიხსენოთ. ამათი გეგმა იყო ქართველი ერის მოსპობა და ასრულებდნენ კიდევ პირნათლად, რამეთუ ეს ამერიკის მასონური ძალების მიერაა დაგეგმილი. რაც შეეხება აღიარებას, გასაგებია, რა განზრახვით წავიდნენ ამაზე, თავიანთი მოკლე ჭკუით, ვითომ რუსეთს უკინეს. სინამდვილებში, ფინია რომ სპილოს უყეფს, ისეა ამათი საქმე... კიდევ ვიმეორებ: ჩერქეზები ჩვენი მონათესავე ეთნოსია და მათდამი მხოლოდ პატივისცემა გვმართებს, მაგრამ ეს, რაც გაკეთდა, გენოციდის აღიარებას ვგულისხმობ, ჩვენს ინტერესებს ეწინააღმდეგება. რა შეიძლება

საქაშვილება ამ თავისი სელელური ნაბიჯით ერთდროულად სამდეგობრივი ციცაშე დაგვაკარგვინა. ესაა პომპი, რომელიც, როდის აფეთქდება, კაცება არ იცის

ამას მოჰყვეს მომავალში, კაცმა არ იცის“.

მომავალში კი ამან, შესაძლოა, სომხებს გაულვიძოს მადა და მათაც წამოჭრან მსგავსი საკითხი. სავსებით რეალურია და შესაძლოა, რომ სწორედ ამ მიზნით გადადგა წინა ხელისუფლებამ ასეთი ნაბიჯი. „არსებობს საქართველოს შვიდ ჯუჯა სახელმიწოდებაში გეგმა და მე პირადად ის ნანახი მაქვს“, — დაბეჭითებით ირწმუნება ბატონი ელიზბარი.

სომხების გენოციდის აღიარებით საქართველო აზერბაიჯანის სახით სამუდამო მტერს შეიძენს, თურქეთზე რომ არაფერი ვთქვათ. ხოლო ჩვენს სახელმწიფოს აზერბაიჯანთან დაპირისპირება ძალიან ძვირად დაუჯდება — გაზი იქნება თუ საწვავი, მოგეხსენებათ, იქიდან შემოდის.

სავსებით რეალურია თურქმესებთან დაკავშირებული საფრთხეც. შესაძლოა, მათაც მოითხოვონ გენოციდის აღიარება.

ასე რომ, საკაშვილება ამ თავისი სულელური ნაბიჯით ერთდროულად რამდეგობრივი ციცაშე დაგვაკარგვებით კი, რომელიც აგერ სულ რაღაც 21 წლის წინ მოხდა, ისტორიკოსებს ნამდვილად აქვთ კითხვები. ასე რომ, ასე მარტივად ვერ დადგება ეს საკითხი.

საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის თავმჯდომარე აღი ბაბაევი აცხადებს, რომ საქართველოში მცხოვრებ არც ერთ აზერბაიჯანელს არ აქვს რაიმე ამბიცია დამოუკიდებლობის ან გამოყოფის, დესტაბილიზაციის შემოტანის და ა. შ. ეს არის საკაშვილის ბინძური ფანგაზია.

„დარწმუნებული ვარ, ახალი ხელისუფლება არასოდეს გადადგამს იმ ნაბიჯს, — განაცხადა მან, — რომელმაც, შესაძლოა, სტრატეგიული პარტნიორები დაგვაკარგვინოს. ეს ყველას უნდა ესმოდეს და არც უნდა მოითხოვოს ვინმერ ჩვენგან ჩვენივე ინტერესების საწინააღმდეგო ნაბიჯების გადადგმა. მსგავსი რამ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში არ ხდება...“

რაც შეეხება სომხების გენოციდის შესაძლო აღიარების შედეგებს, შემიძლია გითხრათ, რომ ამაზე ცალსახად უარყოფითი რეაქცია ექნება თურქეთს და არა მარტო თურქეთს, კიდევ ძალიან ბევრ სახელმწიფოს. ისინი ითხოვენ თითქმის ასი წლის წინ მომხდარი გარკვეული ფაქტისთვის კონკრეტული სტატუსის მინიჭებას. ამ დროს საკითხავია, იყო თუ არა ეგ საერთოდ გენოციდი. მეორეც, საერთაშორისო ექსპერტები, ძალიან დიდი ეჭვით უყურებენ ამ ყველაფერს. ამიტომ, მევიტყოდი, რომ ეს გენოციდი უფრო ფანგაზიის ნაყოფია; აი, ხოჯალის გენოციდთან დაკავშირებით კი, რომელიც აგერ სულ რაღაც 21 წლის წინ მოხდა, ისტორიკოსებს ნამდვილად აქვთ კითხვები. ასე რომ, ასე მარტივად ვერ დადგება ეს საკითხი.

საქართველო, ისევე, როგორც ყველა ქვეყანა, უწინარესად, საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებს. აქედან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, ჩვენი ხელისუფლება არასოდეს გადადგამს იმ ნაბიჯს, რომელიც, სტრატეგიული პარტნიორები დაგვაკარგვინოს“.

დეა სვანიძე

ილია ჭავჭავაძე და გაზათი «ივარია» აფხაზეთის გასახებ

(გამოცემის დასაცყისი იხ. „ისტორიული მემკვიდრეობა“ №7)

დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე მონიშვნებით, მისთვის ჩვეული გულისყრით ადევნებდა თვალს კავკასიელი ხალხების ცხოვრებას გასული საუკუნის მეორე ნახევრის მანძილზე, მეტად დაინტერესებული იყო აფხაზეთით, აფხაზი და ქართველი ხალხების ურთიერთობით, მათი წარსულით, ანმყოთი და მომავლით.

სწორადაა აღნიშნული ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, რომ „ი. ჭავჭავაძე უპრეზიდენტის ერთველი სოციოლოგია, რომელიც საზოგადოებრივი კანონზომის მისამართის და რაცვლომის შესანიშნავი ნიმუშები დაგვიტოვა“. მისი ინტერესი აფხაზეთისა და აფხაზებისადმი, ამ მოძმე ხალხის ყოფა-ცხოვრების, კულტურის, ადათ-წესების, სარმუნოების, ზეპირსიტყვიერებისა და ტრადიციებისადმი გაიზარდა მას შემდეგ, რაც საქუთარი პერიოდული ორგანო „ივერია“ დაარსა (1877 წ.).



ზუგდიდში ქალთა სამასტაგლებლო სასტაგლებლის დასარსებლად

მონინავე ქართული პრესა და, კერძოდ, ი. ჭავჭავაძის „ივერია“, ფხილად ადევნებდა თვალს, თუ რა ხდებოდა სამეგრელოს სოფლებსა და დაბებში, რა მიმართება არსებობდა აფხაზ და ქართველ ხალხებს, მათს მონინავე შვილებს შორის, როგორ ეხმარებოდნენ ისინი ერთმანეთს ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული აღორძინებისთვის. მოვიტანთ მრავალთაგან ერთ მეტად დამახასიათებელ მაგალითს:

სალომე დადიანის (მიურატის მეუღლე) თაოსნობითა და მატერიალური დახმარებით 1900 წელს ზუგდიდში დაარსდა „მეორე კლასიანი სამასტაგლებლო კურსით და სამეურნეო განყოფილებით სანიმუშო სამრევლო დედათა სასწავლებელი“. მთავრობას ამ ღონისძიებისათვის გაუდია 17.000 მანეთი, ხოლო სალომე დადიანს სკოლისთვის უფასოდ გადაუცია სამი ქცევა მიწა ზუგდიდში და შენობა. მაგრამ ამასთან

ხალხს უნდა შეეგროვებინა კიდევ დამატებით 5.000 მანეთი.

ეს დიდი ეროვნული საქმე, ბუნებრივია, „ივერიის“ ფურცლებზე მსჯელობის საგანი გახდა. მას სტატიით გამოხმაურა ზუგდიდელი მოქალაქე მიხეილ კაკულია, რომელმაც ჩინებულად გააშუქა სასწავლებლის უდიდესი მნიშვნელობა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისთვის. მან განსაკუთრებით აღნიშნა, თურაოდენი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის კულტურული და მატერიალური ნინის განათლებას, ცივილიზაციას, ხალხის გათვითცნობიერებას, ახალგაზრდობის მორალურ და ინტელექტუალურ აღზრდას. ხოლო რადგან მოზარდი თაობის აღზრდას იჯახში უშუალოდ დედები ხელმძღვანელობდნენ, ამიტომ, მიუთითებს იგი, „ჩვენი შინაური და საზოგადოებრივი კეთილდღეობა დამოკიდებულია იმათგან, თუ გონებრივ განვითარებასთან ერთად რაზომ კეთილზენობრივი განათლება მიუღია მომეტებულს ნაწილს ჩვენის დედებისა. მეცნიერებამ ცხად ჭეშმარიტებად აღიარა, რომ მშობელთა ყოველი ზნე-ხასიათი, ასე თუ ისე,

დედის ძუძუსთან ერთად შვილზედ დედისგან უფრო გადადის, ვინემ მამისგან. ამიტომ თუ გვსურს, სამშობლოსა და ოჯახის ბედნიერება-კეთილდღეობას სასურველი ნიადაგი დავუმზადოთ, უნდა ვეცადნეთ კარგი დედები აღვუზარდოთ. მხოლოდ გონებრივად და ზნეობრივად კარგად აღზრდილი განათლებული დედები შეადგენენ ოჯახისა და საზოგადოების მტკიცე ბურჯს, მხოლოდ „კარგი დედები“ შესძენენ მამულს „კარგ შვილებსა“. აი, როგორ სწორი წანამძღვრებიდან ამოდიოდა „ივერიის“ კორესპონდენტი, როდესაც ასაბუთებდა დაბა ზუგდიდში ქალთა სამასტაგლებლოსასწავლებლის დაარსების აუცილებლობას. ეს სკოლა მას სამართლიანად მიაჩნდა ერთ-ერთ ეროვნულ ბურჯად დასავლეთ საქართველოში. ამიტომ იგი ამავე სტატიაში დახმარებისათვის მიმართავს აფხაზეთის მკვიდრ მოსახლეობასაც. ჩვენამ საქმეში მარტონი ვერაფერს გავხდებით, თუ სამურზაყანოს მოსახლეობა არ დაგვეხმარა. ჩვენ ხომ ძმები ვართ და ჩვენმა შვილებმა ერთად ისწავლონო. აი, რას ვკითხულობთ შემდეგ ამ სტატიაში:

„არა ნაკლებ ზუგდიდის მაზრი-სა უნდა ესიამოვნოს მეორეკლა-სიან სამასწავლებლო კურსით დედათა სასწავლებლის გახსნა ზუგდიდში ჩვენს მოსაზღვრე სა-მურზაყანოს. სამურზაყანოელნი ჩვენი ძმები არიან, იმათ ქალიშ-ვილებისათვის ეგ სკოლა, სადაც სხვა საგანთა შორის ქართულს ენას დიდი ალაგი ექნება დათმო-ბილი, მეტად საჭირო და ხელმი-საწვდომი იქნება“, ამიტომ იმე-დია, სამურზაყანოელნი დახმარე-ბას აღმოგვიჩენენო.

ხალხთა ურთიერთობაში „ივერიის“ მიერ განვითარები „კეთილი ნერგი“

„ივერია“ და მისი რედაქტორი ი. ჭავჭავაძე ასე აღვი-ვებდა ქმრჩასა და მიგობრო-ბას, ურთიერთ გაგებასა და პატივისცემას, ეროვნული თვითმევების აუცილებლო-ბას ისტორიულად ნაწარებ ძმურ ხალხებს შორის, რომე-ლთა გათიშვასა და განვირ-ძობას პევრი გულმოგზი-ნედ ცდილობდა. ხალხთა ურ-თიერთობაში „ივერიის“ მი-ერ განვითარების ურთიერთობის სასურვე-ლი შედეგი მოჰყოდა.

ასეთი ხასიათის პროპაგანდა, ხალხთა ქმრბისა და მეცნიერობის ქადაგება და ამ იდეის პრაქტიკუ-ლი ხორციელებას დამახასიათებე-ლი ნიშან-თვისება იყო „ივერიი-

სათვის“ და, პირველ რიგში, მისი რედაქტორისთვის.

„ივერია“ სათავეში ედგა ყოვე-ლგვარ საქველმოქმედო საქმიანობას, ხედავდა რა მასში ეროვ-ნული აღმორინების ერთ-ერთ სა-მუალებას. გაზეთის ფურცლებზე იბეჭდებოდა განცხადებები და გრძელი სიები იმ მოქალაქეებისა, რომლებიც შემონირულების სა-ხით გარკვეულ თანხას იღებდნენ რაიმე ეროვნულ-საზოგადო ღო-ნისძიების ჩასატარებლად. ასეთ საქმიანობას ინიციატივიანი მეს-ვეურები ჰყავდა.

„ივერიაში“ 1894 წელს გამოქ-ვეყნდა ოჩამჩირის სკოლის ზე-დამხედველის ლაზ. ხმალაძის ასეთი შინაარსის განცხადება:

„გიგზავნით დაბა ოჩამჩირეში შეკრებილს 65 მანეთს შოთა რუს-თაველის ფონდის სასარგებლოდ და გთხოვთ დაბეჭდოთ ერთ-ერთ ნომერში თქვენის გაზეთისა სია შემოწირველთა“.

სულ 40 კაცს გაუღია ეს თანხა. ზოგს 10 მან., ზოგს — 5; ზოგს — 2 მან., ზოგს — 50 კაც. უმრავლე-სობას კი თითო მანეთი. ასეთი ხა-სიათის შემოწირულებას დიდი სა-ზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი უთუოდ აღვივებდა სამშობლოს სიყვარულისა და ხალხთა მეგობრობის კეთილშო-ბილურ გრძნობას, ზრდიდა თაო-ბებს სახალხო მეგობრობის კე-თილშობილურ გრძნობას, ზრდი-და თაობებს სახალხო საქმისად-მი თავდადების სულისკვეთებით, ამტკიცებდა ხალხთა ქმრბისა და ურთიერთგაებას...

ი. ჭავჭავაძე განსაკუთრებული

გულისყურით ეკიდებოდა და ფხიზლად ადევნებდა თვალს ახ-ალგაზრდა აფხაზი ინტელიგენ-ციის საქმიანობას. იგი ყველა შე-საძლებელ შემთხვევაში მკითხვე-ლებს აწვდიდა ინფორმაციას მი-სი მოღვაწეობის შესახებ. „ივერი-აში“ ქვეყნდებოდა მდიდარი მასა-ლა აფხაზი პედაგოგებისა და სა-ზოგადო მოღვაწეების შესახებ.

იმ პერიოდის ცნობილი აფხაზი საზოგადო მოღვაწე იყო ოჩამჩი-რის ბლალოჩინი დიმიტრი მარლა-ნია, რომელსაც თავისი ერისა და ხალხთა ურთიერთობის სასიკე-თოდ ბევრი კარგი საქმე გაუკეთე-ბია. ქართველ მკითხველს მისი თავი, როგორც საზოგადო მოღ-ვაწნია, პირველად „ივერიამ“ გა-აცნო. გაზეთის კორესპონდენტი აფხაზეთიდან ნიკო ჯანაშია წერ-და:

„აქ (ოჩამჩირეში. — ო.ჭ.) ახლა გადმოიყვანეს ბლალოჩინად მამა დიმიტრი მარლანია წარმომადგენელია იმ ახალგაზრდა აფხაზთა ჯგუ-ფისა, რომელიც სულითა და გუ-ლით მონადინებული არიან არ მოისპოს ძველებური კავშირი აფხაზთა და ქართველთა შო-რის“.

ეს იყო ახალგაზრდა აფხაზი მოღვაწის შრომის არა მარტო და-ფასება, არამედ მისი ერთგვარი წახალისებაც, მის შესახებ ავტო-რიტეტული საზოგადოებრივი აზ-რის შექმნაც.

...ი. ჭავჭავაძის დაუღალავი ზრუნვის საგანს წარმოადგენდა აფხაზეთის ცხოვრება, აფხაზი ხალხის ყოფა, მისი კულტურა და ისტორია, ქართულ-აფხაზური ურთიერთობა, ქვეყნის ეკონომი-ური და სოციალური განვითარე-ბა. „ივერიას“ არაერთგზის აღუ-რავს საკითხი იმის შესახებ, რომ სოხუმს, ისე როგორც რუსეთის ბევრ სხვა ქალაქს, მისცემოდა თვითმმართველობა. ეს კი ქალა-ქისა და საერთოდ აფხაზეთის განვითარების ახალი და შედარე-ბით თავისუფალი გზა იქნებოდა, რომელიც შეზღუდავდა მეფის მთავრობის მსახურთა ძალმომ-რეობასა და აღვირახსნილობას.

**ი. ჭავჭავაძე განსაკუთრებული
გულისყურით ეკიდებოდა და ფხიზლად
ადევნება და თვალს ასაღებაზრდა
აფხაზი ინტელიგიაციის საქმიანობას.
იგი ყველა განსაკუთრებულ გამო-
ხარისხის ანგარიშის მისამართ
მისი მოღვაწეობის შესახებ**



მაგალითად, „ივერია“ ერთ-ერთ თავის ნომერში წერდა:

ასეთმა დაუინებულმა მოთხოვნებმა სასურველი ნაყოფი გამოიღოდა 1899 წლიდან ქალაქს თვითმმართველობის არჩევის უფლება მისცეს.

ი. ჭავჭავაძე აქაც საქმის კურსში იყო. იგი სოხუმელ მკვიდრთ ადლევდა სათანადო რჩევა-დარიგებას, ზოგჯერ კი მათ მიერ დასახელებული ქალაქის თვის კანდიდატურაზე საკუთარ აზრსა და შეხედულებასაც სთავაზობდა საჭიროებისამებრ. ასე მოხდა, მაგალითად, 1890-იანი წლების დასასრულს, როდესაც სოხუმის თვითმმართველობაში მეტად გამწვავდა მდგომარეობა და საჭირო შეიქმნა ისეთი კანდიდატურის მოძებნა ქალაქის მოურავად, რომელიც იქნებოდა პატიოსანი, კეთილსინდისიერი, სამართლიანი, განათლებული, კულტურული, თანაბარი ძალით დაიცავდა ყველა მშრომელის, ყველა ხალხის უფლებას, მიუხედავად მათი ეროვნული და სოციალური წარმოშობისა და რელიგიისა. აი, აქ აუცილებელი გახდა ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლების — ი. ჭავჭავაძის, ი. გოგებაშვილის, ნიკოლაძის, ალ. ხახანაშვილისა და ვ. პეტრიაშვილის აზრის გათვალისწინება.

1899 წლს სოხუმში პირველად ინდა შემოღებული ჩაღარის თვითმმართველობა. ქალაქის საბჭოს ხმოსნებმა, სადაც უმრავლესობა ქართველები და აფხაზები იყვნენ, გადაწყვიტეს ქალაქის თავად აერჩიათ გამოცდილი და უმნიკვლო ადამიანი, ცნობილი ლიტერატორი, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე ალექსანდრე სარაჯიშვილი. თ. სახოკია მას ასე ახასიათებდა: „კაცი დიდხანს ნამსახური სხვადასხვა სახელმწიფო პასუხსაგებ პოსტებზე. დამსახურებული ჰქონდა სრული ნდობა მთავრობის თვალში, ამასთან ცნობილი იყო, როგორც ქართველი თვალსაჩინო ლიტერატორი, საზღვარგარეთ განათლება მიღებული, ადამიანი უმნიკვლო პატიოსნები-

სა და თავის სამშობლოს კეთილდღეობის იდეით გამსჭვალული“.

ამ საკითხზე სოხუმელმა ქართველმა მოღვაწეებმა, ქალაქის საბჭოს ხმოსნებმა, წერილები გაუგზავნეს ქართველი ხალხის საუკეთესო შვილებს და სთხოვეს რჩევა-დარიგება. ასე გაიბა მიმონერა ი. ჭავჭავაძესთან, ნ. ნიკოლაძესთან, ი. გოგებაშვილთან, ოდესის უნივერსიტეტის პროფესორ ვ. პეტრიაშვილთან და მოსკოვის ინსტიტუტის პროფესორ ალ. ხახანაშვილთან.

„ვისაც შევატყუბინეთ ჩვენი გაჭირვება, — წერდა თ. სახოკია, — ყველამ გამოგვიგზავნა პასუხი და გამოსთხვა თავისი დადებითი აზრი ალ. სარაჯიშვილის შესახებ“.

სოხუმელმა ქართველმა და აფხაზმა ხმოსნებმა ი. ჭავჭავაძისა და დმინერა დაავალეს პედაგოგ ანთ. ჯუდელს, რომელმაც ილიას ასეთი შინაარსის ბარათი გაუგზავნა:

„თქვენ კარგად მოგეხსენებათ, თუ რა ცუდ პირობებშია ჩაყენებული ქ. სოხუმი და აქ მცხოვრები ქართველნი. დღეს ღმერთმა ინება და როგორც იყო თვითმმართველობის შემოღების ღირსი გავხდით. ხმოსნებათ უმეტესობა ჩვენები არიან, მაგრამ ესენი რის მაქნისი იქნებიან, თუ ქალაქის თავი ჩვენებური რიგიანი კაცია არ იქნა. ამის გულისათვის ჩვენ გვსურს თავად გვყავდეს კარგი როგორც ჭკუა-გონებით, ისე მოქმედებით მხნე და გამოცდილი კაცი. ამას აქ ბევრი საქმე ექნება. ბევრის თაობირის შემდეგ ჩვენ, აქაური ქართველობა, შევჩერდით ალექსანდრე სარაჯიშვილზე, რომელიც ამჟამად განჯის საგუბერნიო სამმართველოში მსახურობს და გადავწყვიტეთ დაგეკითხოთ თქვენც ამ კაცის შესახებ, რამდენად სასარგებლო იქნება იგი ჩვენთვის“.

ამ დოკუმენტს თარიღად უზის 1899 წლის 22 აპრილი.

ი. ჭავჭავაძემ ორ დღეში გასცა პასუხი. აი, ისიც:

„დიდად პატივცემულობატონო ანთიმოზ ივანისავ!

მადლობელი ვარ, რომ პატივი

მომანიჭეთ და ჩემს აზრს პთხოულობთ შესახებ ალექსანდრე სარაჯიშვილისა. ჩემის ფიქრით, უკეთეს კაცს ვერ იშოვით სოხუმის მოურავად. კაცი დარბაისელია, ჭკვიანი, განვითარებული და ძალიან გამოცდილი... თუ ალექსანდრე სარაჯიშვილის არჩევანი მოხერხდა, მე წინადადე მომილოცნია სოხუმისათვის ცალკე და ქართველებისათვის საერთოდ, რომ ამისთანა კაცს ერთი ჩვენი უდიდესი საქმეთაგანი ებარება. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, სწორედ შესაფერის კაცისათვის მიგინიათ“.

სოხუმელებმა ასევე დადებითი პასუხი მიიღეს სხვებისაგანაც. ალ. სარაჯიშვილს ყველა ახასიათებდა, როგორც მეცნიერს, პატიოსანს, კეთილშობილს, საქმიანს და ინტერნაციონალისტ მოღვაწეს. მათ შორის ი. გოგებაშვილი იტყობინებოდა:

„უკეთეს კანდიდატს ვერ იშოვით ვერც ქართველები და ვერც რუსები. კაცს უსწავლია საქართველოში, რუსეთში, ევროპაში. სწორედ რომ განათლებული ქართველია, გარდა ქართულისა და რუსულისა, ევროპული ენებიც იცის. ჩვენს ლიტერატურაში უღვაწნია და ეხლაც მოღვაწეობს... ამასთან, ძლიერ პატიოსანი და მშრომელი კაცია.

რუსები, როცა გაიცნობენ, მადლობას გეტყვიან ქართველებს, რომ ამისთანა კაცი მოგინახავთ. სისხლითაც ენათესავება რუსებს. დედა რუსი ჰყავს და ცოლადაც რუსის ქალი შეურთავს, რაც მას სრულიად არ უშლის ქართველი მამულიშვილი იყოს, თუმცა ლობიოს პატრიოტობას კი, რასაკვირველია, მოშორებულია“.

სოხუმის ქალაქისთავად ორი კანდიდატურა იქნა დასახელებული — ალ. სარაჯიშვილი და ბერენსი. ფარული არჩევნების შედეგად პირველმა მიიღო 24 დადებითი და 8 უარყოფითი ხმა, ხოლო მეორემ — 24 უარყოფითი და 8 დადებითი ხმა. მიუხედავად ამისა, ქუთაისის გუბერნატორმა არ დაამტკიცა კენჭის ყრის შედეგები. „თავისი გაიტანა უსამართ-



ლობამ და ტლანქმა ძალამ“. — წერდა ამ უკანონობის შესახებ თ. სახოვია.

გუბერნატორმა, წინააღმდეგ ყოველივე წესდებულებისა, სოხუმის მოურავად დაამტკიცა ქალაქის საბჭოს მიერ გაშავებული ბერები.

მსგავსადვე მოუვიდა თ. სახოვიას. „ივერიაში“ ვკითხულობთ:

„ჩვენ გვატყობინებენ, რომ სოხუმის ქალაქის საბჭოს მიერ გამგეობის წევრად არჩეული თ. სახოვია გუბერნატორს არ დაუმტკიცებია ამ თანამდებობაზე“.

ოდნენ მათი ინტერესებისა და უფლებების დასაცავად, მხარში ედგნან ადგილობრივ ინტელიგენციას. სამართლიანად მიუთითებს პროფ. გ. ძაძარია:

„Вопреки реакционной политике царизма, попавшие на Кавказ прогрессивные представители русской интеллигенции в меру своих возможностей оказывали плодотворное влияние на все развитие его народов“.

ასეთ პროგრესულ რუს მოხელეთა რიცხვს მიეკუთვნებოდა ი. ჭავჭავაძის ქვისლი, გენერალ-ლეიტენანტი დ. ს. სტაროსელსკი. გაზეთ „დროების“ ერთ-ერთ ნომერში არის მეტად საყურადღებო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი დ. სტაროსელსკი წინააღმდეგი იყო აფხაზეთში სხვა ერის დასახლებისა, გარდა აფხაზებისა და ქართველებისა. სტაროსელსკის სპეციალურად დაუთვალიერებია აფხაზეთის სანაპირო ადგილები და შემდეგ მეფისნაცვლისთვის წარუდგენია მოხსენებითი ბარათი, რომელშიც, „დროების“ ცნობით, შემდეგს წერდა:

„ამ მხარის წარმატებისთვის აუცილებლად საჭიროა რიგიანი გზების გაყვანა, სკოლების გამართვა და ცარიელ ადგილებზე ისევ აფხაზების, მეგრელებისა და საზოგადოდ ადგილობრივი ხალხის დასახლებაო, რადგან რუსები აქ, განსაკუთრებულ ბუნების, პა-

ვის გამოვერ სძლებენო“.

„დროების“ რედაქცია ამ ინფორმაციას ასეთ შენიშვნას უკეთებს:

„დიდი ხანია, ჩვენც ამ აზრისა ვიყავით და ახლაც ვართ. მით უფრო სასიამოვნოა, რომ ღენ. სტაროსელსკიც ამ ბეჯითს და მიუდგომელ დასკვნამდის მისულა“.

ასევე ცნობილია, რომ დ. ს. სტაროსელსკის ხელშეწყობით დ. ყიფიანმა, ი. ჭავჭავაძემ, ი. გოგებაშვილმა, ვ. თულაშვილმა და ბ. ლოლობერიძემ 1879 წელს დაარსეს ისეთი დიდი ეროვნული კულტურული დაწესებულება, როგორც იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“.

დ. ს. სტაროსელსკის შეხედულებს ემთხვეოდა უურნალ „სელსკი ხოზიანის“ თანამშრომლის — ე. ა. ბონდარენკოს მოსაზრებები კავკასიაში უცხო ტომთა დასახლების საკითხზე. ეს პროგრესული უურნალისტი წერდა:

„გადასახლება კავკასიასა და ამიერკავკასიაში დიდად სამწუხაო და არასასურველი მოვლენაა. გაუგებობაა, მეტი რომ არა ვსთევათ, ადგილობრივ მკვიდრთ წავართვათ ლუქმაპური და მივცეთ იგი სხვა მხარიდან მოსულთ, რომელიც ვერ ეთვისებიან ვერც ადგილობრივ ბუნებას, ვერც ხალხს, რომელიც არ არიან დაკავშირებული მათ საისტორიო და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან“.

გაზეთ „კვალის“ ცნობით, ქების ღირსი ყოფილა, აგრეთვე, მოსკვის უნივერსიტეტის პროფესორი, ექიმი ოსტროუმოვი, რომელსაც „განუზრახავს სოხუმში გულით დაავადებულთათვის სამაზრო სადგური დაარსოს“. თ. სახოვია ოსტროუმოვს უწოდებდა „ყველგან პატივცემულ პროფესორს და სოხუმის კეთილისმყოფელს“.

სოხუმელთა დიდი პატივისცემა დაუმსახურებია ექიმ დ. დიმიტრიეს. „ცნობის ფურცლის“ სოხუმელი კორესპონდენტის გ. ბარკალაიას აღიარებით, ადგილობრივ მკვიდრთა მიმართ კეთილი ადამიანური დამოკიდებულებით გამოირჩეოდა სოხუმელი მომრი-

**რუსი მოღვაწეები
ქადაგებულების
შინაგადებები
აღგილობრივების
მხარდაჭერი**



გებელი მოსამართლე ფეოდოტ
უსტიანოვიჩი.

ოჩამჩირეში ასეთი მოღვაწე ყო-
ფილა მასწავლებელი ივანე კუგა-
ტოვი, რომელსაც მშობელთა და
აღსაზრდელთა დიდი სიმპათია
დაუმსახურებია. აგრეთვე, ოჩამ-
ჩირელების დიდი სიყვარული მო-
უპოვებია პროვიზორი ი. კაცინს-
კის. ოჩამჩირელ სცენის მოყვარე-
თა წრეს დიდი ამაგი დასდო ოჩამ-
ჩირის საზღვაო სააგენტოს თა-
ნამშრომელმა პ. ზაიცევმა, რომე-
ლიც უანგაროდ აფორმებდა მო-
ხალისეთა სპექტაკლებს. მას მე-
ტად ჰუმანური და კეთილი ადამი-
ანის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი
მოსახლეობაში და დიდი პატივის-
ცემითაც ეპყრობოდნენ.

რუსეთის აროგრესული ინ-
ტელიგენცია მხარში ედგა
კავკასიოლ მოწინავე მოღვა-
ხებს მავის მთავრობის კო-
ლონიური აოლიტიკის ნინა-
აღმდეგ პრძოლაში. მას დღის
სინათლეზე გამოჰოდება
მთავრობისა და სამღვდე-
ლობის პნელი საქმიანობა,
რომელიც აა კარძო შემთხვე-
ვაში გამოიხატებოდა ქართ-
ველი და აზხაზი ხალხების
ისტორიულ-განტერიალური
კულტურის ძაგლების განად-
გურებაში. ბელეთისა და უმეც-
რების მსახური ბერები, და საერ-
თოდ სასულიერო მოღვაწეები,
შოვინიზმის ბანგით გაბრუებულ-
ნი, ტაძრებსა და მონასტრებში
შეგნებულად ანადგურებდნენ
ფრესკებს, წარწერებს, კედლების
მოხატულობას, რომ წაეშალათ
ეროვნული კვალი.

მათ წინააღმდეგ ბრძოლაში აღ-
სანიშნავია სახელგანთქმული
რუსი მხატვრის ვ. ვ. ვერეშჩავი-
ნის თავგამოდება. იგი გამოვიდა
მაშინდელ ცენტრალურ პრესაში
(„რუსკიე ვედომოსტი“, №246,
1901 წ.). ქართველებისა და აფხა-
ზების ეროვნული კულტურის და-
საცავად შავრაზმელი სამღვდე-
ლოებისგან. მას უურნალისტმა
ი. ს. დურნოვომაც დაუჭირა მხა-
რი. ამ უკანასკნელმა ხმამაღლა
დაინყოლაპარაკი პრესის ფურც-
ლებზე („პეტერბურგსკიე ვედო-

მცენარე 6. დურნოვი მთელი უაგენაზი ესარჩევაგოდა ქართულ ხელოვნებას, რომელიც საუკუნეების ნაქანვების გაღაურია და სარიზოს მსახური ვიზიდება გარემონტისა და მომართებელის მოსახლეობის საჯიშვილ გადაქცეულა

მოსტი“), რომ თბილისში დაარსე-
ბულიყო უნივერსიტეტი და პო-
ლიტექნიკური ინსტიტუტი ადგი-
ლობრივ მკვიდრთათვის.

„ცნობის ფურცელი“ ფართოდ
გამოეხმაურა ამ კეთილშობილ
ადამიანებს, თავის ფურცლებზე
გამოაქვეყნა მათი წერილები,
რომლებშიც დიდი ადამიანური
სითბო და თავგამოდება ჩანს.
1901 წელს გაზირმა (№586) მოა-
თავსა სარედაქციო წერილი სა-
თაურით, „ძველი ნაშთების განად-
გურების გამო“, სადაც მოტანი-
ლია მხატვარ ვ. ვერეშჩავინისა და
უურნალისტ ი. დურნოვოს შეხე-
დულებები ზემოაღნიშნულ სა-
კითხებზე.

ვ. ვერეშჩავინი აღმოჩენებული
იყო ახალი ათონელი და ბიჭვინ-
თელი რუსი ბერების ბარბარო-
სული საქციიელით, რომელთაც
გაეფუჭებინათ საამაყო ფრესკე-
ბი. მათ ყოველგვარი სინიდისის
ქენჯნის გარეშე შეულესიათ და
შეუთითხნიათ ისინი, რომ დაე-
კარგათ ეროვნული კვალი. ეს ნა-
ცადი ხერხი იყო. ასე გააჩანაგეს
სვეტიცხოვლის, ალავერდის,
ქაშვეთისა და მრავალ სხვა ძეგ-
ლთა სიდიადე.

აი, რას წერდა ჰუმანისტი რუსი
მხატვარი:

„რადგან საუბარი ჩამოვაგდე
ძველი ნაშთების დაცვაზე, მომ-
ყავს რამდენიმე მაგალითი ყოვ-
ლად ბარბაროსული მათდამი
მოპყრობაზე, რომელიც სრული-
ად უდრის ფურცლების ამოგე-
ჯას ისტორიიდან. თუ ბეჯითი
ზომები არ იქნა მიღებული, მოკ-
ლე დროში, არამც თუ განერება
რუსეთში ხისგან აგებული ნაშთე-
ბი, არამედ თვით ქვითკირის შე-

ნობანიც, — რომელიც მოეწონე-
ბათ ბაზრული გემოვნების მცი-
რებ განათლებულ გამგეთ...

მე ძალიან მოწადინებული ვიყა-
ვი დამეთვალიერებინა სახელგან-
თქმული ბიჭვინთის ტაძარი, სო-
ხუმის ახლოს მდებარე. ეს მართ-
ლა დიდებული ღირსშესანიშნავი
ნაშთია... ამ ტაძრის კედლები,
როგორც მარწმუნებენ, შემკული
იყო ფრესკებით.

ამ ფრესკების, უკეთ ვსთქვათ,
ამათი ნაშთების ნახვა მე, რო-
გორც მხატვარს, უმთავრესად მი-
მიზიდავდა. იქ მისაღწევად მე მი-
ვედი ახალი ათონის მონასტერში,
რომელსაც ამ ბოლო დროს მიაწე-
რეს ბიჭვინთის მონასტერი“.

...მწერალი 6. დურნოვი მთელი
შეგნებით ესარჩელებოდა ქართულ
ხელოვნებას, რომელიც საუკუნე-
ების წარლენას გადაურჩა და ცა-
რიზმის მსახური ვიგინდარა ბერე-
ბისა და წმინდა სინოდის მოხელე-
ების საჯიჯნად გადაქცეულა.

„საქართველოს ყოველი კუთ-
ხიდან ისმის ძველი ტაძრების
დაქცევა, მათი მშვენიერი ხუ-
როთმოძღვრების და ქანდაკების
ნაწარმოების გადაგვარება, გა-
ნადგურება და აოხრება“, — წერ-
და 6. დურნოვი.

ასეთი გულისწუხილით, ადამი-
ანური თანაგრძნობით ესარჩელე-
ბოდა მოწინავე რუსი ინტელიგენ-
ცია ქართველი და აფხაზი ხალხე-
ბის სულიერი და მატერიალური
კულტურის საუნჯეს.

დასასრული გამდეგ ნომერში

ოთარ ჭურღულია,
„ნაკვევები ქართულ-აფხაზური
კულტურულ-ლიტერატურული
ურთიერთობებიდან“, სოხუმი,
1983 წ.

29

ჯემალ მებონია:

სააკავშირო აუტომატურიზაცია უნივერსიტეტი კარიერის უგულებელყოფით, ეს ხელსუფლება ანგავს ემოქანიზმით

განათლების სამინისტრო კოაბიტაციას უფრთხილდება
და კანონით მინიჭებულ უფლებებს არ იყენებს...
განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებზე,
მის შედეგებსა და უმაღლეს სასწავლებლებში არსებულ
მდგომარეობაზე გვესაუბრება თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი პეტრე მერინი.

— ბატონი ჯემალ, ამას წინათ
პარლამენტში, ბიუროს სხდომა-
ზე განხილულ საკანონმდებლო
ინიციატივას, რომელიც რექტო-
რების დანიშვნის პროცედურის
ცვლილებას შეეხებოდა, უმაღ-
ლესი სასწავლებლების აკადემი-
ურ საბჭოებში ხმაური და მითქ-
მა-მოთქმა მოჰყევა. ამჟამად, რო-
გორც ვიცი, ეს საკანონმდებლო
ინიციატივა შეჩერებულია. კონ-
კრეტულად რა იყო ამის მიზეზი
და რა მდგომარეობაა დღეს უმ-
აღმოს სასწავლებლებში?

— მოდი, ცოტა შორიდან და-
ვიწყოთ. 1 ოქტომბრის შემდეგ,
როცა ახალი ხელისუფლება მოვი-
და, ყველას გაგვიჩნდა იმედი, რომ
რაღაც შეიცვლებოდა მთლიანად
ქვეყანაში და მათ შორის უნივერ-
სიტეტშიც. მანამდე რაც ხდებო-
და, ყველამ კარგად ვიციოთ —
სწავლის დონე დაცვა და უძმიმე-
სი მდგომარეობა იყო. ჩვენ ჩვენი
მხრიდან, ქართული აკადემია,
ყველანაირად მზად ვიყავით თა-
ნამშრომლობისთვის და ჯერ კი-
დევ გასული წლის დეკემბერში
შევთავაზეთ პარლამენტს გამო-
სავალი, როგორ შეიძლებოდა
უნივერსიტეტში რეორგანიზაცი-
ის განხორციელება. საქმე მდგო-
მარეობდა შემდეგში: უნდა გამო-
ცხადებულიყო გარდამავალი პე-
რიოდი, ამ პერიოდში დანიშნუ-



ვერსიტეტის შემთხვევაშიც, ანუ, როცა ის დააფუძნა სახელმწიფომ, მისი თანადამფუძნებელი იყო ერთ-ერთი შპს, რომელიც ეკუთვნოდა გიგი თევზაძეს. შემდეგ თევზაძე მის შესყიდვას აპირებდა და დარწმუნებული ვარ, სააკადემიული სიმბოლურ ფასადაც მისცემდა, მაგრამ მოუსწრო ოქტომბრის არჩევნებმა და ბუნებრივია, ეს ვერ მოხერხდა. ანალოგიური გეგმა ჰქონდათ ჯავახიშვილის უნივერსიტეტთან დაკავეშირებითაც...

— յո, մացրամ պնդութեքին
եօմ նոլու առ პէտոնձա առց երտ
ծէս-Ե?

— ამ შემთხვევაში სქემა ცოტა
განსხვავებული იყო, აյ შექმნეს
რაღაც ე.ნ. განვითარების ფონდი,
რომელიც კაცმა არ იცის, რას აკე-
თებდა და რას ემსახურებოდა.
რომ ჩაიხედოთ უნივერსიტეტის



წესდებაში, წერია, რომ ამ განვითარების ფონდს უფლება აქვს, გაასხვისოს სასწავლებლის ქონება, ანუ, ფაქტობრივად, მექანიზმები იყო შექმნილი უნივერსიტეტის ხელში ჩასაგდებად. ამას ესენი მიზანმიმართულად, წინასწარ განსაზღვრული გეგმით აკეთებდნენ და რა ბედიც ეწია აგრარულ უნივერსიტეტს, მალე, ალბათ, იგივე ელოდა ჯავახიშვილსაც. რომ არა, კიდევ ვიმეორებ, ის ცვლილება, რომელიც 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგად მივიღეთ....

— შეგიძლიათ, დაასახელოთ კონკრეტული პიროვნებები, ვინც იდგა ამ ყველაფრის უკან?

— ილიას უნივერსიტეტის შემთხვევაში ესენი იყვნენ, ერთის მხრივ, გიგი თევზაძე და მის შპს-ში შემავალი სუბიექტები, მეორე მხრივ კი, იყო სახელმწიფო — სააკადემიულის ხელისუფლება. ანალოგიური სქემა მოქმედებდა აგრძარულ უნივერსიტეტშიც, „ნაციონალურმა“ ბენდუქიძეს აჩუქეს ან სიმბოლურ ფასად გადასცეს ეს უზარმაზარი ქონება.

— თუ ეს ასეა, როგორ ფიქ-
რობთ, რატომ არ ინტერესდება
დღეს ხელისუფლება ამ სა-
კითხით?

— ბენდუქიძე იმაზე ჭკვიანი აღმოჩნდა, ვიდრე ბევრს ეგონა. მან ფაქტობრივად მოატყუა და გააპითურა განათლების სამინისტრო. თავის დროზე აკრედიტაციის არქონასთან დაკავშირებით პრობლემები რომ შეექმნა აგრარულ

უნივერსიტეტს, არც მის მიერ შეგ-
დებული თემა იყო, რომ ამით უფ-
რო დიდი დარტყმა აეცილებინა. ანუ, რეალურად რა დარღვევებიც
ჰქონდა მაგ უნივერსიტეტს, ამ
პროცენტაციული საკითხით გადა-
ფარეს. დღეს კი უკვე ხელისუფ-
ლება შებოჭილია და მეტს ვეღარ
შეედავება სასწავლებელს, იმი-
ტომ, რომ იმ ხმაურისა და აუკირა-
უის შემდეგ, რომელიც რამდენიმე
კვირა გაგრძელდა, ეს შეიძლება
ვიღაცამ პოლიტიკურ დევნად ჩა-
უთვალოს. მით უფრო რომ არჩევ-

ნებიც მოახლოებულია.
— დავუბრუნდეთ იმ საკანონ-
მდებლო ინიციატივას, რომელ-
ზეც დასაწყისში გუითხეთ, რას
ისახავდა ეს ინიციატივა მიზნად?

— პირველ რიგში ახალია ხელი-
სუფლებამ გადაწყვიტა, დაებრუ-
ნებინა უნივერსიტეტებისთვის
ნართმეული სტატუსი. ამის გამო,
გახსოვთ, პარლამენტში ერთი ამ-
ბავი იყო და უმრავლესობას პრე-
ზიდენტის ვეტოს დაძლევაც მო-
უხდა. „ნაცები“ ითხოვდნენ, თვი-
თონ გადაწყვიტონ სასწავლებ-
ლებმა, რა სტატუსი ჰქონდეთო.
თავის მხრივ, რექტორატიც და
აკადემიური საბჭოც, ბუნებრი-
ვია, წინააღმდეგი იყვნენ, უფრო
მაღალი სახელმწიფო სტატუსი
დაბრუნებოდა უნივერსიტეტს.
მათ ეს მდგომარეობა ყველანაი-
რად ხელს აძლევდათ, მაგრამ
ცვლილებების აუცილებლობასაც
ყველა ვხედავდით. მოკლედ, ხე-
ლისუფლებამ იმოქმედა წმინდა

Սաեղլմնիոյ ոնքուրեսեծուած գա-
մոմդոնարց դա ևս օնուցուաթուաց,
ռաջեց մեյոտեղեծուուու, Տրյուլուած
սամարտլուանած գանոնելուածուած.
զեցուու ճածլուցու Շեմդուց Ճարլո-
մենքմա գանատլուածուու սամոնուսէ-
րուու մունոնիշ պատլուած, պատցըրուու-
տուուու ելումծլուանելուածուու ճապ-
կուտեազած ճայուցումնելուածուու ևս սաջա-
րու սամարտլուու ուշրուուու Յո-
րած. պատլուայուրու տուուու գարցած
մուուուու, մերց կո, ար զուցու, ռա
մուեծա, սամոնուսէրուու ելու-պատ-
գաելսնուու Կյոնճած ճա Շեյլու, ճա-
շնուու ևս პրուցեսո, մացրամ ար գաս-
պետա.

— იქნებ უფრო დავაკონკრეტოთ, რა პროცედურები უნდა განეხორციელებინა განათლების სამინისტროს და რაზე შეიკავათავი ან უარი თქვა?

— ელემენტარული რამაა, მინისტრს ან მის წარმომადგენელს, უფლებამოსილ პირს უნდა შეეთავაზებინა მთავრობისთვის, პრემიერისთვის შესაბამისი დოკუმენტის ხელმონერა და მორჩა. ეს უმარტივესი პროცესია, მაგრამ ამის წაცვლად ახლა შემოაგდეს სულ სხვა თემა, რომელიც საერთო არაა პრობლემური.

— რომელ თემას გულისხმობთ?

— ახლა რაც განიხილება პარ-
ლამენტში და რასაც, ალბათ, ისევ
ვეტოს დაადებს პრეზიდენტი, —
რექტორის მოვალეობის შემსრუ-
ლებელი უნდა დანიშნოს თუ არა
პრემიერმაო. რად უნდა ამას
მსჯელობა, ამას ხომ კანონი არე-
გულირებს?! ეს ძალიან კარგად
იცან „ნაცეპტი“, მაგრამ, კიდევ
ვიმეორებ, შემოაგდეს თემა და
ამაზე გადააქვთ მთელი ყურად-
ღება. მე ძალიან ვწუხვარ, რომ გა-
ნათლების სამინისტრო არ იყენ-
ებს თავის უფლებებს. არადა, არ-
სებობდა რეალური შესაძლებლო-
ბა, ყველაფერი მოვარებულიყო;
ყველა საკითხს, ყველა გადაუჭ-
რელ პრობლემას საბოლოოდ წე-
რტილი დასმოდა.

— თქვენი აზრით, რატომ არ იყენებს სამინისტრო ამ უფლებებს? ხომ არ ფიქრობთ, რომ შეინით უნკებაში, შესაძლოა, ნინა

მე ქალიან ვწესვარ, რომ
განათლების სამინისტრო
არ იყენებს თავის უფლებებს.
არადა, არსებობდა რეალური
გესაძლებლობა, ყველაფერი
მოგვარებულიყო; ყველა საკითხს,
ყველა გადაუჭრელ პროგლემას
საგოლოოდ ცირტილი დასმოდა.



ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი ხალხი იყოს?

— იმას, რაც დანამდვილებით არ ვიცი, ვერ ვიტყვი, თუმცა რა-საც თქვენ ამბობთ, მსგავსი ეჭვები ბევრს უჩნდება. არაა გამო-რიცხული, იქ ვინმე მართლა იყოს ისეთი, ვინც ამ ყველაფერს ბლო-კავს, მაგრამ უფრო სხვა რამე მგონია, ჩემი აზრით, ხელისუფ-ლება საკუთარ იმიჯს უფრთხილ-დება გარკვეული ძალების თვალ-ში და არ უნდა მიმდინარე ე.ნ. კო-აბიტაციას ზიანი მიაყენოს. ყო-ველ შემთხვევაში, მე ვისაც ველა-პარაკე სამინისტროს ნარმომად-გენლებიდან, ყველა ერთსა და იმავეს ამბობდა, — არა, ჩვენ ამას არ გავაკეთებთ, თორემ იტყვიან, კომისრები გამოაგზავნესო. რას ნიშნავს კომისრები? კანონი გაძ-ლევს უფლებას, რისი გეშინიათ-მეთქი. ვერ შევასმინე და გავაგე-ბინე... მოკლედ, არაერთხელ მით-ქვამს და ახლაც ვიმეორებ: საა-კაშვილის რეჟიმმა უნივერსიტე-ტი დაანგრია კანონების უგულე-ბელყოფით, ამჟამინდელი ხელი-სუფლება კი აგრძელებს ამ პრო-ცესს უმოქმედობით. ახლა მითხა-რით, შედეგის თვალსაზრისით ჩვენთვის რა მნიშვნელობა აქვს ან ერთს, ან მეორეს?! ასე დამარქმევ თუ ისე, განსხვავება არის?! რეა-ლობა სახეზეა...

— წლების მანძილზე გვესმოდა საუბარი იმაზე, რომ „უნივერსი-ტეტში ძირითადად „ნაცმოძრო-ბისადმი“ ლოიალურად განწყო-ბილი პროფესორები იყვნენ. დღეს რა შეიცვალა ამ კუთხით?

— აბსოლუტურად არაფერი, ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ. ისევ ის ხალხია, ის კადრები, რომლებიც სწორედ ლოიალუ-რობის ნიშნით იყვნენ თავის დრო-ზე შერჩეული. თქვენ კარგად გახ-სოვთ, სააკაშვილის მოსვლისთა-ნავე რა პროცესები დაიწყო უნი-ვერსიტეტში, — ღირსეული დამ-სახურებული ადამიანები ძალის გამოყენებით გამოყარეს. 80-მდე პროფესორის სიცოცხლე შეეწი-რა მაშინ სამართლიანობისთვის ბრძოლას, არც ერთი მათგანი

დღეს არავის გახსენებია. მე არ ვიცი, რა ვიფიქრო, დროს ვკარ-გავთ არაფერმი. ისევ და ისევ კო-აბიტაციაო, რა კოაბიტაციაზეა ლაპარაკი, კაცს ჩადენილი აქვს დანაშაული, პასუხი არ უნდა აგოს?! ის, ვინც გეუბნება, თა-ნაცხოვრება ისნავლეთო, მტერია შენი! აბა, თვითონ ნახე, თავის ქვეყანაშით პატიობს ვინმეს რა-მეს, — აგერ ბერლუსკონის შვიდი წელი მისცეს, იქ კიდევ სარკოზი ცხრაჯერ დაიბარეს დაკითხვაზე.

— ხელისუფლების შეცვლის შემდეგ თითქმის ყველა უწყება-ში და დაწესებულებაში, რომლე-ბიც სახელმწიფოს მიერ ფინანს-დებოდა, შესაბამისი სამსახურე-ბი შევიდნენ და გამოძიება ჩა-ტარდა. ზოგან სერიოზული დარ-ლვები აღმოაჩინეს, როგორც ფინანსური, ისე სხვა სახის. თქვ-ენი აზრით, უნივერსიტეტში თუ არის მსგავსი გამოძიების ჩატა-რების აუცილებლობა და როგორ ფიქრობთ, რამდენად შესაძლე-ბელია, იქ მნიშვნელოვანი კანონ-დარღვევა იყოს?

— გამოძიება, მინიმუმ, უნდა დაინტერესდეს, იმიტომ, რომ კი-თხვებს მართლა ბევრი რამ აჩენს. თუნდაც შარშანდელი არჩევნები რომ ავიღოთ უნივერსიტეტში, სერიოზული დარღვევები იყო. დარღვევაში მე ვგულისხმობ გა-ყალბებას, რომლის დამადასტუ-რებელი მტკიცებულებაც მაშინ პროფესორმა სილაგაძემ წარმო-ადგინა.

— კონკრეტულად რა მტკიცე-ბულება იყო?

— მან გაასაჩივრა ამ არჩევნე-ბის შედეგები, მიმართა ექსპერ-ტიზას და სამსარაულის ბიუროზე გაატარა ეს ყველაფერი. სწორედ ექსპერტიზამ დაადგინა მაშინ, რომ ათი საარჩევნო ოქმიდან შვი-დი იყო გაყალბებული. მერე სასა-მართლომ უნივერსიტეტს გამო-უგზავნა დადგენილება რეაგირე-ბისათვის და უნივერსიტეტის აკა-დემიურმა საბჭომ, იცით, რა ქნა? — ეს დადგენილება განსახილვე-ლად გადასცა იმ რვაკაციან კომი-

სიას, რომლის მიერ ჩატარებული არჩევნებიც გაყალბებულად ცნო სასამართლომ.

— და რა რეაგირება მოახდინა ამ რვაკაციანმა კომისიაში?

— რას გააკეთებდნენ, თავიანთ თავს ხომ არ გამოუტანდნენ გა-ნაჩენს, ადგნენ და ჩანერეს, რომ კი, რაღაც დარღვევები იყო, მაგ-რამ საბოლოოდ მაინც ყველაფე-რი კარგად ჩატარდა. მეტი დანა-შაული რაღა გინდათ?

— როგორ ფიქრობთ, პროკუ-რატურას აქვს თუ არა ეს ინფორ-მაცია?

— პროკურატურაში ეს ყველა-ფერი იდო მაშინაც და დევს დღე-საც, მაგრამ იმ დროს თაროზე იყო შემოდებული. ვიმედოვნებ, ახლა მიაქცევენ ამ საქმეებს ყუ-რადღებას და ყველაფერს დაერ-ქმევა თავისი სახელი. ყოველ შემ-თხვევაში ახლა ამას ხელს არაფე-რი უშლის.

— თქვენ, ნინა ხელისუფლების დროს დაზარალებული პროფე-სორები რას აპირებთ?

— ჩვენ გვაქვს უამრავი ფაქტი, ინფორმაცია და მტკიცებულება. ბოლოს და ბოლოს მომსწრეები ვართ ყველა იმ უკანონობის და უსამართლობის, რაც ნინა ხელი-სუფლების დროს ხდებოდა. მაგ-რამ ადრეც ვთქვი და კიდევ ვიმე-ორებ, რომ სანამ ხელისუფლება იქნება ასეთი ინერტული, ვერა-ფერს გავხდებით. მარტო ჩვენი ძალისხმევა არაფერია, აქ, მე მგონი, საზოგადოებაც უნდა ჩა-ერთოს აქტიურად. ერთად უნდა ვაძლევ მთავრობა, პრემიერი — ყველა, ვისაც ეს საკითხი ეხე-ბა, რომ იმოქმედოს, რომ გამოუ-ძიებელი არ დარჩეს არც ერთი საქმე. მერე თუ ვინმე დასასჯე-ლია, ცხადია, უნდა დაისაჯოს, ოლონდ იმის მიხედვით კი არა, იქიდან, დასავლეთიდან რას გი-კარნახებენ, არამედ შენი სასა-მართლოთი და კანონმდებლო-ბით. ღირსეული სახელმწიფო ეს არის, ამას დაუჭირა მხარი 1 ოქ-ტომბერს ქართველმა ხალხმა.

ესაუბრა ჯაბა ზვანია

მინის რეზორჩე საქართველო

„რას ვაქნევ ცარიელ მშვიდობას ცარიელ სტვამაქით? რაი არნ მშვიდობა? უხმარ სატევარს უანგი დაედვის, უსრბოლო წყალჩი ბაყაყნი, ჭიაჭუაი, ქვემრომი გამრავლდის. უდეგარ, უსვენარ თერგჩი კი კალმახი იცის! რაი არნ მშვიდობა ცოცხალ კაცთათვის? რაი არნ მტერობა, თუ ერთ ერთბს? ცარიელ მშვიდობა მინარიც გვეყოფის“, — ლელთ ღუნიას პირით ნათევამი ეს ჭეშმარიტება სამშობლოში მომავალ ილიას ისარივით მოხვდა გულმი. მისი აზრით, ყოველი ქართველი მოვალეა, აღადგინოს ჩვენი დაცემული ვინაობა, ფეხზე დააყენოს და დაიცვას ყოველგვარი ფათერაკისგან. ილიამ ამისათვის ყველაფერი გააკეთა. მის მიერ საქართველოს აღმშენებლობის საძირკველში ჩადებული პირველი მაგარი ქვა ის ფუნდამენტია, რომელიც დღესაც უჩვენებს ქართველ ერს ერთიანი, ძლიერი, დემოკრატიული ლირებულებებით დამშვენებული ახალი საქართველოს მშენებლობის გზას.

საუკუნეებით დაგროვილი გამოცდილებისა და ცოდნის გამოყენებით ქვეყნის ნინსვლაზე მოფიქრალი ადამიანები, საბედნიეროდ, დღესაც არიან საქართველოში, რომლებიც მზად არიან, უშურველად, უანგაროდ მიიღონ მონაწილეობა ძლიერი სახელმწიფოს აღმშენებლობაში. ზოგიერთმა მათგანმა უურნალ „ისტორიულ მემკვიდრეობაში“ რუბრიკით „ნინ ნავედით თუ უკან“ უკვე გაგვიზიარა თავისი მოსაზრება. ამჯერად ჩვენი სტუმარია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ-ს პროფესორი წლების მანძილზე — ამირან ჯიბუტი.



ამირან
ჯიბუტი

(დასასრული. დასაცილი იხ. „ისტორიული გეგმიდრეობა“ №7)

მცირემინიანი ქვეყნის მინების უცხოელებზე გაყიდვა სასტიკად უნდა აიკრძალოს

დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტს უნდა ჰქონდეს ეროვნულ ნიადაგზე შემუშავებული აგრარული პოლიტიკა. „მინის შესახებ კანონი“ უნდა შემუშავდეს აგრარიკებისა და ეკონომისტების აქტიური მონაწილეობით. ამ კანონმა უნდა უზრუნველყოს მინების რაციონალური გამოყენების, ნიადაგის ნაყოფიერების ზრდის და მინის რესურსების სათანადო დაცვის პირობები. ასეთი კანონი გადაწყვეტს დამოუკიდებელ საქართველოში აგრარული პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს და მტკიცედ დადგება ხალხის, კერძოდ, ქართველი ფერმერების ინტერესების სადარაჯოზე.

რაც შეხება მათ, ვინც საქართველოს მინები გაყიდეს, ისინი ისეთივე დამნაშავეებად უნდა ჩაითვალონ, როგორც ისინი, ვინც მონაწილეობდა საქუთარი ქვეყნისა და ხალხის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში, რომელსაც აფხაზე-

თისა და სამაჩაბლოს რუსეთისთვის გადაცემა ჰქვია. ვინ მისცა ამათ საქართველოს მიწა-წყლის გაყიდვის უფლება? სად არის ერი, ქართველი საზოგადოება?

ამ ვაუბატონებმა არც საქართველოს ისტორია და, რა თქმა უნდა, არც საკუთარი ქვეყნის ეკონომიკა იციან. მინა ხომ ჩვენი მარჩენალი დედაა და მისი უცხოელებზე გასხვისება იგივე საკუთარი დედის გაყიდვას არ ნიშნავს? რომ ყიდით, არ უნდა იცოდეთ, რას ყიდით, ვის მინას ყიდით? საქართველოდან დღეს 1.5 მლნ კაცია უცხოეთში გადახვეწილი და მის მინას ყიდით? ქართველებს საქართველოში ჩამოსვლისა და ცხოვრების უფლებას ართმევთ? სამშობლოს ყიდით? საქართველო მსოფლიო ერთ-ერთი ყველაზე მცირებულია. აქ მინების საერთო ფართობში ყველაზე დაბალია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოსაყენებული (სახმარი) სავარგული მინების ხვედრითი წონა. იგი შეადგენს 2991.100 ჰექტარს, ანუ ქვეყნის საერთო ტერიტორიის მხოლოდ 42.9%-ს. ამასთან, საქართველო-სათვის დამახასიათებელია მკვეთრად გამოხატული რელიეფის ვერტიკალური ზონალობა.

საქართველოს ტერიტორია (ზღვის დონიდან), ვერტიკალური

ზონალობის მიხედვით, შემდეგ-ნაირად ნაწილდება:

500 მეტრამდე შეადგენს მთელი ტერიტორიის 26.7%-ს;

500-დან 1000 მეტრამდე — 21.7%-ს;

1000-დან 1500 მეტრამდე — 19.1%-ს;

1500-დან 3000 მეტრამდე — 31.0%-ს;

3000-ს მეტრს ზევით — 15%-ს.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი 3 მილიონ ჰექტარსაც ვერ აღნევს და მისი უდიდესი ნაწილი აღსურ საძოვრებსა და სათიბებზე მოდის. ამდენად, მსოფლიოს სხვა დანარჩენი მცირემინიანი ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების უფრო არახელ-საყრელი პირობები აქვს. აქ მეტისმეტად მცირეა სახნავი მიწების ფართობი; იგი 759.3 ათ ჰექტარს შეადგენს, რაც ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის მხოლოდ 10.9%-ია.

საქართველოს თითოეულ მცხოვრებზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი 5716 კვ. მეტრია, ხოლო სახნავის ფართობი 1450 კვ. მეტრს უდრის. რეფორმის შედეგად ქვეყანაში არსებული 747.2 ათასი ჰა სახნავიდან განაიღდა 438.5 ათას ჰა, აქედან 190.4 ათასი ჰა გაიცა იჯარით, ხოლო 248.1 ათასი ჰა განანიღდა საქართველოს დანარჩენ მოქალაქებზე, ე. ი. **ამჟამად საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე მოდის მხოლოდ 474 კმ. მ სახნავი მინა, რაც ყველაზე დაბალი მოსახლეობის მიზანით შედეგების დაძლევა კი ურთულეს პრობლემას ნარმოდებენს.**

მათ შორის სახნავი მიწები დაქუც-მაცებულია წვრილ კონტურებად. სახნავი ფართობების ორი მესამედი 1 ჰექტარამდე ნაკვეთებზე მოდის. მინის რეფორმის შედეგად მოქალაქეთა სარგებლობაში 4 მილიონზე მეტი ნაკვეთია გადაცემული, რომელთა საშუალო სიდიდე 0.2 ჰექტარს არ აღემატება. ნაკვეთების წვრილ კონტურიანობა მნიშვნელოვნად აფერხებს სოფლის მეურნეობის განვითარებას. მიწების დაქუცმაცებით მიღებული უარყოფითი შედეგების დაძლევა კი ურთულეს პრობლემას ნარმოდებენს.

საქართველოს მინის ფართობების დიდი ნაწილი ხასიათდება დაბალი ნაყოფიერებით. იგივე ვერტიკალური ზონალობის გამო საქართველოს სოფლის მეურნეობა მრავალდარგოვანია. აქ წარმოუდგენელია ერთი ან თუნდაც რამდენიმე დასახელების პროდუქციის იმრაოდენობით წარმოება, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი გახდებოდა მთელი აგრარული სფეროს განვითარება. მთისწინებსა და მთებში მრავალნაკვეთიანობის, სავარგული ფართობების სიმცირისა და დახრილობის გამო დამახასიათებელია წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის მეტისმეტად დაბალი დონე.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის მექანიზაციის ბუნებრივ-ეკონომიკური და საწარმოო პირობები მრავალფეროვანია და მკვეთრად განსხვავებულია საერთო პირობებისგან.

იმის გამო, რომ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა დიდი ნაწილი განლაგებულია სხვადასხვა დახრილობის მქონე ფერდობებზე, მათზე თანამედროვე ტიპის სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენება ძალზე შეზღუდულია, ხოლო ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელიცაა. ამიტომაც გაძნელებულია სამრეწველო საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება. ამ ტიპის მეურნეობებში ხელით შრომა დიდი ხვედრითი წილითა წარმოდგენილი.

ჩვენში, რთული რელიეფის გამო, გაცილებით უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს ერთზომლი თუ ნიადაგის დამანგრეველი და წამლეკავი პროცესები, მთის მდინარეებისა და ხევების, აგრეთვე, კოკის პირული წვიმებისა და ღვარცოფების შედეგად აქ ზარალი მეტია, ვიდრე სადმე, თუნდაც მსოფლიოს რომელიმე სხვა ქვეყანაში. ამასთან, საქართველო სარისკო მინათმოქმედების ქვეყანაა. აღმოსავლეთ საქართველოში მოწყვის, ხოლო დასავლეთში დაშრობის გარეშე მნიშვნელოვან ფართობებზე გარანტირებული მოსავლის მიღება შეუძლებელია.

არსებობს ასევე, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების და მათ შორის სახნავი მიწების შემცირების სხვა მიზანებიც. საერთოდ, მოსახლეობის რიცხვონობის ზრდასთან ერთად იზრდება როგორც სამრეწველო მბირეების, ისე დასახლებული პუნქტების (ქალაქების, სოფლებისა და ა. შ.) რაოდენობა, რაც მნიშვნელოვნად





ამცირებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოსაყენებელი სავარგულების ფართობს. აკადემიკოს ს. გ. სტრუმილინის გაანგარიშებით, 1970 წლს რუსეთში სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან ამოღებული იყო 50 მლნ სასოფლო-სამეურნეო სავარგული. მისი გაანგარიშებით, ასეთი ფართობები ყოველწლიურად იზრდება და კაცობრიობას პრობლემას უქმნის.

ქალაქების, სამრეწველო და ინფრასტრუქტურული ობიექტების ზრდის შედეგები შეიძლება ნათლად წარმოვიდგინოთ საქართველოს მაგალითზე, სადაც არის 95 ქალაქი და ქალაქის ტიპის დასახლება და 911 სოფელი.

განსხვავებულია, აგრეთვე, საქართველოს დემოგრაფიული პირობები. კერძოდ, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის შეფარდება. 1986 წლის მონაცემებით, საქართველოში ცხოვრობდა 5234.0 ათასი კაცი, აქედან ქალაქად 2.833.0 ათასი (54.0%), ხოლო სოფლად — 2401.0 ათასი (46.0%). სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო სოფლად მცხოვრებთა საერთო რაოდენობის 26.4%.

როგორც ვნახეთ, მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობისთვის დამახასიათებელ საერთო ნიშნებთან და კანონზომიერებებთან ერთად საქართველოს სოფლის მეურნეობისთვის დამახასიათებელია რიგი თავისებურებები, განსაკუთრებით ის, რომ იგი ხორციელდება მცირემინიანობის პირობებში, რომელსაც თან ახლავს მდგომარეობის დამამდიმებელი მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები.

აი, ასეთ სიტუაციაში იყიდება ქართული მიწები და ამ მიმართულებით არავითარი ანგარიში არ ეწევა ქვეყნის სპეციფიკურ პირობებს. არაოფიციალური მონაცემებით, დღეისათვის უცხოელებზე 29.322 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულია გაყიდული.

საქართველოს ინტერესებისთვის მიუღებელია ისეთი რეკომენდაციები, რომლე-

ბიც ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების უცხოელების მიყიდვას.

მაგალითად, პარლამენტში „ქართული ოცნება“ — ფრაქცია „რესპუბლიკელები“ არ იზიარებს უცხოელებისა და უცხო ქვეყნებში რეგისტრირებული იურიდიული პირებისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწების საკუთრებაზე უფლების შეზღუდვის ინიციატივას.

ფრაქციის ხელმძღვანელი პრესაში სახალხოდ აცხადებს, „სკეპტიკურად ვუყურებ და ვარაუდობ, რომ ჩვენი ფრაქცია არ იქნება მომხრე, იმპერატიულად წავიდეთ იმ მიმართულებით, რომ, პრინციპში, შეუძლებელი იყოს ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებისთვის, დასავლეთის თუ სხვა ქვეყნების წარმომადგენლებისთვის პრინციპულად ავკრძალოთ მინაზე საკუთრების უფლება.“

რესპუბლიკელებისთვის მთავრი პრობლემა ის კი არაა, საქართველოში მიწის მესაკუთრე სხვა ქვეყნის მოქალაქეები რომ იქნებიან, არამედ მთავარია საკანონდებლო უზრუნველყოფა, რომლის მიღებას ისინი მოუთმენლად ელიან.

სამწუხაროდ, არც „ქრისტიან დემოკრატები“ არიან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების უცხოელების საკუთრებაში გადაცემის წინააღმდეგი. მხოლოდ საქართველოს ევროკავშირში შესვლამდე მოითხოვენ მორატორიუმის გამოცხადებას.

ჩვენი აზრით, ასეთი რეკომენდაციები ისეთი პატარა ქვეყნის დამოუკიდებლობას, როგორიც საქართველოა, დიდად არ წაადგება.

როგორც ეს ოფიციალური მონაცემებით დასტურდება, საქართველოში მიწები შესყიდული აქვთ ჩეხებს, ჩინელებს, ინდოელებს, ირანელებს, ამერიკელებს, ებრაელებს, ინგლისელებს, იტალიელებს, ფრანგებს, გერმანელებს, თურქებს, ბურებს და ა. შ. საქართველოში ოფიციალურად

დარეგისტრირებულ ირანელთა რაოდენობა 6000 შეადგენს; ბათუმშა და მის შემოგარენში საუკეთესო მიწებზე, სულ მცირე, 20 ათასი ეთნიკური თურქია დასახლებული; აგრეთვე, მიწებს ყიდულობენ სომხები; თბილისის ზღვაზე 127 ათასი ჩინელისთვის ენიობა დასახლება; საქართველოში სხვადასხვა რეგიონში ათიათასობით ბურია ჩასახლებული და ა. შ. ქვეყანაში უცხოელების ასეთი დიდი რაოდენობით შემოსვლა და დამკვიდრება ახლო მომავალში იქამდე მიგვიყვანს, რომ საკუთარ ქვეყანაში ეროვნულ უმცირესობად ვიქცევით.

როგორც ვხედავთ, ბოლო პერიოდში მრავლად დაგროვდა უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საქართველოში ბინადრობის და სამომავლოდ სხვადასხვა სახის ბიზნესის განხორციელების სურვილით შეუფერხებელი შემოსვლის მაგალითები. იმიტომ, რომ 22 წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გაღატაკდა, ამის გამო მინა საგრძნობლად გაიაფდა და უცხოელებისთვის, განსაკუთრებით ჭარბი მოსახლეობის მქონე ქვეყნებისთვის, მიმზიდველი გახდა.

წინა ხელისუფლებამ სრული უპასუხისმგებლობა გამოიჩინა და მთლიანად აიღო ხელი სოფელსა და სოფლის მეურნეობაზე.

ქვეყანაში შეიქმნა ჩინელთა, თურქთა და ინდოელთა კომბაქტურად განსახლების ადგილები. ისინი საქართველოში, რეალურ საბაზრო ფასებთან შედარებით, სიმბოლურ ფასად ყიდულობენ მიწებს. ეს ყველაფერი „ზაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის გაუმართლებელი და არასწორი სახელმწიფო პოლიტიკის შედეგია. სამწუხაროდ, ეს პოლიტიკა ინერციით გრძელდება, რაც სახელმწიფოს მხრიდან გადაუდებელ რეაგირებას საჭიროებს.

აუცილებელია, განსაკუთრებული ყურადღებითა და სიფრთხილით მოვეკიდოთ საკმაოდ დელიკატურ საემიგრაციო კანონმდებლობას, განსაკუთრებულ

ლი პასუხისმგებლობა უნდა და-
ეკისროს ხელისუფლებას. უცხო
ქვეყნების მოქალაქეებზე ქონე-
ბის გადაცემაზე საქართველოში
მორატორიუმი უნდა გამოცხად-
დეს და სასტიკად აიკრძალოს მი-
ნის გაყიდვა. ყველასთვის გასა-
გები უნდა იყოს ის, რომ საქართ-
ველო მცირებინიან ქვეყანას
წარმოადგენს.

მიწების პრივატიზება და განსა-
ხელმწიფოებრიობა აგრარული
სფეროს საპაზრო ეკონომიკურ
ურთიერთობებზე გადასვლის ძი-
რითადი მიმართულებაა და კა-
ნონზომიერ პროცესს წარმოად-
გენს. როგორც ზემოთ აღვნიშ-
ნეთ, მისი კერძო საკუთრებაში
გადაცემა და ყიდვა-გაყიდვის
ობიექტად გადაქცევა სრულია-
დაც არა საშიში. პირიქით, სწო-
რედ მიწების კერძო საკუთრება-
ში გადაცემით ეყოლება მიწას
ნამდვილი პატრონი. მიწაზე კერ-
ძო საკუთრების კანონმდებლო-
ბით დამკვიდრების პირობებში
გლეხობა მტკიცედ დაუბრუნდე-
ბა მიწას და ბეჭითად შეეცდება
აღადგინოს მდიდარი სამიწათ-
მოქმედო ტრადიციები. აქედან
გამომდინარე, ხელი კი არ უნდა
ავიღოთ მიწების კერძო საკუთრე-
ბაში გადაცემისა და (ქვეყნის შიგ-
ნით) მისი ყიდვა-გაყიდვის ობიექ-
ტად აღიარებაზე, არამედ პირი-
ქით — მიწის ყიდვა-გაყიდვა უნ-
და შეეძლოს საქართველოს ყველა
მოქალაქეს. ხოლო ქართული მი-
წების უცხოელ ფიზიკურ და
იურიდიულ პირებზე გაყიდვა კა-
ნონით (სასტიკად) უნდა აიკრძა-
ლოს. სახელმწიფომ ბოლომდე
უნდა აღმოფხვრას ქვეყანაში
ფესვგადგმული განუკითხაობა,
როცა იყიდება საქართველოს უძ-
ველესი და უნიკალური ძეგლებით
დაფარული ტერიტორიები, ქარ-
თველი ერის ხელშეუხებელი ის-
ტორიული საგანძური და ა.შ. მი-
წების პრივატიზების პროცესი
დარღვევებით თუ მიმდინარეობს,
ეს უფრო კანონის უზენაესობის
უგულებელყოფისა და სახელმწი-
ფო ჩინოვნიკების დაუსჯელობით
გამოწვეული პრობლემაა და არა
მიწების პრივატიზების შესახებ



პარლამენტის მიერ მიღებული კა-
ნონის შედეგი. პირიქით, პრივა-
ტიზების შესახებ მიღებული კა-
ნონი არის წინ გადადგმული სე-
რიოზული ნაბიჯი სოფლად აგრა-
რული ურთიერთობების მოწეს-
რიების თვალსაზრისით.

მიწების ყიდვა-გაყიდვის დაკა-
ნონების გარეშე წარმოუდგენე-
ლია სასოფლო-სამეურნეო წარ-
მოების სპეციალიზაციისა და კო-
ნცენტრაციის დონის ამაღლება,
საკუთრების მრავალფორმიანო-
ბის დამკვიდრება და მეურნეობის
მრავალფორმოვანი, კერძოდ, მსხვ-
ილი კლასიკური ტიპის ფერმერუ-
ლი მეურნეობების ჩამოყალიბება.

მიწების პრივატიზების პრო-
ცესში დამვებული შეცდომების
მიუხედავად, იგიარ შეიძლება ცა-
ლისახად უარყოფითად შეფასდეს.
მან თავისი მისია ერთგვარად შე-
ასრულა. ჩამოყალიბდა მესაკუთ-
რეთა ფენა, დამკვიდრდა მეურნე-
ობრიობის სხვადასხვა ფორმა,
მოსახლეობამ გააცნობიერა სა-
კუთრების, ბაზრისა და მოთხოვ-
ნა-მიწოდების სიკეთე, ადგილი და
როლი. მიუხედავად ამისა, პრივა-
ტიზების პროცესის მიმდინარეო-
ბა, მისი შედეგები და კერძო სა-
კუთრებაში გადაცემულ საწარ-
მოთა საქმიანობა არ პასუხობს
სახელმწიფოსა და ხალხის ინტე-
რესებს.

მიღისა და ტყის რესურსების დაცვაზე პასუხისმგებლობა სახელმწიფოს უდა დაეპისროს

ყველამ კარგად უნდა გაათ-
ვითცნობიეროს, რომ მიწის სა-
კითხი ქვეყნის უმთავრესი პრობ-
ლემაა, მასზეა დამოკიდებული
დემოგრაფიული და ეთნიკური,
სოციალურ-ეკონომიკური და
პოლიტიკური განვითარება. ამი-
ტომ, მიწის პრივატიზაციის კა-
ნონში გათვალისწინებული უნდა
იქნეს, რომ პრივატიზებას არ უნ-
და დაექვემდებაროს ქვეყანაში
არსებული მთელი მიწები. შენარ-
ჩუნებული უნდა იქნეს მიწის რე-
ზერვი, რომელიც აუცილებელია
მთიდან და მთისწინეთიდან ბარ-
ში ნამეტი მოსახლეობის დასა-
სახლებლად, სტიქიური უბედუ-
რებებით (მიწისძვრა, მეწყერი,
წყალდიდობა) აყრილი მოსახლე-
ობის და მრავალრიცხოვანი დევ-
ნილი ადამიანებისთვის საკარმი-
დამო ფართობებისა და სასურსა-
თო სავარგულების გამოსაყო-
ფად. გათვალისწინებული უნდა
იქნეს მსოფლიო გამოცდილება
იმასთან დაკავშირებით, რომ
დღეს არ არსებობს სახელმწიფო,
რომელსაც არ აქვს თავის გან-



კარგულებაში მიწების 30-40% რეზირვის სახით.

ამდენად, სახელმწიფომ ხელში უნდა აიღოს მიწის ყიდვა-გაყიდვის, გაცვლის, ჩუქების, ანდერძის და სხვათა გაფორმების პრიორიტეტი და სავსებით გამორიცხოს მიწების განიავებისა და სპეცულაციის, აგრეთვე, განსაკუთრებით, უცხოელთა მიერ მიწების ხელში ჩაგდების ყოველგვარი მცდელობა. მინაზე, როგორც მეურნეობის ობიექტზე, უნდა არსებობდეს საკუთრების მრავალფორმიანობა. აგრარული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულება უნდა გახდეს მიწაზე მფლობელობის, სარგებლობის და განკარგვის ასპექტები, როგორც რეალური ეკონომიკური ურთიერთობის ფორმირების, განვითარებისა და სრულყოფის პირობა. ფართო შესაძლებლობები უნდა მიეცეს საკუთრების ყველა ფორმას. მხოლოდ ასე შეიძლება სოფლად საბაზრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება.

ამჟამად საქართველოში არსებულ წერილ, ნახევრადნატურალურ გლეხურ მეურნეობებს არ შეუძლია მიწის რაციონალური და მაღალნაყოფიერი გამოყენება და სოფლის მეურნეობაში საწარმოო ძალების სწრაფი განვითარების უზრუნველყოფა. ამდენად, საბაზრო ეკონომიკური სისტემის ინტერესები მსხვილ (კლასიკურ) ფერმერულ მეურნეობათა ჩამოყალიბებას მოითხოვს. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი სწორედ ფერმერულ საწყისებზე გადასვლაა, ეს აგრარული სექტორის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის მთავარი და მაგისტრალური გზაა და ქვეყნის ეკონომიკის აღორძინების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს.

უმოკლეს ვადებპი უნდა დამ-
თავრდეს მიწის ოფორმა და ქვე-
ყანაში გაუნანილებლად დარჩე-
ნილი 1338.8 ათასი ჰა სასოფლო-
სამეურნეო სავარგული გადავი-
დეს ფერმერთა ინდივიდუალურ,
სათემო და სახელმწიფო საკუთ-
რებაში.



შემუშავებული და მიღებული
უნდა იქნეს სრულყოფილი მიწის
კოდექსი.

უნდა გაუქმდეს ქვეყნის პარ-
ლამენტის მიერ საზოგადოების
ფარულად მიღებული კანონები –
ორმაგი მოქალაქეობის მქონე პი-
რებზე და საქართველოში რეგის-
ტრირებულ უცხოურ ფირმებზე
სახელმწიფო საკუთრებაში დარ-
ჩენილი სასოფლო-სამეურნეო
დანიშნულებისა და სასაზღვრო
ზოლის მიწების მიყიდვის შესა-
ხებ. „ქართულმა ოცნებამ“ და
მისმა ხელისუფლებამ კატეგო-
რიული უარი უნდა თქვას უცხო-
ელებზე ქართული მიწების გა-
ყიდვაზე და სახელმწიფო ქონე-
ბის არაკანონიერ პრივატიზა-
ზე. ამასთან, სათანადო სამართ-
ლებრივი ბაზა უნდა შეიქმნას
ქვეყნის შიგნით მიწების თავისიუ-
ფალ გასხვისებაზე და მიწის ბაზ-
რის შესახებ.

მიკურ იძულებას განაპირობებს.
აგრეთვე, უნდა შეიცვალოს მი-
ნის იჯარით გაცემის ნორმები და
ვადები, მათი შემცირების მიმარ-
თულებით. საჭიროა ჩატარდეს
მიწების სრული ინვენტარიზა-
ცია, ნიადაგის ლაბორატორული
შემოწმება და მინის საკადასტრო
სამუშაოები. თითოეულ მიწის
ნაკვეთზე უნდა შედგეს მინის სა-
კადასტრო ბარათი, რომელშიც
ამომწურავი მონაცემები იქნება
მიწის ბუნებრივი, სამეურნეო და
სამართლებრივი მდგომარეობის
შესახებ.

სასწრაფოდ უნდა დადგინდეს
საზღვრები რეგიონებს, დეპარ-
ტამენტებს, სოფლებსა და ცალ-
კულ ნაკვეთებს შეორის.

მიწა საზოგადოების უპირველე-
სი სიმდიდრეა, იგი წარმოების უმ-
თავრესი საშუალებაა სოფლის
მეურნეობაში და ეროვნული მე-
ურნეობის კველა დარგის განვი-
თარების სივრცობრივი ბაზისია.
ამდენად, ქვეყნის მთელი მიწების
მეცნიერულად დასაბუთებული,
რაციონალური გამოყენება, მათი
დაცვა და ნიადაგთა ნაყოფიერე-
ბის ყოველი ღონისძიებით გაზრ-
და საყოველთაო-სახალხო ამო-
ცანაა.

ადამიანის ცხოვრებაში მიწის მნიშვნელობის ასეთი შეფასები-დან გამომდინარეობს მისი პო-ტენციურ-სანარმოო შესაძლებ-ლობათა მაქსიმალურ-გონებრივ გამოყენებაზე დაუცხრომელი ზრუნვის აუცილებლობა.

«იზაჩი, მცვანე ჯავალი»

მართალი გითხრათ, ის, რაც ბატონ ევგენი უშვერიძის გამოგონებაზე მითხრეს, არარეალური და უტოპიური მეჩვენა.

უფრო ზუსტად, დაუჯერებელ ამბად წარმომიდგა.

თქვენც ასე დაგემართებოდათ, თუ გეტყოდნენ, რომ, მაგალითად, ხორბლის უხვი მოსავლის მოყვანა შესაძლებელია არა ზღვასავით გაშლილ ყანაში, არამედ... შენობაში.

დიახ, შენობაში, მრავალსართულიან სპეციალურ შენობაში, თანაც — ყოველდღიურად!

ზღაპარს ჰეგავს — „ქატო იქა, ფქვილი აქა!“ მაგრამ მას შემდეგ, რაც საკმაოდ ხანგრძლივად და დეტალურად ვისაუბრეთ ჩვენს რედაქციაში, ყველაფერი გასაგები გახდა და „ფქვილი“, დღეს და ხვალ თუ არა, ორნლიან პერსპექტივაში, ზღაპრის სურვილის თანახმად, აქ დარჩება.

მის ოთხ აღმოჩენასა და ხუთ გამოგონებაზეა დაფუძნებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ქსოვილზე თესვით სადღელამისო, რეკორდული მოსავლის მოყვანის უნიკალური მეთოდი, რომელიც ისახება, როგორც პრაქტიკული გზა საკვების უსაფრთხოების გლობალური პრობლემის გადასაჭრელად.

ამაზეა ჩვენი პუბლიკაცია.

მაგრამ ჯერ ავტორს ნარმოგიდგენთ.



ევგენი უშვერიძე

უნიკალური და მრავალმხრივი ნიშისმაბა

ბატონი ევგენი უშვერიძე ქართველი გამომგონებელია, ინჟინერ-მეტალურგი გახლავთ, არის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, უკრაინის საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

1997 წლიდან დღემდე არის შპს საკონსტრუქტორო საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი. 1980-1997 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან მის მიერვე ჩამოყალიბებულ საცდელ წარმოებასა და საკონსტრუქტორო საწარმოო გაერთიანებას. 1976-1980 წლებში იყო საქართველოს ცეკვაშირის საპროექტო დეპარტამენტის მთავარი ინჟინერი.

ორმოცდათონი საინჟინრო კარიერის განმავლობაში განხორციელებული აქვს შემდეგი პროექტები:

კოსმოსური ანტენის გამოსაცდელად საჭირო უნიკალური სტენდების დამზადება და დამონტაჟება საქართველოში (1984-1992);

ქართველ მეცნიერებთან ერთად პრეცენტიული სახეობი ჩარჩების შექმნა და დამზადება (1983-1989); ხილ-ბოსტნეულისა და ციტრუსების შრობისა და ფქვილად გარდაქმნის ტექნოლოგიის შექმნა (1987-1995);

უკრაინელ მეცნიერებთან ერთად რუსთავის მეტალურგიული ქარხნისთვის ახალი ტიპის კონვერტერის შექმნა (1988-1996);

მაღალი მწარმოებლობის მქონე თბოვენერატორების შექმნა და დამზადება (1990-2002);

საქართველოს სახელმწიფოს დავალებით ქართველ მეცნიერებთან ერთად ცეცხლსასროლი იარაღის ლულების საჭედი მანქანის შექმნა და დამზადება (1992-1994);

მინების მოლირების გაუმჯობესებული ტექნოლოგიის დამუშავება (1993-2003);

ბაზალტისგან ძაფის მიღების ტექნოლოგია და მისგან ზემტკიცე, ცეცხლგამძლე და კოროზიამედეგი ქსოვილების, მიღებისა და არმატურის წარმოება;

უკრაინელ და ქართველ მეცნიერებთან ერთად მაღალი წევენის მთლიანლითონური ბალონების ძირისა და თავის ჩამოლინავიდაზგების შექმნა და დამზადება (2003-2008);

ბუნებრივ გაზზე მომუშავე მაღალი წევენის მთლიანლითონური ბალონების წარმოების შექმნა (2003-2006).

1980-იანი წლებიდან მისი საწარმო მიერ დამუშავებული პროექტებით დამზადებულია მრავალი მანქანა-დანადგარი, რომლებიც რეალიზებულია იაპონიაში, საფრანგეთში, გერმანიასა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში.

გამოქვეყნებული აქვს 20-ზე მეტი სამეცნიერო წარმომი და არის 12 გამოგონების ავტორი.

მსოფლიოს დასაკურეპლად

— მსოფლიოს 7 მილიარდი მოსახლეობიდან 925 მილიონი ადამიანი შემშილობს, — **ამბობს ბატონი ევგენი**,

— საჭირო ოდენობის კალორიების მიუღებლობის მიზეზით, ყოველდღიურად ბლანეტის 24 ათასი მკვიდრი იღუპება. კლიმატის ცვლილებასთან ერთად ყოველწლიურად დეგრადირდება ნიადაგი. ხდება მისი გაუდაბნოება. მეცნიერთა კვლევების შედეგები ამ მიმართულებით საგანგაშოა. ისინი გვარნებული არის, რომ 2020 წლისთვის სასოფლო-სამეურნეო საერთო უშვერიძე



ბის პროდუქტიულობის დაცვისა გა-
მოიწვევს მარცვლეულის გლობა-
ლურ დეფიციტს.

— შეამ-ქიმიკატებითა და პესტი-
ციდებით რომ ზრდიან მოსავლია-
ნობას?

— დიახ, ზრდიან, მაგრამ დღეს
უკვე დამალული არ არის, რომ ამ
გზით, ჯერ ერთი, ეცემა ხარისხი,
მეორე, ბიომრავალფეროვნება რე-
ალური საფრთხის წინაშე დგება. ეს
ხდება ისეთ ქვეყნებშიც კი, რომელ-
ებშიც სოფლის მეურნეობის წარმო-
ების მაღალი კულტურაა დანერგი-
ლი.

საბოლოო ჯამში ეს ინვესტ სა-
სოფლო-სამეურნეო პროდუქციის
არასტაბილურობას და სერიოზუ-
ლად ვნებს ადგილობრივ და საექს-
პორტო ეკონომიკას.

იმ მეთოდის დანერგვით, რომელ-
საც მე ვთავაზობ ქვეყნის ხელმძღ-
ვანელობას, არა მარტო ავიცილებთ
ასეთ საფრთხეს, არამედ მინიმუმ 7
მილიარდი დოლარის მოგებას მივი-
ღებთ.

— ზღაპარს ჰქონდეს!

— ჰქონდეს, სანამ არ გაეცნობით იმ
უნიკალურ ტექნოლოგიას, რომე-
ლიც ჩემ მიერაა დამუშავებული.

— სასწაულომოქმედია?

— არა, სავსებით რეალურია და
ეფუძნება სასოფლო-სამეურნეო
კულტურების თესვას სპეციალურ
ქსოვილზე, რომელიც მიღებულია
მკვრივი ქანებისგან და ორგანული
ბოჭკოს შესაბამისი თანაფარდო-
ბით ნაწარმოები ნართისგან.

— სანამ ამ ორიგინალურ ნართ-
ზე მეტყვით რამეს, ერთ საკითხში
გამარკვიეთ. თქვენ ამბობთ, რომ
მოსავლის აღება ყოველდღიურია.
ადამიანი იოლად ნარმოიდებენ
ქათმის ფერმებში ყოველდღიუ-
რად კვერცხის „მოსავლის“ აღე-
ბას, მაგრამ ხორბალი?! ალომბა
ყოველდღიური?! დაუჯერებელია!

— დაუჯერებელი არაფერია, თუ
ნარმოიდებენ, რომ ეს არის კონვე-
იერული სისტემით მომუშავე სა-
ნარმო, ხორბალი კონვეირის თავ-
ში ითესება, ბოლოში მწიფდება.

— დამნიფება ხომ ბიოლოგიური
პროცესია, რასაც გარკვეული
დრო სჭირდება?

— ამ 60-მეტრიან კონვეირზე
ხორბლის დამწიფებას 60 დღე და

დამე სჭირდება. ხორბალი ისეთი
მცენარეა, რომელიც დღეც „მუშა-
ობს“ და დამეც. დამით სინათლეს
ვრთავთ. პროცესი გრძელდება,
ხორბალი იზრდება. ქსოვილი, რო-
მელზეც დათესილია ხორბალი,
ისეთი მასალითაა გაკეთებული,
რომელიც მიწის შემცვლელია.

ჩვენ შესწავლილი გვაქვს, რა
სჭირდება ხორბალს ფესვის, ღერო-
სა და თავთავის განვითარების სტა-
დიებზე და ვრწყავთ ნათესა ამ სტა-
დიების შესაბამისად, იმის მიხედ-
ვით, თუ რა და რამდენი სჭირდება.

ლაბორატორიულად ვამონმებთ
წყლის შედგენილობას. მაგრამ სულ
დამპალი წყალიც რომ იყოს, ჩემი
გამოგონებული გამათბობლის მეშ-
ვეობით პასტერიზდება, ისპობა
ბაქტერიები, და ამ წყლითა და ქსო-
ვილით, რომელიც თავისთვად საკ-
ვებია, იზრდება ხორბალი.

— რანაირი საკვებია უკვე არა-
ერთგზის ნახსენები ქსოვილი?

— შევეცდები, აგისნათ. ბუნებ-
რივი მავრივი ეპიზოდი არის ბუ-
ნებრივი და საკვებია და საკვებია
— მატვერი. საუკუნეების
განმავლობაში ბუნებრივი კა-
ტაკლიზმების შედეგად დაკ-
რესილი, გამომგრალი ეპიზოდი
საკმარისია, მას დაცუბრუნოთ
ისეთი მდგრადი რაოდენობა, რომე-
ლიც საშუალებას მისცემს
მცენარეს, ისაზრდომოს მისგან
და ერთი შეხედვით საამოსოდ
გამოუსადებარი ქვები იძლევა
საუკეთესო, ნოყიერ ნიადაგი
ბად. აი, ამას მივაგენი მე 36-წლია-
ნი კვლევის შედეგად: ბუნებრივი
მკვრივი ქანებისგან მივიღე საჭირო
თვისებების მქონე ბოჭკო (როვინ-
გი), რომლის ნართში საჭირო რაო-
დენობის ორგანული ნაერთის გა-
რევით შევქმენი ის ქსოვილი, რო-
მელმაც თქვენ დაგაინტერესათ.

— ახლა, თუ შეიძლება, ისიც
აუსესენით ჩვენს მკითხველებს, სად
მატერიალიზდება თქვენი ეს იდეა?

— ეს არის ორსართულიანი მო-
დული, რომელიც შეიძლება გამე-
ორდეს მანამდე, სანამ კონსტრუქ-
ციები გაუძლებს.

— ესე იგი, მეორდება ორ-ორი
სართულით. რატომ მაინცდამაინც

ორი სართული? დაწყვილება რით
არის ნაკარნახევი?

— აქ არის გამოყენებული ოთხი
აღმოჩენა, ამაზე სიტყვას არ გავაგ-
რძელებ და, თუ ვახსენე, მხოლოდ
იმიტომ, რომ დაგარწმუნოთ — ყვე-
ლაფერი, ყველა გადაწყვეტილება
მეცნიერულ გათვლებზე დაყრდნო-
ბით არის დასაბუთებული და მიღე-
ბული.

ახლა — მოდულის შესახებ.

შენობაში ყოველი წყვილი სარ-
თული იდენტურია. მაგალითისთ-
ვის განვიხილოთ ცხრასართულია-
ნი შენობა.

— ცხრა რატომ?

— იმიტომ, რომ პირველი სართუ-
ლი სარდაფაია. მეორე, მეოთხე, მე-
ექვსე და მერვე სართულები ეთმო-
ბა ხორბლის მოყვანას. აქ, ჭერზე
დამონტაჟებულია მოძრავი სისტე-
მა, რომელზეც ჩამოკიდებულია
ბაზალტოპლასტიკური არმატუ-
რისგან დამზადებული ხორბლის
სათესი 120 მოდული, რომელთა
ფერდებზე (თითო 4 კვადრატული
მეტრია) მოთავსებულ ნიადაგის
შემცვლელ ქსოვილზე ითესება
ხორბალი, ჭერზევეა დამონტაჟე-
ბული განათებისა და სარწყავი
სისტემები, რომლებიც მოსავლის
უწყვეტ სადლელამისო რეჟიმში
მოყვანის საშუალებას იძლევა.

ეს — ერთი სართული.

მისი ზემო სართული მთლიანად
ეთმობა სოკოს მოყვანას. სოკო
ფოტოსინთეზისთვის საჭირო ნახ-
შირორუსანგით ამარავებს ხორ-
ბალს, რომელიც მის მიერ გამოყო-
ფილი ჟანგბადით ამდიდრებს ზე-
და სართულის „მეზობელს“. ამით
უწყვეტი ხდება რესპირაციის ციკ-
ლი.

აი, ეს არის მთელი ფილოსოფია.

— როგორც ყველა გენიალური
აღმოჩენა, მარტივი. მაგრამ ამ სი-
მარტივებიდე მისვლას წლები სჭირ-
დება.

— პირველი სართული, როგორც
ვთქვით, სარდაფა, რომელიც მრა-
ვალფუნქციურია.

მაგალითზე ავხსნი. სოკო მალ-
ფუნქციადი კულტურაა, ამ ნაკლის
თავიდან ასაცილებლად სარდაფში
დამონტაჟებულია სოკოს საშრობი,
საფქვავიდა საკვები სითხის მოსამ-
ზადებელი სისტემები.

პირველ სართულზევეა მოწყობილი გათბობის, ხორბლის სალენი, სანიავებელი, ვენტილაციის, გამოყენებული მასალების სტერილიზაციის დანადგარები, მინისაფერავი — წისქვილი.

მოსავლის აღების შემდეგ აქ ხორბლის ფესვებთან ერთად ქუცმაცდება „ნიადაგი“ — სათესი ქსოვილი, რომელიც მომდევნო ციკლში საკვებად გამოიყენება.



რვასართულიანი კომალექსის გეგმა

— ბატონო გიორგი, როგორც ვხედავ, ეს რვასართულიანი კომპლექსი საკმაოდ რთული სანარმოა, რომლის აგება-ამუშავება-ექსპლუატაცია არც მარტივი საქმეა, არც იაფი დაჯდება.

— მოდით, ამაშიც გავარკვიოთ ჩვენი მკითხველი, თუ როგორია ამ კომპლექსის მახასიათებლები.

უნინარეს ყოვლისა, ვთქვათ, რომ მისი საერთო მოცულობა 900 კუბური მეტრია, ნონა — 1800 ტონა, რომლის ზიდვა შეუძლია ძალიან მკვრივ და მტკიცე სამშენებლო მასალას. ამისთვის ვიყენებთ ბაზალტის ბოჭკოს ნართით (როვინგით) დამზადებულ ფიბრობეტონს არმირებული ბაზალტოპლასტიკური არმატურით.

იგივე მასალისგან მზადდება ფილები კედლებისთვის, შიფერი — სახურავისთვის.

ფანჯრებისთვის, რომლებიც უნდა ჩაისვას ყველა სართულზე, გამოვიყენებთ საკუთარი ტექნოლოგიით დამზადებულ მოლირებულ მინას, რომელიც 7-8-ჯერ ზრდის მინის მედეგობას.

შენობის ასაგებად 6 თვეა გათვალისწინებული, მუშაველის რაოდენობა — 23 კაცი (20 მუშა და 3 სპეციალისტი).

ახლა — ხარჯების შესახებ.

საჭირო თვისებების მქონე ბუნებრივი მკვრივი ქანებიდან და ბაზალტის ბოჭკოს (როვინგის) მიმღები, ნართის მნარმოებელი და ბაზალტოპლასტიკური არმატურის, მიღებისა და სამშენებლო კონსტრუქციების დამზადებელი ქარხნის ასაშენებლად, მოკლედ, პროცესის ასამოქმედებლად, მომსახურე პერსონალის ხელფასებისთვის, გადასახადების გასასტუმრებლად და

ა.შ. სულ 50 მილიონი ევრო იქნება საჭირო.

სახელმწიფოსთვის ეს დიდი ხარჯი არ არის.

— სააკაშვილი უფუნქციონი ხიდის ასაგებად და საკუთარი თვითმფრინავების შესასყიდად გაცილებით მეტს ხარჯავდა... რა შედეგს უნდა ველოდოთ მოდულის ამოქმედებიდან?

— მეტი თვალსაჩინოებისთვის წარმოგიდენეთ ცხრილს, რომელიც შედარების საშუალებას მოგცემთ, მკითხველი ნათლად დაინახავს, თურისი მიღება შევიძლია ერთი რვასართულიანი კომპლექსის ამოქმედებით. (იხ. ცხრილი)

რვასართულიან კომპლექსში წელიწადში მოდის 525 600 კგ სოკო. აქ არსებული სამრობისა და საფეხავის მეშვეობით შეიძლება 89 350 კგ სოკოს ფქვილის მიღება (1 კგ სოკოდან მიღება მინიმუმ 17% სოკოს ფქვილი). ვინაიდან 1 კგ სოკოს ფქვილის საბაზრო ფასი 30-60 ერომდე მერყეობს, კომპლექსისთვის საჭირო ყველა ხარჯის დაფარვა მხოლოდ სოკოს მოსავლის რეალიზაციითა შესაძლებელია.

საერთო უპირატესობის შესახებ კი, აი, რისი თქმა შეიძლება:

ერთი, რვასართულიანი კომპლ-

ექსის მინიმალური მოსავალი სულ მცირე 23-36-ჯერ უფრო პროდუქტიულია იმავე ფართობზე ხორბლის მოყვანის ტრადიციული მეთოდის სარეკორდო მოსავალზე;

მარცვლის სათესი ფართობის შემცირებითა და ჯეჯილის გადაჭრის მეთოდის გამოყენებით ხორბლის მოსავალი შეიძლება გაიზარდოს 10-ჯერ, ანუ რვასართულიან კომპლექსში მოყვანილი მოსავალი 233,6-ჯერ გადააჭარბებს იმავე ფართობზე ტრადიციული მეთოდით მოყვანილი ხორბლის სარეკორდო მოსავალს;

მოსავალი გარანტირებული და სტაბილურია, ვინაიდან დამოკიდებული არაა ამინდის ცვლილებაზე, ბუნებრივ მოვლენებსა (წყალდიდობა, სეტყვა და სხვ.) და მინიდან საკვები ნივთიერებების არათანაბარ მიწოდებაზე;

კომპლექსების აშენება შეიძლება დედამინის ნებისმიერ ადგილას, ისეთ ქვეყნებშიც კი, სადაც მემარცვლეობა სოფლის მეურნეობის არატრადიციული დარგია, თუკი მოხდება კომპლექსებისთვის საჭირო სინათლისა და საკვები რეჟიმების უზრუნველყოფა;

ბაზალტის ბოჭკოსგან მიღებული სამშენებლო მასალებით კომპლ-

	მატერიალური თესვის ტექნიკოგვა (0.04 ჰექტარი სასარგებლო უართობი)	ტრადიციული ტექნიკოგვა (0.04 ჰექტარი სასარგებლო უართობი)
მინ. რაოდენობა	მაქს. რაოდენობა	რეკორდული მოსავალი
ზორბალია	14'016 კგ	140'160 კგ
ნაშავა	42'048 კგ	420'480 კგ
სოკოს	89'350 კგ	—
ფხვნილია	—	1'800 კგ

* მატერიალური რაოდენობის მიღებული უართობის უართობის შექმნილების (x4)
და კუთხის გადაჭრის შემთხვევაში (x2.5)



სეპის აშენება ტრადიციულ სამშენებლო მასალებთან შედარებით 4-ჯერ უფრო იაფი ჯდება და 8-ჯერ უფრო მსუბუქია, რაც მოხერხებულია ტრანსპორტირებისთვისაც;

კომპლექსის სართულების რაოდენობა მოთხოვნასთან თავსებადია.

ეკონომიკური ეფექტიანობა:

კომპლექსებს აქვს დაბალი ყოველწლიური ხარჯი, რაც განაპირობებს მათ ეკონომიკურ შენარჩუნებადობას ხანგრძლივი ვადით;

არ ჭირდება სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარები;

დარჩენილი ნამჯა ხელს უწყობს მესაქონლეობის განვითარებას;

ხორბალთან ერთად ხდება სოკოს ფხვნილის დამზადებაც, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი ბაზრის არჩევანის გაზრდასა და ექსპორტს;

ერთ კომპლექსს გასამართავად სჭირდება 90 მუშა-მოსამსახურე, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში დასაქმების საკითხის მოგვარებას;

პროექტს აქვს ქსოვილზე თესვის გზით სხვა მარცვლეული კულტურების მოყვანის პერსპექტივა;

კომპლექსების მდინარეებთან სიახლოეს აშენების პირობებში შეიძლება მათი უფასო ელექტროენერგიით მომარაგება 100 კილოვატამდე სიმძლავრის მინიკილროელექტროსადგურების აშენებით, ამ შემთხვევაში წყლით მომარაგება უზრუნველყოფილი იქნება მსუბუქი ბაზალტოპლასტიკური მილებით.

არ უნდა იყოს მეორეხარისხოვანი გარემოება ის, რომ ჩვენი მეთოდით მოწეული ხორბალი ეკოლოგიურად სუფთა იქნება. ხორბლის ხარისხზე არ იმოქმედებს სარეველა მცენარეები, რომლებიდანაც ხორბალში ხვდება არასასურველი ბაქტერიები. წყლის მიწოდების რეჟიმი გაკონტროლებულია, შესაბამისად, გამორიცხულია არასასურველი ნივთიერებებით სარწყავი წყლის კონტამინაცია, რაც უარყოფითად იმოქმედებდა მოსავლის ხარისხზე და ასე შემდეგ.

— თეორიულად ეს ყველაფერი მიმზიდველი და დამაჯერებელია. პრაქტიკულად თუ გამოგიცდიათ?

— კი, რა თქმა უნდა. მოსკოვის ერთ-ერთმა ბანკმა დიმიტროვის გზატკეცილზე ორსართულიანი შე-

ნობა გვიქირავა, სადაც განვახორციელეთ ჩვენი მეთოდი, ოლონდ მაშინ მოდული სტაციონალური იყო. სამუშაოდ მოვიწვიეთ მოსკოვის ცაგ-ის ოთხი ახალგაზრდა ინჟინერი, მეცნიერებათ კანდიდატები. ერთხელ, როცა ქალაქში ვიყავი წასული, მანიცდამანც მაშინ იქ მისულა ბანკის ერთ-ერთი უცხოელი მენილე ამ ჩვენი საწარმოს დასათვალიერებლად. საქმის არსში რომ გარკვეულა, განუცხადებია, რომ ამ იდეის ავტორს წავიყვანთ და ხაშხაშს მოვაყვანინებთო. ხაშხაშიდან, მოგხესენებათ, ოპუშმს ამზადებენ.

დაბრუნებისთანავე იმ ბიჭებმა მითხრეს: „შალვოვიჩ, ძალიან ცუდადა ჩვენი საქმეო“. მომიყვნენ, რაც იქ მოხდა. რა ვქნათ-მეთქი, რომ ვკითხე, „დავათ უგრინ ეთი დელი!“ — მიპასუხეს.

სხვა გზა არ იყო, უნდა შეგვეწყვიტა ცდა, რადგან წინ ნარკომაფიის ხელში ჩავარდნის პერსპექტივა გველოდა. ბიჭებმა წყალში, არ ვიცი, გოგირდმჟავა თუ რა შეურიეს და სტევიამ, რომელიც დათესილი გვქონდა, ყურები ჩამოყარა. ბანკის მმართველს მოვახსენეთ, რომ ჩვენს მეთოდს დახვენა სტირდებოდა და ამიტომ შევწყვიტეთ ცდა. ამის შემდეგ სამი თვე აღარ გამოვჩენილვარ მოსკოვში — მხოლოდ კლიმოვაში ჩავდიოდ და იქიდან თბილისში ვპრუნდებოდი.

მოკლედ ასე შევაჯახო: 1990-იან წლები მოსკოვის განხორციელების ცდები ცდები ხორბლისა და სტევიაზე ცარმათებით დამთავრდა. გამოვიყენეთ ჯუვა ხორბლის სათეალე მასალა ყოფილი საგზოთა რესაუგლი-კებიდან, აშშ-დან, ინდოეთი-დან და მექსიკიდან. სასინჯი ცდები ცარმათებით დასრულდა ბრინჯის, საგურნალო მცენარეების, პალჩიულისა და პოსტიულის კიბები.

ამასთან ერთად, 1990-იან წლების მიწურულს თბილისში აშენდა პირველი ბაზალტის ბოჭკოს (როვინგის) მილებისა და ნართის გამომშ-

ვები საწარმო, რომელმაც გამოუშვა 4 ტონა ნართი, დამზადდა კომპლექსისთვის საჭირო ბაზალტოპლასტიკური არმატურის, მილებისა და სხვა სამშენებლო კონსტრუქციების საცდელი ნიმუშები.

2001-2012 წლებში მოხდა პროექტის სრულყოფა, დახრილგვერდებიანი მოდულის საბოლოო სახით დაპატენტება და სამუშაოების დაწყება პროექტის განსახორციელობად.

ტექნოლოგიურ მიღწევებზე საპატენტო უსაფრთხოების მიზნით, პროექტთან დაკავშირებული ცდები ჩავატარეთ დასურულად, ხოლო ციფრობრივი ანათვლების დაფიქსირებისა და ანალიზის შემდეგ ყველაფერი, რაც ცდებთან იყო დაკავშირებული, განადგურდა.

ჩვენი ეს პროექტირომ განხორციელდეს, ინვესტორებს რომ ვაჩვენოთ და ავუხსნათ, რის გაკეთებასაც ვაპირებთ, მთელი მსოფლიოდან იმდენი ფული შემოვა, წარმოდგენაც კი ძნელია. მილიარდი მოსახლეობის გამოკვებო, თითო რვასართულიანი მოდულიდან მინიმუმ ერთი მილიონი დოლარი მოგება დაგრჩება.

სხვა დანარჩენზე ზემოთ უკვე ვიღაპარაკეთ.

რა მანერვიულებს, იცით? მთავრობაში ჭკვიან კაცს არაფერს ეკითხებიან. ან ვიღა დარჩა ჭკვიანი, ნასწავლი და გამოცდილი თაობებიდან? დაიხოცნენ. წავალთ ჩვენც და ეყოლებათ ბანკის ვირთხები.

— ამით იმის თქმა გსურთ, რომ სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან მხარდაჭერა არ გაქვთ?

— სახელმწიფო კი გვაქვს?! ჩვენ გვეუბნებიან, რომ სახელმწიფოს უნდა მართავდეს ბიზნესმენი. ბიზნესი ეს არის შრომა საკუთარი გამდიდრებისთვის. რა არის მენეჯმენტი? ბიზნესის მართვაა, მაგრამ არა მართვა ხალხის საკეთილდღოდ.

ამიტომ არ მიკვირს, რომ ხალხის საკეთილდღო საქმეს, მათ შორის, ჩემს შეთავაზებას ყურადღებას არავინ აქცევს.

ესაუბრა არმაზ სახებლიერება

P.S. მთავრობის ბაზობრივ ნევრებო, მინისტრები, ბაზობრივ პრემიერ-მინისტრის უშვერიძესთან შეხვედრა, დაინტერესდეთ მისი შემოთავაზებით, სხვა თუ არაფერი, ბევრ საინტერესოს გაიგებთ.



ქართული ნავთობი

ნავთობი უხსოვარი დროიდანაა ცნობილი ადამიანისთვის, მაგრამ მისი გამოყენების სფერო დიდხანს ძალიან ვიწრო იყო და მოპოვებაც ამის შესაბამისად — საკმაოდ შეზღუდული.

მას, ძირითადად, სამკურნალო მიზნებისთვის ხმარობდნენ — წვეთნებით აგროვებდნენ და ძვირადაც ფასობდა. იმ დროს ის თბილისის ხმარისან ბაზრებზე ტიკებით იყიდებოდა.

ვაჭრები მისთვის აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყნიდან მოდიოდნენ და მალე შავი, ზეთისებური სითხით დატვირთული ქარავნები გაუდგებოდნენ ხოლმე გზას თბილისის გარეუბნიდან, რომელსაც სწორედ ამ ნავთობიანობის მისანიშნებლად

დაერქვა შორეულ წარსულში ნავთლული.

ეს სტატია საქართველოში სწორედ ნავთობის მრეწველობის განვითარებას ეძლება, რომლის ავტორია გეოლოგი ნოდარ ბერიძე. მან თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დამთავრებისთანავე, 1961 წლიდან, საქართველოს გეოლოგიურ სამიებო კანტორაში დაიწყო საქმიანობა, რომელიც მოგვიანებით ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიების სამმართველოდ გადაკეთდა. ათწლეულების განმავლობაში ქართველი გეოლოგების თავდაუზოგავი შრომით ეს დარგი ფეხზე იდგა, თუ რამდენად მომგებიანი იყო და რა ადგილი ეკავა ქვეყნის მრეწველობაში, ამაზე — ქვემოთ.

ნავთლულის ნავთობის გამოსავალების კუსტარული დამუშავების ისტორია წყვეტილი მონაცემებითაა შემონახული. მისი მოპოვება მცირე სიღრმეზე აქ, გათხრილი ჭებიდან უკვე 1847 წლიდან წარმოებდა. თბილისის საქალაქო სამართველოს მიერ ნავთობშემცველი მიწების იჯარით გაცემის შედეგად მიღებული შემოსავალი წელიწადში 5000 მანეთს აღწევდა. მთელი რიგი მონაცემების თანახმად, 1869 წელს 7 ჭიდან 167 ვედრო ნავთობს იღებდნენ დღე-ღამეში. 1871 წელს 4 ჭიდან მოპოვებული ნავთობის რაოდენობა დღელამეში 64 ვედრომდე შემცირდა. 1880 წელს კი სულ რაღაც 11 ვედრო ნავთობი მოიპოვებოდა დღე-ღამეში.

ჩვენთვის ცნობილი უკანასკნელი მონაცემები 1900 წელს 700 ფუთი ნავთობის მოპოვების შესახებ ლაპარაკობენ, მაგრამ იმ დროს უკვე მცირე სიღრმის ჭაბურლილების ბურღვა იყო დაწყებული. ნავთლულის საბადოს კუსტარული დამუშავების შეწყვეტა თბილისისა და ბაქოს რკინიგზით შეერთების ხანებს მიეკუთვნება. იქიდან მოზიდულმა იაფმა ნავთობმა არარაციონალურ საქმედ აქცია ნავთლულის ჭების ექსპლოატაცია.

სტეარინის სანთლის მაგიერ სახლებში ნავთის ლამფების გამოჩენა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო და ის ახალი მანათობელი? ტექნიკის ახალი დარგის? ნავთობმოპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობის შექმნის ბიძგად იქცა.

განათებისთვის სულ უფრო მეტი ნავთობი ხდებოდა საჭირო და მენარმებმაც სწრაფად აუღეს ალლო ამ საქმეს, მაგრამ ნავთობიდან ნავთის გამოხდის თანაპონდუქტს? — ბენზინს, ვერაფერში იყენებდნენ, წარმოებისათვის მავნედ განიხილავდნენ და ჩვენთვის კარგად ცნობილ ამ უძვირფასეს საწვავს უბრალოდ ანადგურებდნენ — ? წყალსაცავებში ასხავდნენ ან წვავდნენ, მაგრამ ბენზინზე მომუშავე კარბიურატორული შიდანვის ძრავების შექმნამ მალე იგი სამრეწველო პროდუქციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახედ აქცია.

ქართული ნავთობმოპოვების ოქროს ხანა

თავისი ოქროს ხანა საქართველოს ნავთობმოპოვებასაც ჰქონდა. 1975 წლის 28 აგვისტო ქართველ



მენავთობეთა ახალ დიდ გამარჯვებათა საწყისად იქცა. იმ დღეს სამგორის № 7 ჭაბურლილმა, რომელიც თბილისთან სულ ახლოს, სოფელ სართიჭალის მიდამოებში მდებარეობს, დიდი ნავთობი მისცა. მისი ბურღვა 1974 წლის 29 იანვარს დაიწყო. ჭაბურლილის საპროექტო სილომე 3800 მიუ, საპროექტო ჰორიზონტი კი — ქვედა ეოცენური ასაკის ნალექები. ასეთი საპროექტო ამოცანით ამ უბანზე უკვე რამდენიმე ჭაბურლილი იყო გაბურღული შედევროდ. ამიტომაც ტრესტის მთავარი გეოლოგის თანამდებობაზე იმ დროს ახლად დანიშნულმა, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოკტორმა, პროფესორმა ალექსანდრე ლალიევმა დიდი სილრმეების დაპყრობას უფრო რეალური და საინტერესო ამოცანა — შუალედური ასაკის „მშთანთქმელი ჰორიზონტის“ წყლით ბურღვა და მისი შემდგომი დასინჯვა ამჯობინა.

ეს ჰორიზონტი თითქმის ყველა ჭაბურლილში, ძლიერ უცნაურად იქცევდა დიდი ნაპრალიინობის გამო, ყველანაირი შემსუბუქებული საბურღვის ხსნარები მასში უკვალიდ იკარგებოდა. რას არ იყენებდნენ მბურღლავები შთანთქმის სალიკვიდაციოდ, მაგრამ ჰორიზონტი მა-



ინც ჯიუტობდა. ამიტომ ძლიერ უჭირდათ ხოლმე მისი გავლა და თუმცა ბურღვის დროს იყო ნავთობისა და გაზის გამოვლინების შემთხვევები, სამუშაოთა დამთავრების შემდეგ, როცა ის საიმედო გადაიხურებოდა საცავი კოლონით და ჭაბურღლილი საპროექტო სიღრმემდე მივიღოდა, დასინჯვითი სამუშაოები უკვე აღარაფერს იძლეოდა. ამ ნალექების ნავთობიანობაზე კი, ყოველ შემთხვევაში, სამრეწველო მნიშვნელობის ნავთობიანობაზე მაინც, არავის უფიქრია, რაკი თბილისის მიდამოები, სწორედ იმ ჰორიზონტიდან, გოგირდიანი ცხელი წყლებია მიღებული, ცოტა უფრო დასავლეთით, თელეთის ანტიკლინის თაღში კი, შუა ერცენური ასაკის სწორედ იმ „მშთანთქმელი ჰორიზონტის“ ვულკანოგენურ-დანალექი არეულშრეებრივი კონგლომერატები მშვენივრად ჩანს ყოფილი მეტების ციხის ძირში და ამდენად, თუკი ოდესმე მასში მართლაც იყო ნავთობი ან გაზი, ის უკვე გამოინურებოდა და წყლებით გამოირეცხებოდა, ვარაუდობდნენ ისინი და ამიტომ უფრო ღრმად განლაგებულ ქანებში მოელოდნენ ნავთობისა და გაზის პოვნას.

იმ ბედნიერი №7-ის შემთხვევაში კი: 2600 მეტრის სიღრმეზე ჭაბურღლილი საიმედო გადახურეს ფოლადის საცავი მიღებით და შუაერცენური ე. წ. „მშთანთქმელი ჰორიზონტის“ ბურღვა თიხის ხსნარის მაგიერ წყლით დაინყეს, რომელიც თიხის ხსნარზე მსუბუქია და შთანთქმის ნაკლებ საშიშროებასაც ქმნიდა. ასე გაიარეს ამ ჰორიზონტის 180 მეტრიდა მერე 20 აგვისტოს, როცა სანგრევი უკვე 2780 მეტრს შეადგენდა, ბურღვა შეწყვიტეს და დასინჯვა-გამოცდით სამუშაოებს შეუდგნენ. წყლის წევის შემცირების შემდეგ, ქანი „ამუშავდა“, მაგრამ ნახევარი საათის მერე, ნაკადი შეწყდა, მაშინ წყალი ნავთობით შეცვალეს და პირველივე დღეს მიღებული ნავთობი უკანვე ჩატუმბეს 50 ატმოსფეროს წევაზე. მეორე დღეს იმდენივე ნავთობი, უკვე 60 ატმოსფეროს წევაზე ჩატუმბეს. და ბოლოს,

28 აგვისტოს იმდენივე ულუფა ნავთობის ჩატუმბეს შემდეგ შადრევანი მიიღეს.

დასინჯვისას აღმოჩნდა, რომ სანგრევის წნევა 270, ფენისა კი 230 ატმოსფერო იყო. ე. ი. 40 ატმოსფერონან უარყოფით წნევასთან გვქონდა საქმე. აი, რატომ ჭირვეულობდა ჭაბურღლილი. 3 სექტემბრიდან № 7 ექსპლოატაციაში გადასცეს. 19 სექტემბრის კი 12 და 14-მილიმეტრიანი შტუცერებით (მილყელებით) 304 ტ ნავთობი მიიღეს. ეს იმ დროის რეკორდი იყო, „საქანავთობის“ მიერ ნარმოებულ საექსპლოატაციო სამუშაოთა მთელ ისტორიაში, მაგრამ ნავთობის გადაზიდვასთან არსებულ სიძნელეებთან დაკავშირებით, ის 8 მმ-იან შტუცერზე გადაიყვანეს და უკვე ყოველდღიურად 123 ტ ნავთობს იძლეოდა.

1977 წლის 28 თებერვლიდან ნავთობს იძლეოდა სამგორის №3 ჭაბურღლილიც. მისი ბურღვა ჯერ კიდევ 1973 წლის 16 ნოემბერს დამთავრდა. მერე დასინჯვეს და „სასიკვდილო განაჩენიც“ გამოუწანეს. იმ ფენის შესახებ, რომელმაც შემდგომში № 7 ჭაბურღლილიდან დიდი ნავთობი მოვცა, დაასკვნეს, „მშრალიაო“ და ასეთი მარტო № 3 კი არა, კიდევ რამდენიმე სხვა ჭაბურღლილიც იყო და ყველა ამ „განნირულმა“ ჭაბურღლილმა, განმეორებითი დასინჯვის შემდეგ, ნავთობის დიდი შადრევანი მისცა. ეს უკვე მას შემდეგ, როცა №7-ში ნათელი გახდა, შუაერცენური „მშთანთქმელი ჰორიზონტის“ ნავთობიანობა. ახლა კი ისევ, ნავთობმოპოვების მეორე ეტაპს უნდა მიუბრუნდეთ. ყველაფერ ამას, ნავთობმოპოვების მეორე ეტაპის დიდ წარმატებებს, ტრესტი მის ახალ მმართველს, შესანიშნავ ორგანიზატორს, რევაზ თევზაძეს უმაღლოდა. მისი სახელი მადნეულის მადნეული საბადოს აღმოჩენასთან იყო დაკავშირებული, სწორედ ამიტომ მიენიჭა მას სოციალისტური შრომის გმირობა. მერე კი უკვე, დიდი ქართული ნავთობის აღმოჩენის პიონერიც გახდა. ასეთ კაცზე იტყვიან ხოლმე, ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებულიო.

ნავთობის ძებნა საქართველოში

გასული საუკუნის ოციან წლებში დაიწყო. ორგანიზებულ და ფართო მასშტაბიან სამუშაოებს მოგახსენებთ, თორემ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მცირე სიღრმის, ერთეული ჭაბურღლილები, ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში იბურღლებოდა და ნავთობის მოპოვებასაც ეწეოდნენ. ნავთობის სამრეწველო მოპოვება კი 1930 წლიდან იწყება — იმ დროიდან, როცა აღმოჩინეს და ექსპლოატაციაში შეიყვანეს მირზანის საბადო. სწორედ მაშინ, კახეთის ნავთობის საბადოების დაზვერვისა და ექსპლოატაციის მიზნით, შეიქმნა ტრესტი „საქანავთობი“ და დაიწყო გეგმიური გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების წარმოება. 1937 წლიდან ის ნავთობის სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში შევიდა. 1930-დან 1973-ამდე მოპოვებით სამუშაოთა პირველი ეტაპია, ამ ეტაპზე მთელი რიგი მცირე საბადოების აღმოჩენა მოხდა, რომელიც ნავთობის მცირე მოპოვებით ხასიათდებოდა. **ნავთობის მოპოვების ყველაზე მაღალი წლიური დონე 57,5 ათასი ტონა, სამამულო ომის დროს, 1941-1943 წლებშია მიღწეული, შესაბამისად — 57532, 56108 და 57477 ტნელინადში.** დანარჩენი წლების განმავლობაში კი მოპოვება 20-40 ათასი ტონის ფარგლებში მერყეობდა. იმ უკანასკნელ წლებში, საექსპლოატაციო ფონდს არ გადასცემია არც ერთი მაღალ დებიტიანი ჭაბურღლილი. ექსპლოატაციაში არსებულ ჭაბურღლილებში კი, ნავთობმოპოვების გაზრდის მიზნით ჩატურებული, ფენზე ზემოქმედების უახლოესი მეორე ეტაპს უნდა მიუბრუნდეთ. ყველაფერ ამას, ნავთობმოპოვების მეორე ეტაპის დიდ წარმატებებს, ტრესტი მის ახალ მმართველს, შესანიშნავ ორგანიზატორს, რევაზ თევზაძეს უმაღლოდა. მისი სახელი მადნეულის მადნეული საბადოს აღმოჩენასთან იყო დაკავშირებული, სწორედ ამიტომ მიენიჭა მას სოციალისტური შრომის გმირობა. მერე კი უკვე, დიდი ქართული ნავთობის აღმოჩენის პიონერიც გახდა. ასეთ კაცზე იტყვიან ხოლმე, ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებულიო.



ალის გეოლოგიური სტრუქტურა არაჩვეულებრივად რთულია და უბრალოდ არც მას სურდა, თავის საიდუმლოებათა გახსნა.

ნავთობმომგების ახალი, მიზანელობაი ეტაპი

1974 წლიდან, ნავთობის მოპოვების ახალი მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება და იწყება სწორედ იმ № 7-ით, რომელმაც საწყისი დაუდო ჯერ მაღალ დებიტიანი სამგორი-პატარძეულის, მერე 1976 წელს თელეთისა და 1978 წელს სამგორის სამხრეთი თაღის საბადოების აღმოჩენას. ამ აღმოჩენებმა, მძლავრი ბიძგი მისცა, ნავთობის მრეწველობის განვითარებას საქართველოში.

ეს ეტაპი მაღალი წლიური მოპოვებითაც ხასიათდებოდა. უკვე 1977 წელს ნავთობის მოპოვებამ 1,75 მილიონი ტონა შეადგინა რაც ლამის 80-ჯერ აღემატებოდა 1973 წლის მოპოვებას და 0,432 მილიონი ტონით მეტი იყო 1930-1973 წლების ჯამურ მოპოვებაზე. 1978 და 1979 წლებში, შესაბამისად, 2,456 და 2,785 მილიონი ტონა მოპოვეს. მაქსიმალურ დონეს მოპოვებამ 1980-1983 წლებში მიაღწია, როცა წლიური შესაბამისად, 3,186, 3,322, 3,330 და 3,299 მილიონი ტონა ნავთობი მოიპოვებოდა. მაგრამ 1984 წლიდან ნავთობის მოპოვების საქმეში მკვეთრი დაცემა დაიწყო. 1984 წელს მოპოვებულია 1,118, 1985 წელს 0,551 მილიონი ტონა. ამის შემდეგ ეს მოპოვება 0,1 მილიონი ტონის ფარგლებში ტრიალებდა. განუხრელი უკანსვლა გრძელდება.

რა განაპირობა უკანსვლა?

სანგრძლივი დროის განმავლობაში სტაბილური მოპოვების მისაღწევად აუცილებელია მოპოვების წლიურ დონეს, მინიმუმ, 20-22 ჯერ აღემატებოდეს A+B+C1 კატეგორიის ნავთობისა და გაზის დაინებულ მარაგებსა და დამუშავებაში ახალი მარაგების პერიოდული შეყვანა, მოპოვების მოცულობათა შესავსებად. ე. ი. წლიური მოპოვების

3,3 მილიონი ტ-ის სტაბილურ დონეზე შენარჩუნებისათვის მატებაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ 66-73 მილიონი ტ დაძიებული ამოსაღები მარაგი უნდა გვქონოდა. 1981 წლისათვის კი საქართველოში მხოლოდ 37 მილიონი ტ ამოსაღები მარაგი ირიცხებოდა, რაც მხოლოდ 1,8-1,9 მილიონი ტონის მოპოვების საშუალებას იძლეოდა. ამიტომაც მოპოვების ასეთ დონემდე გაზრდას უნდა მივეყვანეთ და მიგვიყვანა კიდეც მოპოვების კანონზომიერ და სწრაფ ვარდნამდე.

1974 წლიდან მოყოლებული ნავთობის მოპოვება საქართველოში ძირითადად სამგორი-პატარძეულის საბადოზე მოპოვებული ნავთობით განისაზღვრებოდა და 1975-1984 წლებში ნავთობის საერთო მოპოვებამ უკვე 22,4 მილიონი ტონა შეადგინა.

სამგორი-პატარძეულის, თელეთის, სამხრეთი თაღის საბადოები, შეაერცენური ასაკის უულკანგენურ-დანალექ წარმონაქმნებთანაა დაკავშირებული. საბადოები მასიური, წყალწყვითი რეჟიმიანი იყო. მათი კოლექტორები რთულ ნაპრალოვან-ფორმოვან ტიპს მიეკუთვნება, უპირატესად ნაპრალური ფორმიანობით. მისი დამახასიათებელი თავისებურებაა ვერტიკალური ნაპრალები, რომლებიც დამაკავშირებელი ჰიდროდანამიური არხების მოვალეობას ასრულებენ და შეაერცენური ნალექების მთელ შრენარს ერთ მთლიან რეზირვუარად აერთიანებენ. ასეთი კოლექტორები სხვა ტიპებთან შედარებით ნაკლებად შესწავლილია. ისინი თავისი აღნაგობით, სხვა კოლექტორებთან შედარებით, გაცილებით უფრო რთულია. სწორედ ამან განაპირობა, ნავთობის მოპოვებაში დაშვებული პირველი შეცდომებიც.

ყოველივე ამის შესახებ დაწვრილებით არ მოგიყევით, ვიტყვი მხოლოდ, რომ ჭაბურლილების ნაზი, სათუთი ბუნება, რომელიც ვერანაირ ზედმეტ ნიუანსებს ვერ უძლებს, ცოცხალ არსებასავით მგრძნობიარეა და მოვლა-გაფრთხილება სჭირდება. გასული საუკუნის 90-იან წლებში კი სამგორის საბადოდან ნავთობის დატაცებამ, ოღონდაც

თავიანთი ცისტერნები სწრაფად გაევსოთ, მხედრიონელები მთელ ლულაზე ხსნიდნენ ჭაბურლილებს, მაშინ, როცა მომპოვებლები მეათედი ატმოსფეროს წნევასაც კი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ყველა ხერხით ცდილობდნენ წნევის დაცემა არ დაუშვათ. ასეთმა მტრულმა დამოკიდებულებამ მკვეთრად დასცა წნევები და ჭაბურლილები უცებ მოგუდა და, ბუნებრივია, საბოლოოდ დაანგრია კიდეც ნავთობმოპოვების საქმე.

სწორედ იმ დროს გაჩერდა ყველა სამუშაო, გაიძარცვა ნავთობის ქებნა-ძიებისათვის გამიზნული ყველა ჭაბურლილი და იძულებულები შეიქნენ, ზოგ შემთხვევაში, ბურღვის დასაწყებად გამზადებული, დამონტაჟებული ახალი საბურღლი დანადგარები მუშაობის დაუწყებლად ჩამოეწრათ, რაკე სხვადასხვა საძიებო უპარზე უპატრონოდ მიტოვებული (თუმცა დარაჯებიც რომ ყოფილიყვნენ, ავტომატიან მხედრიონელებთან რას გახდებოდნენ!) კოშკები წააქციეს და ჯართად გაყიდეს. გაიყიდა დატაცებული საბურღლი და საცავი მილებიც, დანადგარებიც... ყველაფერი რის ფულად ქცევაც შეიძლებოდა. ეს უდიდესი დანაშაული იყო.

არნაკლებ საეჭვო ნაბიჯია იმ ჭაბურღლილების უცხოელი ინვესტორებისათვის გადაცემაც. ისინი ახალი მეთოდებით მეტის მოპოვებას შეძლებენ, რაც სულაც არ გამართლდა (თუ ზოგიერთ უმნიშვნელო შედეგებს არ ჩავთვლით).

მერე მოვიდა ახალი ხელისუფლება, რომელმაც ყველაფერი, რის გაყიდვაც მხედრიონმა ვერ მოასწრო, გაყიდა, დახურა „საქანავთობი“, რომელმაც 1930 წლიდან აუარებელ ქატებილებს გაუძლო და ბევრი რამაც გააკეთა ქართული ნავთობნარმოების საქმისათვის. გამოაცხადეს საქართველოში ნავთობი არ არისო.

ასეთმა დასკვნამ მხოლოდ მწარელიმილი შეიძლება მოჰვაროს ამ საქმეში გათვითცნობიერებულ ადამიანს, რადგან დღესდღეობით ბევრი, ჯერ კიდევ აღმოუჩენელი ქართული ნავთობის საბადო თავის მკვლევარს ელის.

დასასრული შეადეგ ნომერი



კოცეპტაციის შარვაშიძე

ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი უკავიათ აფხაზეთის სამთავრო საგვარეულოს — შარვაშიძების (ჩაჩბების) წარმომადგენლებს, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ კონსტანტინე გიორგის ძე შარვაშიძე. კონსტანტინე შარვაშიძე იყო აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის — მიხეილის (ჰამუდ-ბეის) უმცროსი ძმა და ცნობილი აფხაზი მხატვრის — ალექსანდრე შარვაშიძის მამა. თვით კონსტანტინე საყურადღებო ფიგურა XIX საუკუნის პირველი წარვრის აფხაზეთის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ისტორიაში.

კონსტანტინე შარვაშიძე არის პირველი აფხაზი მოღვაწე, რომელიც პეტერბურგის პაჟთა კორპუსში სწავლის პერიოდში (1827-1831 წ.). გაეცნო დეკაბრისტების იდეებს, მონინავე რუსულ და ევროპულ კულტურას, დაუახლოვდა პეტერბურგში მცხოვრებ და იქ მოსწავლე მონინავე ქართველთანამომებს, იმ ახალგაზრდობას, რომელიც ვერ ურიგდებოდა თვითმპყრობელობის რეჟიმს და ჩუმად ამზადებდა გრანდიოზულ შეთქმულებას საქართველოში მეფის მთავრობის კოლონიური პოლიტიკისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ.

როგორც ცნობილია, თბილისის 1832 წლის შეთქმულებას საფუძველი პეტერბურგში ჩაეყარა. იქ გაეცნენ საქართველოს მონინავე შვილები დეკაბრისტების იდეებს. მათ თვალშინი მოხდა სენატის მოედანზე რუსეთის საუკეთესო შვილთა გამოსვლა. აქ გაეცნო ქართველი ახალგაზრდობა მონინავე იდეებს, აქ დაინახა მან ტირანისა და უსამართლობის წინააღმდეგ ამბოხებული ადამიანები. ეს ცეკვლის ნაპერნკალი ახალახალ კერებს აჩენდა იმ ერების ცხოვრებაში, რომლებიც იჩაგრებოდნენ თვითმპყრობელობის უღელქვეშ.

ამიტომ შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ 1832 წლის შეთქმულების სათავეში იდგა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღზრდილი, დეკაბრისტთა გამოსვლების უშუალო მოწმე სოლომონ

დოდაშვილი, ცნობილი ფილოსოფისი და პედაგოგი, უურნალისტი და ლიტერატურის ისტორიკოსი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პირველი გამოშვების (1827 წ.) კურსდამთავრებული.

პეტერბურგში მცხოვრებმა და მოსწავლე ქართველმა ახალგაზრდობამ, საერთოდ კი კავკასიელმა ახალგაზრდობამ, დაინახა, თუ როგორ ვაჟაცურად ენირებოდნენ თავისუფლებისათვის ბრძოლას რუსეთის საუკეთესო, განსწავლული შვილები, თუ როგორ აღმართა მეფემ სახრჩობელები, გაავსო ცივი და მაშინ მიუსაფარი ციმბირი კატორლამისჯილი პატიოსანი და კეთილშობილი ადამიანებით.

გასული საუკუნის 20-იანი წლების ქართველმა მონინავე ახალგაზრდობამ კარგად განვითარდა ის გულისტეკივილიც, რომელიც პოლონეთის ხალხს ამოძრავებდა 1830 წლის აჯანყებაში, მიმართულს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მართალია, ეს გამოსვლაც მარცხით დამთავრდა, მაგრამ მას გულგატეხილობა როდი მოჰყოლია. პირიქით, ყოველივე ამან დააჩქარა 1832 წლის შეთქმულების ორგანიზაციის პროცესი საქართველოში.

როგორც დღეს სამართლიანად არის მითითებული ქართულ ისტორიოგრაფიაში, 1832 წლის შეთქმულება და მომდევნო წლები, ვიდრე 1860-იანი წლების დასაწყისამდე, არის პირველი ეტაპი ქართველი ხალხის ეროვნულ-გა-

მათავისუფლებელი მოძრაობისა XIX საუკუნეში.

1832 წლის შეთქმულება ეპოქა-ლური მოვლენა იყო ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზროვნების ისტორიაში XIX საუკუნის პირველ წახევარში. მასთან უშუალო კავშირშია ქართული მნერლობა, მხატვრული და ფილოსოფიური აზროვნება, უურნალისტიკა, პოლიტიკური ორიენტაციის საკითხიც. ვინ იყვნენ ამ შეთქმულების მონაწილეები? — საქართველოს საუკეთესო შვილები, ერის მონინავე წარმომადგენლები, კერძოდ: სოლომონ დოდაშვილი, ალექსანდრე ობელიანი, ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი — მთელი პლეადა ძველი და ახალი თაობის ადამიანებისა.

შეთქმულების ხელმძღვანელი ბირთვს სამი პიროვნება წარმოადგენდა: ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ორბელიანი, განთქმული ფილოსოფისი და პედაგოგი სოლომონ დოდაშვილი და საზოგადო მოღვაწე ელიზბარ ერისთავი.

შეთქმულება ატარებდა გრანდიოზულ ხასიათს. მასში მონაწილეობას იღებდნენ როგორც საქართველოს საუკეთესო შვილები, ასევე იმ ხალხების წარმომადგენლებიც, რომლებიც საუკუნეების მანძილზე დაკავშირებული იყვნენ საქართველოსთან, ქართველ ხალხთან, მასთან ერთად იზია-

რებდნენ საერთო მწუხარებასა და სიხარულს, ჭირსა და ლხინს. მაგალითად, აფხაზები და აზერბაიჯანელები.

ჩვენთვის საყურადღებოა ის გარემოება, რომ უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრებული ამ თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო და აქტიური წარმომადგენელი იყო აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის — მიხეილ (ჰამუთბეგი) შარვაშიძის ლვიძლი ძმა, ასაკით უმცროსი, კონსტანტინე გიორგის ძე შარვაშიძე.

როდესაც მეფის მთავრობამ 1832 წლის შეთქმულება გამოკამუდავნა და დაიწყო გამოძიება, შეთქმულების ერთ-ერთმა მონაწილემ, ცნობილმა ქართველმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ ვახტანგ ორბელიანმა ასეთი ჩვენება მისცა:

„თავადი შარვაშიძე პეტერბურგიდან რომ დაბრუნდა, განაახლა ჩემთან მეგობრობა, რომელიც ჩვენ უნინაც გვეონდა პაჟთა კორპუსში.

ჩვენ ერთიმეორეს ხშირად ვნახულობდით. ერთ დილას მივედი მასთან და იგი ოჯახში მარტო დამხვდა. ჯერ სხვადასხვა საგნებზე ვილაპარაკეთ, შემდეგ მან მითხრა: როგორ არა გრცხვინან, რომ მე რამეს მიმალავ: მე ვიცი, რომ არიან აქ ზოგიერთი ახალგაზრდები, რომლებიც საქართველოს განთავისუფლებასა ცდილობენ. მე ჯერ არ მინდოდა გამოვტეხოდი მას, მაგრამ, დავინახე რა, თავისუფლებაზე დიდი გატაცებით ლაპარაკობდა,

გავუმშელავნე. მას სამდურავი მითხრა, რომ აქამდე მის წინაშე ამას ვმალავდი. რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ ჩამოგვივარდა სიტყვა თავისუფლებაზე. იცით უარა, მითხრა თავადმა შარვაშიძემ, რომ მე თქვენ განზრახულობას დიდი სარგებლობა შემიძლია მოვუტანო.

მე შემიძლიან მთელი აფხაზეთი ავაჯანყო; ხოლო როდესაც მე ვეითხე, შეუძლია თუ არა მას აჯანყების დაწყების დროს თბილისში რამდენიმე აფხაზი გამოგზავნოს, მან მიპასუხა, რომ ადვილად შეუძლიან 3000 კაცის გამოგზავნა. თავად შარვაშიძეს ჩვენს განზრახვაზე ელაპარაკა ჩემი ძმა ალექსანდრე და მგონია ელიზბარ ერისთავიც“.

შეგნებულად მოტანილი ამ ვრცელი ამონაანერიდან აშკარად ჩანს, რომ ცნობილი ქართველი პოეტი, ერეკლე მეორის შვილიშვილი — ვახტანგ ორბელიანი და კონსტანტინე შარვაშიძე პაჟთა კორპუსში მერხის მეგობრები ყოფილან. ისინი დაახლოებით ერთი ასაკისანი იყვნენ. ვახტანგი დაიბადა 1812 წელს, ხოლო კონსტანტინე — 1813 წელს. ისინი ერთდროულად სწავლობდნენ პეტერბურგის სამხედრო სასანავლებელში. ამასთან, ისიც ირკვევა, რომ კონსტანტინე ახლო ურთიერთობაში ყოფილა, აგრეთვე, ვახტანგის უფროს ძმასთან, ცნობილ მწერალთან და საზოგადო მოღვაწესთან — ალექსანდრე ორბელიანთან. როგორც ვიცით, ალექსანდრე ორბელიანი იყო შეთქმულე-

ბის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ კონსტანტინე შარვაშიძე ბრმად არ მისულა შეთქმულებასთან, არამედ სრულიად შეგნებულად, იცოდა რა მისი არსი, რომ იგი მონოდებული იყო საქართველოს განათავისუფლებისათვის. ეს იდეა მასაც აწუხებდა. არც უშუალოდ მისი სამშობლო აფხაზეთი იყო ამ მხრივ უკეთეს მდგომარეობაში. ერთი სიტყვით, ისიც „იმავე ნესტარით იყო ნაჩხვლეტი“, როგორითაც თანამოძმევი ვ. ორბელიანი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კონსტანტინე უკვე ზიარებული იყო იმ ეპოქის მონინავე იდეებს, მოძმე ქართველი ხალხის პროგრესულ მოღვაწეთა სულისკვეთებას. იგი ამ დიდი, გამათავისუფლებელი ცეცხლის დანთებას თავის მამულშიც ცდილობდა.

ვ. ორბელიანის ცნობაში კიდევ ერთი გარემოებაა ხაზგასასვამი. ეს ის არის, რომ ახალგაზრდა კონსტანტინე უშუალოდ იცნობდა შეთქმულთა სამი ხელმძღვანელიდან ორს: ალ. ორბელიანსა და ელ. ერისთავს და მათთან განდობილი იყო.

1832 წლის შეთქმულების ცნობილი მკვლევარი პროფ. გ. გოზალიშვილი წერს:

„შეთქმულების მეტად თვალსაჩინო წევრი, ხელმძღვანელი სამეულის განუყოფელი მონაწილე იყო ალექსანდრე ორბელიანი, რომლის ირგვლივაც თავს იყრიდა შეთქმულების ყველა ძაფი.

სოლომონ დოდაშვილი და ელიზბარ ერისთავი უამისოდ არაფერს გადაწყვეტდნენ“.

მაშასადამე, კონსტანტინე შარვაშიძე უშუალოდ ყოფილა დაკავშირებული შეთქმულების ხელმძღვანელ ბირთვთან — ალექსანდრე ორბელიანთან და ელიზბარ ერისთავთან. ეს კი ბევრისმეტყველია. ჩანს, შეთქმულები მასზე გარკვეულ იმდებს ამყარებდნენ.

შეთქმულების სხვა მონაწილეებმაც მიუთიოთ თავიანთ ჩვენებაში, რომ კონსტანტინე შარვაშიძე ამ ორგანიზაციის წევრი იყო. მაგალითად, შეთქმულმა ზაალ ავთანდილიშვილმა თავის ჩვენების ერთ-ერთი თვალსაჩინო ნარმალგანელია.

კონსტანტინე გიორგის ძე შარვაშიძე (ჩაჩქა)
გვევლინება პირველ აფხაზ მოღვაწეები
XIX საუკუნეში, რომელიც გვერდით დაუდგა
ქართველ თანამორდევების ეროვნული
უსამართლობის ნინებალების გრძელების გადაწყვეტების დავინახე რა, თავისუფლებაზე დიდი გატაცებით ლაპარაკობდა,
იგი საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებალები მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნარმალგანელია



ბაში აღნიშნა, რომ შეთქმულების შესახებ იცოდნენ დავით დადიანმა (შემდეგ სამეგრელოს მთავარმა) და კონსტანტინე შარვაშიძემ. მისი ჩვენებით, გ. ერისთავმა გა-აცნო შეთქმულების ამბავი დავით დადიანს, რომელიც შეთქმულებას იწონებდა და თვითონაც მზად იყო, მონაწილეობა მიეღო ჩვენს განზრახვაშიო.

შეთქმულების გამოაშკარავების შემდეგ ბევრი მონაწილის ბე-დი დამოკიდებული იყო ელ. ერის-თავის ჩვენებაზე. ისიც ნაცადი აღმოჩნდა ამ საქმეში და მრავალი ამხანაგი იხსნა მძიმე სასჯელის-გან. გამოიძიების დროს დასმულ კითხვებზე იგი უარყოფით პასუ-ხებს იძლეოდა დაპატიმრებულ შეთქმულთა სასარგებლოდ.

გამოიძიებამ ელ. ერისთავს სა-განგებო კითხვა დაუსვა კონსტ. შარვაშიძის მისამართით:

„გილაპარაკნიათ თუ არა თქვ-ენს შეთქმულებაზე ნიუეგორო-დის დრაგუნთა პოლკის პრაპორ-შჩიკ თავად შარვაშიძესთან, რო-დის და სად, ვისი თანდასწრებით და რა პასუხი მიგილიათ მისგან; რა საშუალებას შეგპირდათ იგი აჯანყების შემთხვევაში. განმარ-ტეთ ყველაფერი დაწვრილებით“.

ელიზბარმა ამ კითხვაზე მოკ-ლედ, ლაკონურად უპასუხა და ამ-ით კონსტ. შარვაშიძე იხსნა მძიმე სასჯელისგან, შეთქმულთა არეა-ლისგან გამოთიშა აფხაზეთი, რაც, რასაკვირველია, ბევრს ნიშ-ნავდა შეთქმულების მონაწილე-თათვის სასჯელის მისჯის დროს.

ელ. ერისთავმა ასეთი ჩვენება მისცა:

„ნიუეგეროდის დრაგუნთა პო-ლკის პრაპორშჩიკ თავად შარვა-შიძესთან არასოდეს მქონია საუ-ბარი ჩვენს განზრახულებაზე“.

შეთქმულების ერთ-ერთი მთა-ვარი ხელმძღვანელის ასეთმა კა-ტეგორიულმა განცხადებამ, ფაქ-ტობრივად, იხსნა კონსტანტინე შარვაშიძე მკაცრი ბრალდების-გან და ამიტომ იგი ჩარიცხეს დამ-ნაშავეთა მერვე კატეგორიაში.

როგორც ცნობილია, შეთქმუ-ლების მონაწილები დანაშაულის სიმძიმის მიხედვით დაყვეს ათ

ჯგუფად. მერვე ჯგუფში შედი-ოდნენ ის პირნი, რომლებიც ეჭვ-მიტანილი იყვნენ შეთქმულების არსებობის ცოდნაში ან ითვლე-ბოდნენ თანამოაზრებად.

მართალია, მერვე ჯგუფის დამ-ნაშავები არ დაუპატიმრებიათ, მაგრამ მათზე დააწესეს გაძლიე-რებული საიდუმლო მეთვალყუ-რეობა. რაც შეეხება კონსტანტი-ნე შარვაშიძეს, მეფის მთავრობამ, მართალია, ის ცხო შეთქმულთა თანამოზიარედ და ამიტომაც მე-რვე ჯგუფში ჩარიცხა, მაგრამ შე-მოზღუდა მისი დანაშაული, სცა-და, იგი შედარებით „სუფთად“ გა-მოსულიყო ამ მდგომარეობიდან, რადგან თვითმეცყრობელობას ხელს არ აძლევდა შეთქმულების როგორც დიდი მასშტაბი, ისე მას-ში აფხაზეთის მთავრის ძმის, სა-ერთოდ აფხაზეთის შვილების, მონაწილეობა. ამ საკითხთან და-კავშირებით ბატონ როზენი 1832 წლის 2 ოქტომბერს ჩერნიშევს სწრედა:

„Лица сего разряда (ე.ი. მერვე — ო.ქ.) подвергаются лишь сильному подозрению в знании умысла, либо в единомыслии с оным. По сему полагаю достойным иметь их под секретным наблюдением, исключая Нижегородского драгунского полка прaporщика Шервашидзе (აქ სქო-ლიოში არის მითითებული, რომ ეს შარვაშიძე არის ძმა აფხაზეთის მთავარ მიხეილისა — რედ.) которого, по приписываемой ему неблагонадежности и по привязанности к нему, известного строптивостью, родного дяди его кн. Хасанбека Шервашидзе, полезнее было бы перевести на службу в Россию, определив ему во внимание матери его, благонамеренной княгини Тамары Шервашидзе, на содержание, сверх жалования, ежегодно по 1 500 р. а.с., с тем, чтобы без сношения с здешним главным начальством не позволять ему возвращаться в Кавказский край“.

მეფის მთავრობის მოხელეები თვალმიქცობდნენ. მათ ჩინებულად იცოდნენ შეთქმულების მი-მართ კონსტანტინე შარვაშიძის დამოკიდებულება, მისი კავშირი

შეთქმულთა მთავარ წარმომად-გენლებთან, აფხაზითავადის და-პირება, მაგრამ, როგორც დავი-ნახეთ, იგი დააჯერეს კავკასიი-დან გასახლებას და დედის — თა-მარ დადიანი-შარვაშიძის პატი-ვისცემისთვის (!) დამატებით 1.500 მანეთი პენსია დაუნიშნეს ყოველწლიურად. საოცარია! რო-დის მომხდარა, დამნაშავეს ან ეჭ-ვიტანილს დანაშაულისთვის ასაჩუქრებდნენ, თუ, რასაკვირ-ველია, ამას უფრო დიდი მიზანი არ ჰქონდა.

სინამდვილეში საქმის ვითარე-ბა ასეთი იყო: ბარონმა როზენმა, კავკასიის მმართველობამ და თვითმეცყრობა ჩინებულად იცოდნენ, თუ რაშიც იყო საქმე. მათთვის საიდუმლოს არ წარმო-ადგენდა ის გარემოება, რომ შარვაშიძე შეთქმულების აქტიუ-რი წევრი იყო. მათ არც ვ. ორბე-ლიანის ჩვენებაში ეპარებოდათ ეჭვი, მაგრამ არსებობდა მეორე, უფრო რთული მიზეზი, ვიდრე აფხაზეთის მთავრის ძმის დასჯა იყო.

ამ პერიოდისათვის თვით აფხა-ზეთში არ იყო საქმე მთლად დანყობილად. ზემომოტანილ სა-ბუთში შემთხვევით არ არის მოხ-სენებული კონსტანტინეს ალალი ბიძა პასან-ბეი შარვაშიძე, რომე-ლიც უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა თანამემამულეთა შორის. როგორც ცნობილია, 1822 წელს, აფხაზეთის მთავრის — დი-მიტრი გიორგის ძმის უეცარი გარ-დაცვალების შემდეგ დაიწყო სას-ტიკი დევნა იმ პირებისა, რომლე-ბიც აფხაზეთში რუსეთის მმართ-ველობის დაკვიდრების წინააღ-მდეგი იყვნენ. ასეთთა შორის, პირველ რიგში, აღმოჩნდა პასან-ბეი, რომელიც 5 წლით გადაასახ-ლეს შორეულ ციმბირში, როგორც არასაიმდო პიროვნება და „რუ-სეთის აქარა მონინააღმდეგება“.

პასან-ბეი გადასახლებიდან და-ბრუნდა 1828 წელს. მას მისცეს მაიორის ჩინი და დაუნიშნეს საკ-მაოდ დიდი პენსია, მაგრამ ბო-ლომდე (გარდაიცვალა 1827 წელს) ითვლებოდა არასაიმედო პიროვნებად, თურქეთის ორიენ-

ტაციის ფეოდალად და მასზე ყოველთვის ფარული მეთვალყურეობა იყო დაწესებული. ამას ისიც ემატება, რომ მიხეილის, აფხაზეთის მთავრის, მეორე ძმა ალექსანდრე განუდგა მთავარს და სანინააღმდეგო ბანაკი შექმნა აფხაზეთში, განაცხადა დიდი პრეტრენიები მთავრის ტახტისადმი. ამის გამო ბარონ როზენი 1834 წელს სპეციალურად სწრაფა აფხაზეთის მთავარს — მიხეილს, მოეთოვა თავისი ძმა და მისთვის აფხაზთა წინაშე ფიციის სიტყვა ჩამოერთვა, რომ ხელმეორედ არ ჩაიდგნდა ასეთ საქციელს, უკიდურეს შემთხვევაში, სასტიკი ზომების მიღებით ემუქრებოდნენ მიხეილს.

ახლა ამ არეულობას ისიც დაერთო, რომ მიხეილის მეორე ძმა შეთქმულების მონაწილე აღმოჩნდა. რასაკვირველია, ამ ფაქტის გახმაურება მეფის მთავრობისათვის არ იყო სასურველი. ამიტომ **ნიჟაროლოდის დრაგუნთა პოლკის პრაპორჩიკი კონსტანტინე შარვაშიძის უმაღლესი ბრძანებით უსრაუროდ მოაზორეს კავკასიას, გადაიყვანეს ვითებერგის პუსართა პოლკში. აგასთან, საქართველოს უმაღლესი ხელმძღვანელობის ნებართვის გარეშე, მას უფლება არ ჰქონდა, კავკასიაში დაგრუნებულიყო.** ადგილობრივ მთავრობას იმის შიშიც ჰქონდა, რომ მათ მიერ სასჯელმისჯილი გავლენიანი პირებისთვის იმპერატორს „ნაცნობობისა და კეთილგანწყობილების“ საფუძველზე დანამატლი არ ეპატიებინა და ერთგული მოხელეები უხერხულ მდგომარეობაში არ აღმოჩნდილიყნენ. ამიტომ კავკასიელი მოხელეები, რომლებსაც შეთქმულების გამოძიება ჰქონდათ მინდობილი, თავსაცი იზღვევდნენ, მაგალითისათვის ალ. ჭავჭავაძე კმარა.

ალ. ჭავჭავაძე შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო. როდესაც გამოძიება დაიწყო, ზოგიერთმა შეთქმულმა უარი თქვა ალ. ჭავჭავაძის მონაწილეობაზე შეთქმულთა საქმიანობაში. ადგი-

ლობრივმა მთავრობამ ჩინებულად იცოდა ალ. ჭავჭავაძის როლის შესახებ ამ საქმეში, მაგრამ ამავე დროს კიდევაც ეშინოდა: ჩვენრომ დავსაჯოთ, მეფე გაათავისულებსო. ამიტომ იყო, რომ როზენი 1833 წლის 2 აგვისტოს ჩერნიშვის სწრაფა: „Участь ген.-м. кн. Чавчавадзе предаю благоусмотрению Е.И. В., но оставление его вовсе без наказания, судя по явному запирательству его, подает повод осуждать правительство в напрасном его содержании под арестом, во избежание чего полагаю полезнейшим сослать его на срочное жительство в Астрахань, или даже передать суду, а потом, воуважение прежней отличной службы, окказать ему Монаршее милосердие“.

გამართლდა წინასწარმეტყველება როზენისა. ალ. ჭავჭავაძე 1834 წელს მიიღო იმპერატორმა, დიდი პატივი სცა და „სიცილით შეუნდო ყოველივე“. ამის გამოგაოგნებული როზენი 1834 წლის 30 აგვისტოს ჩერნიშვის შემდეგს ატყობინებდა:

„Разнеслись здесь слухи, что генерал сей (ალ. ჭავჭავაძე — ო.ქ.) принят был Е.И. В. с отличною благосклонностью, приглашен был к императорскому столу и даже Г.И. просил его позабыть все прошедшее“.

ეს გარემოება მოხდენილად გამოყენებიათ პროგრესულად მოაზროვნე და შეთქმულებისადმი კეთილგანწყობილ ოფიცრებს სხვა შეთქმულთა დასახმარებლად. ამასთან დაკავშირებით იმავე წერილში ბარონი როზენი მიუთითებს:

„Последствием сего было то, что не только грузины, но и руские начали говорить, будто кн. Шервашидзе невинным образом был удален отсюда и что по окончании своих дел в с. Петербурге прибудет в Тифлис“.

ამჟამად ჩვენთვის არა აქვს იმას მნიშვნელობა, თუ შემდგომ როგორ წარიმართა კონსტანტინე შარვაშიძის ცხოვრება. თუმცა აქვე ისიც უნდა ალინიშნოს, რომ ბედის უკულმა ტრიალის გამო რო-

გორც კონსტანტინეს, ისე მის ძმებსა და ახლო ნათესავებს ხშირად უხდებოდათ მშობლიური მინა-წყლის მიტოვება და უცხობაში მძიმები პირობებში, მნუხარებაში ცხოვრება, ხოლო შემდეგ, როდესაც აფხაზეთის სამთავრო გაუქმდა, შარვაშიძეთა მთელი ოჯახი რუსეთში გადაასახლეს. ამიტომ არის, რომ ცნობილი აფხაზი მხატვარი ალექსანდრე შარვაშიძე, ღვიძლი შვილი კონსტანტინესი, დაბადებულია არა თავის მინაწყლზე, მშობლიურ აფხაზეთში, არამედ ფეოდოსიაში, ყირიმში. ამ სახელოვან მამულიშვილს ბედმა ისიც არ არგუნა, რომ სამშობლოს მინას მიბარებოდა. იგი გარდაიცვალა 1968 წელს ნიცაში, 101 წლის ასაკში და იქვეა დაკრძალული.

კონსტანტინე შარვაშიძის შემდგომი ცხოვრება დეტალებში ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ აფხაზი ხალხის ღვიძლი გასული საუკუნის 20-30-იან წლებში გვერდში ამოუდგა ქართველი ხალხის საუკეთესო ნარმომადგენლებს ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში და მათთან ერთად გაიზიარა ისტორიის მძიმე ტვირთიცა და მნარე ხვედრიც-მართალია, 1832 წლის შეთქმულება მარცხით დამთავრდა, ისე როგორც რუსი და რუსეთის იმპერიაში შემავალი ჩაგრული ხალხების სხვა გამოსვლები გასულ საუკუნეში, მაგრამ ამ მნარე გაკვეთილზე იზრდებოდნენ თაობები, რომლებმაც შემდგომ კიდევაც იხსნეს ხალხები სოციალური და ეროვნული ჩაგვრის მძიმე ულისება.

ამრიგად, **კონსტანტინე გიორგის ძე შარვაშიძი (ჩაჩჩა) გველინება აირველ აფხაზ მოღვაწედ XIX საუკუნეში, რომელიც გვერდით დაუდგა ძართველ თანამომავალებს ეროვნული უსამართლობის ნინააღმდეგ პრეზიდენტი. იგი საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნარი და მართვისა და მომომადგრენია.**

ოთარ ჭურლული

კირველი ქართული ცარმოდგანა აზხაზეთში

ქართულ თეატრალურ კულტურას აფხაზეთში მდიდარი ტრადიციები აქვთ. ვიდრე სოხუმში ქართული პროფესიული თეატრი ჩამოყალიბდებოდა (1928 წ.) მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან აფხაზეთის ქალაქებსა და დაბებში: სოხუმში, ოჩამჩირეში, გუდაუთაში, ოქუმში ქართულ და რუსულ ენებზე იმართებოდა სცენისმოყვარეთა ლიტერატურული სალამოები და თეატრალური წარმოდგენები. იმ შავბრძელ დროს აფხაზეთის მოსახლეობისთვის ლიტერატურული სალამოები და წარმოდგენები იყო თითქმის ერთადერთი სულიერი საზრდო, ეროვნული კულტურის გამოვლინების ყველაზე რეალური საშუალება.



ამ სცენისმოყვარეთა ღონისძიებებში მონაწილეობდნენ ქართველები, აფხაზები, რუსები, ნაწილობრივ — სომხები და ბერძნები. ამ ხალხების საუკეთესო შვილები ერთმანეთს მხარში ედგნენ და საერთო საქმეს — აფხაზეთის მშრომელი მოსახლეობის გათვითცნობიერებისა და განათლების, მისი კულტურის დონის ამაღლების საქმეს ემსახურებოდნენ.

ლიტერატურულ სალამოებსა და თეატრალურ წარმოდგენებს სხვა მიზანიც ჰქონდა იმდროინდელი ცნობილი საზოგადო მოღვანის ანთ. ჯულელის სიტყვით, „წარმოდგენების ერთ-ერთი დანიშნულება ისიც იყო, რომ გამოეჩინა მამულის ნამდვილი სიყვარული“ („დროება“, №424, 1874).

ამასთან, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სცენისმოყვარეთა წარმოდგენები სხვადასხვა ეროვნების ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას ემსახურებოდა. სოხუმელ სცენისმოყვარეთა დასში ძმურად იყვნენ გაერთიანებული ქართველები, აფხაზები, რუსები, სომხები, ბერძნები.

მაშინდელი ქართული პრესა („დროება“, „ივერია“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“, „მოამბე“) ფართოდ ეხმაურებოდა ამ ეროვნულ წარმონაბას, აშუქებდა სცენისმოყვარეთა წარმოდგენებს, მკითხველს აცნობდა ენთუზიასტ „მსახიობთა“ ვინაობას, განიხილავდა მათ ხელოვნებას, მიუთი-

თებდა იმ პიროვნებათა კეთილშობილურ საქმიანობაზე, რომლებიც მატერიალურად და მორალურად მხარს უჭერდნენ ამ კეთილშობილურ საქმეს.

წარმოდგენებიდან მიღებული შემოსავლის უმეტესი ნაწილი, როგორც წესი, ხმარდებოდა ამათუ იმ საზოგადოებრივ ღონისძიებას: სკოლის გახსნას, ღარიბი სტუდენტებისთვის სტიპენდიის დაარსებას, რაიმე კულტურული ღონისძიების ჩატარებას და სხვ.

გასული საუკუნის პრესაში ჩვენ გვხვდება გვარები და სახელები იმ პირებისა, რომლებიც დიდი შრომითა და რუდუნებით ქმნიდნენ სპექტაკლებს.

როდესაც საკითხი წინაპართა მიერ გაკეთებულ საქმეს ეხება, როგორც ი. ჭავჭავაძე მიუთითებდა, დიდ-პატარაობა სახსენებელი არ არის, ამ დროს ყველას უნდა მიეზღოს დამსახურების მიხედვით.

გასული საუკუნის დასასრულის ქართულ პრესაში სოხუმელ, ოჩამჩირელ, გუდაუთელ და ოქუმელ სცენისმოყვარეთა დასების მთელი შემადგენლობაა დასახელებული.

ასე მაგალითად, სოხუმიდან: გაიანე, აღათი, ტერეზა და ალექსანდრა შარვაშიძეები, მაკრინე თურქია, ანასტასია კინმარიშვილი, ბარბარე ხრამელაშვილი, ანდრია ჯაფარიძე, იას. ხახუტაშვილი, თედო სახოკია, მელქისედეკ ხოსიაშვილი, მაში ქავთარაძე, ვ. ურდანია, ი. გელაშვილი, ვლ. თოფურიძე,

ანთ. ჯულელი, ალექსანდრე გაბუნია, ს. ფრანგულიანი, გ. ნასიძე, ივანე მიქაძე, მიხეილ გვაზავა, ი. ბუკია, ოლგა ჩივაძე, დ. ლოლობერიძე, ო. მარგველაშვილი, სვიმონ კლდიაშვილი, გრიგოლ დადიანი, ანასტასია წერეთელი, პეტრე ჩაჩავა, სოზონტი კობახიძე, ა. ქარცივაძე, თეო გაბუნია, ი. ბურჯულაძე, თ. გელოვანი, მ. გვალია, რაუდენ ქუთათელაძე, დ. თავზარაშვილი, ვასილ ადამია, ს. სიჭინავა, დები მიმინოშვილები, გ. ფარცვანია, იასონ გეგელაშვილი, მაჭავარიანი, კოზმავა, ჩხეიძე, ნესტორ კალანდაძე.

ოჩამჩირები: ანა და მაში თურქები, კოტე და ვლადიმერ აბაშიძეები, ტ. და გ. ზუხბაიები, ნ. ლადარიძე, გ. კაჭარავა, ნიკო მდივანი, პ. ზაიცევი, ის. ცხაკაია, პ. ჭეიშვილი, კონდრატე გვასალია, მ. და ა. ჩაჩავები, მ. და ს. კერესელიშვილები, ე. ტკეციშვილი, ქ. მახარაძე, ვ. ურდანია, ი. გელაშვილი, ვლ. თოფურიძე.

გუდაუთიდან: ნიკო და ელენე ჯანაშვილები, გიორგი ლომთათიძე, ოლღა და ბესარიონ ჩიქოვანები, ივანე ბეთანიშვილი, თეოფილე გოგიტიძე, გიორგი თოფურიძე, დიმიტრი ნადარეიშვილი, სიმონ საბაშვილი, ს. ნოდია, კ. ლოლუა, ეკატერინე უდანოვიჩი, ვასილჩენკო, ი. ბუკია.

ოქუმიდან: ივანე და თეკლე გეგიები, ანეტა ჩხერიელი და სხვა დასახელებულ პირთა წანილი

პრესაშიც თანამშრომლობდა.

სცენისმოყვარებს შეუძლის
მინიმალური პირობებიც კი არ გა-
აჩნდათ. სად იყო თეატრის შენო-
ბა ან წესიერი კლუბი, რომ საღა-
მოები და ნარმოდგენები მოემზა-
დებინათ და გაემართათ ამ სა-
კითხთან დაკავშირებით სოხუმე-
ლი მოქალაქე, სცენისმოყვარე და
„ივერიის“ თანამშრომელი ნეს-
ტორ კალანდაძე, პრესაში „კო-
ლოს“ ფსევდონიმით მოღვაწე, გუ-
ლისტების აღნიშვნა:

„ჩვენში სცენისმოყვარულთ
არავინ არ შველის არასფერში,
არა ჰყავთ რეჟისორი და არც
სცენარიუსი, ხშირად არა აქვთ
სახლი, სადაც შესაძლებელია რე-
პეტიციების გამართვა, თვითონ-
ვე ჰყიდვის ბილეთებს, დგებიან
კარებში, უჩვენებენ ხალხის ალ-
აგს, შოულობენ რეკვიზიტს და
ხშირად სკამებსაც კი. ამ მიზეზე-
ბის გამო სცენისმოყვარულთა
ნარმოდგენის დღეს იმდენი საქ-
მე ატყდებათ თავს, რომ მთელი
დღე აქეთ-იქეთ დარბიან უსმელ-
უჭმელნი და, რასაცვირველია,
ძალზე დაქანცულები გამოდიან
სცენაზე, მაგრამ მაინც ხალხის
საყვედურს არ იმსახურებენ, დი-
დი მადლიერი რჩება საზოგადო-
ება“ („ივერია“, №86, 1903).

აი ასეთი ფანატიკური სიყვარულისა და დაუღალავი ჯაფის შედეგად იქმნებოდა პირველი ქართული წარმოდგენები სოხუმში.

ოფიციალურად ცნობილი და
აღიარებულია, რომ აფხაზეთში
მე-19 საუკუნეში სცენისმოვარე-
თა პირველი ქართული თეატრა-
ლური წარმოდგენა ნაწესები იქ-

ნა 1889 წლის 9 აპრილს სოხუმში.
ამ აზრის მომხრეები ეყრდნობიან
1889 წლის №82 (21.IV) „ივერიაში“
გამოქვეყნებულ შემდეგ ინფორ-
მაციას:

„ქ. სოხუმი. აქაური ახალგაზრ-დების მეთაურობით გამართულ იქნა ქართული წარმოდგენა, ითა-მაშეს ფრანგულიდან გადმოკეთებული 1 მოქმედებიანი ვოლფილი „მშვიცები“. მშვენიერი იყო ბ-ნი ფრ-ნი (ს. ფრანგულიანი) მშეირი დანტესის როლში. ბ-ნი ფრ-ნს არა ერთხელ მიუღია მონაწილეობა სხვაგან წარმოდგენებში და იქაც, როგორც დახელოვნებულმა მო-თამაშემ, თავისი როლი საინტერე-სოდ შეასრულა. მოიკოჭლებდა როლის ცოდნაში ბ-ნი აფ-ხე, მაგ-რამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი სცენაზე პირველად გამოდის, იმდენს ვერ მოვსთხოვთ, იმედია მერმისისათვის უფრო გაიჩნავის და გვასიამოვნებს. წარმოდგენის მეთაურთ ძალიან დიდი შეცდომა მოუვიდათ, რომ სათამაშოდ ასე-თი უშინაარსო პიესა აირჩიეს, მაგ-რამ იმედია კვლავ მაინც თავის შეცდომას გაასწორებენ.

ქართველი საზოგადოებაც გვა-
რიანად დაესწრო...

ამ მოკლე ხანს კიდევ აპირებენ
ნარმოდეგნას, უნდა ითამაშონ ბ-ნ
ილ. ჭავჭავაძის „დედა და შვილი“.
როგორც თ. სახოკია მიუთით-
ებს, ნარმოდეგნა დაუდგამთ ანთ.
ჯულელის თაოსნობით. ამ ღონის-
ძიებას აღფრთოვანება გამოუწ-
ვევია ქართველ მოსახლეობაში.
მართალია, სცენისმოყვარულო
დიდი დაბრკოლების გადალახვა
დასჭირვებიათ, მაგრამ ამით ის

კეთილი აზრი დარხეულა ხალხში, რომ „შესაძლებელი ყოფილა ქართულად „თეატრის“ გაკეთება“ (თ. სახოკია), „ძველი სოხუმი“, მოგნებები, ხელნაწერი ინახება თედო სახოკიას ოჯახში).

თ. სახოკია დიდ ეროვნულ მნიშვნელობას ანიჭებდა დრამატული წრის მიერ გამართულ წარმოდგენებს და, კერძოდ, სოხუმელთა ამ პირველ ქართულ წარმოდგენას. ამის შესახებ „მოგონებებში“ აღთვალისაწილებო წერტილი:


ამ წარმოდგენით სოხუმელმა მოქალაქეებმა „იგრძნეს ერთგვა- რი და მაკავშირებელი, შემაერთე- ბელი, ერთ ოჯახად გადამტკცევი ძალა, იგრძნეს ჩვენც რაღაცა და ვილა(კა ვყოფილებართ“.

აქამდე ეს იყო აღიარებული პი-
რველ ქართულ სპექტაკლად აფ-
საზეთში. სინამდვილეში კი ირკვ-
ევა, აფხაზეთში პირველი ქართუ-
ლი წარმოდგენა უჩვენებიათ
1885 წელს ოჩამჩირეში. 1885
წლის „დროებაში“ (№ 12) მოთავ-
სებულია ასეთი შინაარსის ინფო-
რმაცია.

„დაბა ოჩამჩირეში ამას წინათ
ორჯერ გაუმართავთ ქართული
ნარმოდგენა აქაური სკოლის სა-
სარგებლობა“.

სამწუხაროდ, არ ვიცით, თუ ვინ
იყო ამ წარმოდგენის ორგანიზა-
ტორი, რა პიესა დადგეს და ვინ
თამაშობდა როლებს. მომდევნო
წლებშიც ოჩამჩირეში ადგილობ-
რივი მოქალაქეების ძალებით
თითქმის სისტემატურად იმარ-
თებოდა ქართულ-რუსული წარ-
მოდგენები. ამას გარდა, ჩამოყა-
ლიბდა მოხალისეთა თეატრალუ-
რი დასი, რომელიც სხვადასხვა
ეროვნების სცენისმოყვარეებს
აერთიანებდა.

ამრიგად, შეიძლება დაბეჯითე-
ბით ვთქვათ, რომ სცენისმოყვა-
რეთა პირველი ქართული წარმო-
დგენა აფხაზეთში გაიმართა 1885
წელს და არა 1889 წელს, როგორც
აქამდე იყო ცნობილი. სწორედ ეს
თარიღი უნდა დაედვას საფუძვ-
ლად ქართულ სცენისმოყვარეთა
თეატრის შექმნის ისტორიას
აფხაზეთში.





აჭარა რეგიონის პატიონის კარიბები

(XVI საუკუნის 70-იანი ცლაბი-XIX საუკუნის 70-იანი ცლაბი)

(დასასრული. დასაწყისი იხ. „ისტორიული მემკვიდრეობა“ №7)

„აჭარის არც ერთი კუთხი არ გამუსლიმანებულა თავისი ნებით.

ამას ადასტურებენ ისტორიული საბუთები და იმ დროის მომსწრენი“, — სათანადო გამოკვლევებსა და დოკუმენტებზე დაყრდნობით სამართლიანად აღნიშნავს ისტორიკოსი ხ. ახვლედიანი.

მეტად საინტერესოა სოფ. ორცვის მცხოვრების, აბდულ მიქელაძის, ნაამბობი აჭარელთა ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლისზე და ქრისტიანული სარწმუნოების შენარჩუნებისთვის. იგი აღნიშნავს: „აჭარელნი... ოსმალოს ასი ნელინადი ებრძოდნენ ქვეყნის დაჭერის დროს, მერე სჯულის გამოცვლის გამო ჰქონდათ ჩხუბი, ხოცვა, ულეტა, წყვეტა და სისხლის ლვრა. ყოფილა ისეთი დრო, რომ ესენი ოსმალოს სისხლს დალევდნენ ომის დროს, ნამეტურ მაჭახლელნი. ამათ მოაბეზრეს ასმალნი; იგინი ვერას ანყობდნენ. ამ საუკუნეში აჭარლებმა კინალამ გარეკეს აქედან, ომი ასტეხეს და ოსმალოს ბევრი ჯარისკაციც მოუკლეს. ოსმალმა დიდის ტანჯვით და შრომით გაამაჰმადიანა აჭარელნი, მაგრამ სრულიად მაინც ვერ მოიმხრო თვისკენ, ამათში ქართული ენა ვერ მოსპო, მცირედაც ვერაფერიანო“ (ზ.ჭიჭინაძე, ქართველების გამაჰმადიანება, ანუ ქართველთ გათათოება, თბ. 1915 წ. გვ. 36). ზაქარია ჭიჭინაძე გადმოგვცემს ერთ-ერთი შავშეთელის ნაამბობს, შავშეთელების ოსმალოებისადმი შიშის და მათი მოკლე პერიოდში გამაჰმადიანების გამო. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ შავშეთიდან ბევრი მათგანი აჭარაში გაქცეულა, რადგანაც

გამაჰმადიანება არ სდომებიათ, აჭარაში კი ქრისტიანობას მედგრად იცავდნენ. აჭარაში ყველაზე დიდხანს სხალთის ხეობის (ხულოს რაიონი) მოსახლეობას შემოუნახავს ქრისტეს რჯული. ზაქარია ჭიჭინაძეს ჩაუწერია სხალთას ნაამბობი უსუფ ბოლქვაძის მიერ, რომელიც გადმოგვცემს:

„ამ ხეობაზე (სხალთის ხეობა. — ა. დ.) ქართველებს დიდი ხანი შეუნახავთ თავი, მაგრამ ბოლოს მაინც ბრძოლა მოხეზრებიათ და გამაჰმადიანებულან. რამდენიმე სოფელს კი საიდუმლოდ დიდხანს გაუმაგრებიათავი“. მისივე გადმოცემით, „გაუმაჰმადიანებელი დარჩა სოფ. ყინჩაური, რომელიც სხალთის ხეობაზე და მდებარეობს. ყინჩაურელებმა დიდხანს იმაგრეს თავი, ამისი მიზეზი იყო სოფ. ყინჩაურის მღვდელი, რომელიც მეტად მწიგნობარი ყოფილა, მქადაგებელი და ქრისტიანობის მოყვარე. ეს მღვდელი ამაგრებდა თავის ხალხს. ეს მღვდელი წინამდლორობდა მათ.

ოსმალოს უქემათს უუბნებოდა: — ჩვენ დაგვაყენეთ ჩვენს რჯულზე და ჩვენ არაფერს დაგიშავებთ, თქვენი ერთგული ქვეშევრდომნი ვიქენებით.

სამართალი ამის ნებას აძლევდა, რადგან ის მღვდელი მეტად მოხერხებული კაცი ყოფილა, მასთან, კერპი და თათრების მოძულება.

საყურადღებოა მშობლიური საქართველოს დიდი მოტრფიალის, ქედის ხოჯის — ახმედ ხალიფაშვილის ნაამბობი ქრისტიანობის გადარჩენისთვის აჭარელთა თავგანწირვასა და სისხლის ლვრასთან დაკავშირებით. იგი გადმოგვცემს: „ძველად ხოჯა ხერხეუ-

ლიძე ასე იტყოდა, რომ ნებით არც ერთი მხარეა გამაჰმადიანებული, სადაც კი გამაჰმადიანებულან, ყველგან ძალით მომხდარა. ზეგნელების აჭარლები არანაკლებ უტანჯიათ. ნახევარი ზეგანი ფოცხოვისა და ქვაბლიანისკენ გაწყდა ბრძოლაში, რადგანაც არ თათრდებოდნენო, დანდალომ ზეგანს მიჰპაძა და მიტომ გაწყდნენ ესენიც ბრძოლაშიო. დანდალოს აჭარამ მიჰპაძა და აჭარაშიც დიდი სისხლი დაიღვარა. ხოჯა ხერხეულიძეს კარგად ახსოვდა ის დრო, როცა აჭარაში ხალხი ქრისტიანობდაო“.

მამა-პაპათა ქრისტიანული რჯულის გადასარჩენად ყველაზე დიდი ბრძოლა სოფელ დანდალოს მცხოვრებთ (ქედის რაიონი) გაუმართავთ, რომელშიც აქტიურობით დედაკაცები გამოირჩეოდნენ; საამისოდ მეტად მნიშვნელოვანია თვით სოფელ დანდალოს მცხოვრებ ავალიანის ნაამბობი: „აჭარაში გათათოების გამო დიდი ბრძოლა დანდალოს ხალხმაც გამოიარა. ... მთელი დანდალო მკაცრად დადგა ოსმალოს წინააღმდეგ სჯულის გამოცვლის გამო, თვით დედაკაცებმაც კი აიღეს ხმალ-ხანჯალი ხელში და გამოვიდნენ საბრძოლველად. ამათ გარდასაწყვიტეს, რომ ან მამა-პაპის რჯულზე უნდა დავრჩეთ და ან უნდა გავწყდეთო, ჩვენი გათათოება არ შეიძლებაო. ამათ დაიწყეს ბრძოლა, საკვირველი საქმე დამართეს ოსმალთ, ოსმალნი ათასობით დახოცეს, მაგრამ ბოლოს მაინც ოსმალნი მოერივნენ... რადგან ამათ დიდი ზარალი მისცეს ოსმალთ, დიდალი ხალხი დაუხოცეს, ამის გამო მოსპეს ოსმალთ ესენი და, ვინც დარჩა, ისინიც ოსმალში გარეკეს. მთელი დანდალო ცარიელი

დარჩა“ (ზ. ჭიჭინაძე, ქართველების გამაპმადიანება, გვ. 86).

სარწმუნოებისათვის თავდადებულ ქალთა რიცხვი გაცილებით დიდი იყო დაბალი სოციალური წრიდან. მაგრამ, სამწუხაროდ, ისტორიას მათი სახელები არ შემოუნახავს. ქრისტიანობის დაკარგვის შიშით, სოფელ მარადიდში ერთ დამეს ტყეში, ეკლესიის გვერდით, ექვს დედაკაცს ხანჯლით მოუკლავს თავი, ორს თოკით ჩამოუხერჩვია, სამს თავი მოუნამდავს (პროფ. შ. ფუტკარაძე).

სოფელ მერიის მცხოვრებლებმაც, რომლებიც ჭოროხის მდინარესთან მიიყვანეს გასამაპმადიანებლად, უარი უთხრეს ოსმალებს ქრისტეს რჯულის დათმობაზე. მაშინ ოსმალთ უბრძანებიათ, ადიდებულ მდინარეში შესულიყვნენ და, ვინც გადარჩებოდა, აღარ გამაპმადიანებდნენ. მართლაც, იქ ყოფილი მერისლებმა ადიდებულ ჭოროხს მისცეს თავი, ჭოროხი ამ დროს დიდი ყოფილა და ყველა ეს საბრალოები შიგ დამხრჩალან და ერთიც არ გასულა გაღმა.

აჭარის მოსახლეობის მიერ ქრისტიანობის შენარჩუნების თაობაზე საყურადღებო ცნობებია გადმოცემული ჩაქვისთაველ (ქობულეთის რაიონი) ჯიჯავაძის ნაამბობში. იგი ამბობს: „აჭარაში გათათრების საქმე ერთობ გაძნელებულა. ზოგიერთ მოხუცებული კაცები და ნამეტურ დედაკაცები ქრისტიანობაზე მაგრა იდგნენ.“

...მალე აჭარის მოხუცებულნი შეუკრებიათ და საფრიხანაში დაუმწყდევიათ, საპატიმროში ხოჯები მიუგზავნიათ და ხოჯებს ლოცვები დაუწყიათ. ზოგიერთი მოხუცებული მიუზიდნიათ და ზოგი კი ვერა. ვინც ვერ მოაქციეს, ესენი აჭარისწყლის შესართავთან მიურეკიათ, სადაც ძველად თამარ მეფის ხიდი ყოფილა. აქდადეს თავსაკვეთი და უთხრეს მათ:

— მოხუც ბერო კაცნო, რაზედ იფუჭებთ თავს, მოდით გონს, ინამეთ წმინდა მუპამედი და ისლამი.

...მოხუცებულებმა ინამეს მაპმადიანობა, მაგრამ ბარე სამისთ-



ცვ. ბარბარეს ეკლესია ბათუმში

ვის, რომლებმაც არ იწამეს მაპმადიანობა, მოუკრიათ თავი. ეს ამბები მომხდარა ამ ორასი წლის წინათ. ერთ დღეს კი ქედაში 50 კაცი და დედაკაცი დაუსჯიათ ქრისტიანობის გამო (ზ. ჭიჭინაძე, ქართველების გამაპმადიანება).

1726 წელს აჭარაში ოსმალოებს უნამებიათ ქართველი ქრისტიანები. ბევრი მათგანი დაუსჯიათ სიკვდილით. საქართველოს კათალიკოს პატრიარქის, ილია მეორეს 1985 წლის 24 ივნისის ბრძანებაში კვითულობთ: „1726 წელს თურქეთის მიერ წამებული ქართველი აღიარებულ იქნენ წმინდანად. მათი ხსენება ზეიმით აღინიშნოს საქართველოს ეკლესიის მიერ ყოველ წელიწადს ივნისის პირველ კვირას (ახალი სტილით).“

ოსმალეთის მიერ აჭარის დაპყრობის შემდეგ აჭარლებმა საკმაოდ დიდხანს შეინარჩუნეს ქრისტიანობა. მე-18 საუკუნის შუა წლებამდე აჭარაში ქრისტიანობა ბატონობდა, თუმცა საბოლოოდ იგი მაინც მაპმადიანურმა სარწმუნოებამ შეცვალა. 1920 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსტეტის ლექტორი, ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე თახსიმ ხიმშიაშვილი წერდა: „თურქები აქ (აჭარაში. — ა. დ.) ქრისტიანობის ნაცვლად მუსლიმანობას ნერგავდნენ და ცივილიზაციის ნაცვლად მეჩეთის კულტურა დაამკვიდრეს, რითაც იქაური ქართველები სარწმუნოებით გათიშეს თანამემამულებისგან, დააშორეს ისინი ერთმანეთს“.

ოსმალებმა მის მიერ დაპყრობილ აჭარაში სასტიკი და გაუსაძლისი რეჟიმი დამყარეს. მათ სასულიერო ხელისუფლებასთან სპეციალური სექტა შექმნეს, რომელთა მთავარი მიზანი იყო, ქართველ მაპმადიანებისთვის შეეძულებინათ სიტყვა ქართველი და საქართველო, ქრისტიანი ქართველები (ზ. ჭიჭინაძე, ქართველ მაპმადიანთა ცხოვრება, თბ. 1916 წ. გვ. 80) და ძალ-ღონეს არ იშურებდნენ ამ ავაზაკური მიზნის მისაღწევად.

ქრისტიანული საზოგადოების მაღალად კლვლება და შემონახვა

ჩვენ ვლოცულობდით ეკლესიის ნანგრევებში ძველი ჩვეულებისამებრ, ვიცემდით, რომ ჩვენი მამა-პაპანი ერთ დროს ძრის ძრის ნამდინარები იყვნენ. (ქედელი დიასამიძის ნაამბობიდან).

მე-18 საუკუნის შუახანებიდან მე-19 საუკუნის დამდეგისთვის ძირითადად დასრულდა აჭარაში მაპმადიანური სარწმუნოების გავრცელება, რომელიც ოსმალოდ დაპყრობლებმა აქაურ მცხოვრებლებს იძულებით მიაღებინეს. როგორც ფრანგი მოგზაური უან შარდენი, რომელმაც 1672 წელს იმოგზაურა ჭოროხ-აჭარისწყლის ხეობით თბილისისკენ, წერდა, „აჭარაში ეკლესიები და ციხეები ბევრი იყო, მაგრამ ოსმალებმა დაანგრიუს“.



ოსმალები ჩვენი ხალხის გამაჰმადიანების შემდეგ ქართული კულტურის კვალისაცა არ ტოვებდნენ. სპობდნენ მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებს, წვავდნენ წიგნებს და სხვ. (ხ. ახვლედინი). იმისათვის, რომ აჭარელთა შეგნებიდან აღმოვთხვრათ ქრისტიანობის ნაშთები, ოსმალებმა დოკუმენტური წყაროები და ისტორიული ძეგლებიც გაანადგურეს (ჯ. წოლაიდელი).

აღნიშნულის მიუხედავად, მაჰმადიანობის დროსაც, როგორც ნური ბერიძის ნაამბობიდან ვებულობთ, „ესენი (აჭარლები, — ა.დ.) თურმე არ სტოვებდნენ ქრისტიანულს წესებს და ყოველს საქრისტიანო დღესასწაულებსაც იხდიდნენ. მაგალითად, აღდგომას დებავდნენ წითელ კვერცხებს და წაიღებდნენ ხოლმე სხალთის ეკლესიაზედ და შესწირავდნენ, ხულოს ეკლესიის ნაგრევებთან, აგარისა და სხვა მხარის ეკლესიებთან. ეს ჩვეულება ხულოს ხეობაში დღევანდლამდე არის დაშთენილი და აქ დედაკაცები დღესაც დებავენ კვერცხებს და აღდგომას დღეს ზოგიერთი ეკლესიის ნაგრევებთან მიიტანენ“ (ზ. ჭიჭინაძე, ქართველების გამაჰმადიანება, 1915 წ. გვ. 81). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ზ. ჭიჭინაძე აჭარაში მოგზაურობდა 1891 წლიდან, ხოლო მისი წიგნი „ქართველთა გამაჰმადიანება“ გამოცემულია 1915 წლისთვის, ნური ბერიძის ნაამბობი მეტად მნიშვნელოვან ფაქტებს გვამცნობს აჭარელთა მიერ ქრისტიანობის შემონახვის თაობაზე.

საყურადღებოა სოფ. აჭყვისთაველი 110 წლის ქამუარაძის ნაამბობი, რომელიც აღნიშნავს, რომ „ოსმალების აქ (ქობულეთ-აჭარაში. — ა. დ.) დაბინავების შემდეგ ჩვენებურები აქ არ დგებოდნენ, ნახევარი ჩაქვა და ქობულეთი გურიაში გადასახლდა, სახლ-კარს ოხრად ტოვებდნენ და მიდიოდნენ გურიელებისკენ, რადგანაც გამაჰმადიანების ეშინოდათ“. ამასთან, ქამუარაძე დასძენს: „თუმცა გავმაჰმადიანდით, მაგრამ ეკლესიებს და ხატებს პატივს ვცემდით, ბევრი

ჩვენებური ეკლესიებშიც დაირებოდნენ სალოცავად“.

როგორც ცნობილია, ოსმალთა მფლობელობის ერიოდში, 1873 წელს აჭარაში იმოგზაურა ცნობილმა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ, რომელმაც ქედაში ლამე დიასამიძის აჯახში გაათია. დიასამიძეს მისთვის უთქვამს:

„ჩვენ ვლოცულობდით ეკლესიის ნაგრევებში ძველი ჩვეულებრისამებრ, ვიცოდით, რომ ჩვენი მამა-პაპანი ერთ დროს ქრისტიანები იყვნენ და რომ ჩვენ თვითონ მოდგმით გურჯები ვართ... ძველი ქრისტიანული ჩვეულებიდან ზოგი რამ დღემდე შემორჩენილია, მაგალითად, კვერცხის შეღებვა სააღდგომოდ (დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, 1987 წ. გვ. 49).“

გიორგი ყაზბეგი, რომელმაც გრიგოლ გურიელთან ერთად ზემო აჭარაში იმოგზაურა 1874 წელს, ზემო აჭარის ნარსული ცხოვრების საუკეთესო ძეგლად მიიჩნევს სხალთის ეკლესიას, რომელსაც აქაური მცხოვრებლები დიდი პატივისცემით ეპყრობიან და მის სასწაულმოქმედებაზე ბევრს გვიამბობენ.

ზოგ ადგილას გამუსლიმანებული ქართველები ასრულებენ ზოგიერთ ქრისტიანულ წესებს და ჩვეულებას. მაგ. ყურბან ბაირამობას (მუსლიმანთა აღდგომა) ამზადებენ შეღებილ კვერცხებს და მიაქვთ ეკლესიის ნაგრევებში, — წერდა აკად. ე. თაყაიშვილი.

პეტრე უმიკეაშვილი 1877 წლის 9 ივნისის გაზ. „ივერიაში“ წერდა: „აჭარლებს კარგად ახსოვთ, რომ ჩვენი ძმანი არიან, მხოლოდ სარწმუნოებით განვსხვავდებით. ძველი შენობების, ციხეებისა და ეკლესიების პატივისცემა აქვთ და იციან, რომ საქართველოს მეფეების აშენებულია. ზოგიერთს საყდრის პატივისცემა ისეთი აქვთ, რომ ხელის ხლება დიდ ცოდვად მიაჩინიათ და სასწაულებსაც ლაპარაკობენ. ორს ხოჯას სხალთის ეკლესია, უნდოდათ მეჩეთად გადაეციათ, საყდარმა ორივ ჭკუაზე შეშალა და ტყეში მხეცებივით ატარაო“.

ამგვარი ცნობები აქვს ზ. ჭიჭინაძეს თავის წიგნში „მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში“. ანალოგიურად ეშინიათ ლორჯომში ძველად არსებული და შემდგომში დანგრეული ეკლესის ნაგრევებისა (თ. სახოკია).

მეტად საყურადღებო ცნობას გვაწვდის რუსი ისტორიკოს-იურისტი ალექსანდრე ფრენელი, რომელიც 1879 წელს რუსულ ენაზე გამოცემულ წიგნში „ხარკვევები ჩურუქ-სუ-ზე და ბათუმზე“ (ქართული თარგმანი გამოიცა 2012 წელს) წერს: „ქობულეთებმა მითხრეს, რომ მუსლიმანობა რამდენიმე ხნის წინ მიიღეს. ქაქუთის, ნაცხავატევის, აჭის და საერთოდ ქობულეთის ჩრდილო ნაწილის მცხოვრებლებმა, რომლებიც გურიას ესაზღვრებიან, 25-30 წლის წინ მიიღეს საბოლოოდ მუსლიმანობა“.

მაჰმადიანური სარწმუნოების გავრცელების მიუხედავად, ქობულეთში მაინც ადგილი ჰქონია ქრისტიანულად მონათვლის ფაქტებს. გაზეთ „დროების“ კორესპონდენტისთვის — მ. ნიკოლაიშვილისთვის 70 წლის ქობულეთებს 1875 წელს, როცა აჭარა სამაღლეთის ეპყრა, უთქვამს, რომ „მევარ მონათლული ქართველის მღვდელის კალანდარიშვილისათვის ამით და სხვა გარემონებებითაც ჩვენ ვეკუთვნით ქართველობას და არა თათრებსონ“ (გაზ. „დროება“, № 110, 1875 წ.).

ოსმალეთის მთავრობა ქართველ მაჰმადიანებს სულიერად მოკვლას უპირებდა, მაგრამ სანადელს ვერ მიაღწია. ქართულმა სულმა, გენმა და სისხლმა, ნარსულისადმი პატივისცემამ თავისი ქნა. აჭარის მოსახლეობა, რომელიც 1877-1878 წლების რუსეთსამაღლეთის ომის შემდეგ დაუბრუნდა დედასაქართველოს, თანდათან კვლავ დაადგა ქრისტიანული აღმსარებლობის გზას — მრავლად აშენდა ქრისტიანული ტაძრები, ისმის ზარების რეკვა...

ავთაცლილ დიასამიდა, ღოქტორანტი, ისტორიკოსი, ფილოლოგი, იურისტი, შუაქვი-ბათუმი



მეთავზები და თევზის გამყიდვები

„ქართველს უთევზოდ
„პურის ჭამა“ და დროის
ტარება არაფრად მიაჩნდა“
ივანე ჯავახიშვილი

საქართველოს მდინარეებსა და ტბებში ოდითგანვე მრავლად იყო სხვადასხვა ჯიშის თევზი, რამაც გარკვეულწილად განაპირობა კიდეც მრავალგვარი სათევზაო საშუალების არსებობა და მეურნეობის ამ დარგის ძველთაგანვე განვითარება.

ვახუშტი ბატონიშვილი საქართველოს მდინარეების დახასიათებისას აღნიშნავდა: „წყალთა შინა არიან სხვადასხვა გვარნი თევზინი მრავლობით და გემრიელნი საჭმელად, რომელნიც არიან სახელდობრ: ორაგული, ზუთხი, ანტაკია, გოჭა, ჭანარი, ლოქო, კაპოეტი, კარჩხანა, მწერი, კალმახი, ფიჩქული და ანვრილი თევზინი მრავალნი და სხუანიცა“.

ცნობილია, რომ მტკვრის ხეობაში გემრიელი თევზი ყოფილა. თევზის განსაკუთრებული კარგი გემო ეძლეოდა აგვისტოდან მარტამდე. კარგ გემოს კი მას თურმენილი სიწმინდე და ქვის ლოკვა აძლევდა.

სხვადასხვა ჯიშის თევზის სხვა-

დასხვა დროს და მრავალგვარი ხერხით იქტერდნენ. სათევზაოდ გამოიყენებოდა: კონი, ფაცერი, ოჩი, კოკოჩა, გოდორი, ჩანგალი (ანკესი), ბადე, ნავტიკი (მოსახვევი ბადე), ტოტის გადაწყვეტა, მონამლვა, დალეშქვა, ჩაჩულვა, დაკირვა, ხელაობა, ყინულში თევზის ჭერა და სხვ.

ქალაქში მეთევზები ძირითადად ნავტიკით თევზაობდნენ. აქტიურად გამოიყენებოდა ნავტიკის, ანუ სახვეტი ბადე. მოსახვეტი, ანუ საშრობი ბადე დაახლოებით 20 მეტრი სივრდისა და 1 მეტრი სიმაღლის იქსოვებოდა. ასეთი ბადე და ნავტიკი არა მარტო თბილისში, არამედ მტკვრის ხეობაში ყველგან გამოიყენებოდა. ნავტიკის ბადეს სასროლი ბადისგან განსხვავებით ორმაგად ქსოვდნენ მსხვილი ძაფით. ამ ბადეზე ტყვიასაც მსხვილს და დიდი რაოდენობით, დაახლოებით 200-300 ცალს ასხამდნენ. ბადის ზედა ნაწილს, წყალში რომ არ ჩაძირულიყო, მიბმული ჰქონდა ფირფიტებიც.

ნავტიკი შეკრული იყო ფიცრებისგან ოთხუთხად, რომელზეც ამოკრული იყო ოთხი გაძერილი ტიკი — ორი სამფუთიანი, ორი ოთხფუთიანი. ოთხფუთიანი ტიკებისკენ აპამდნენ ბადის ერთ მხარეს, მეორე მხარე კი ნაპირზე ორ კაცს ეჭირა, ასე



გაშლილ ბადეს ნაპირზე მდგომი მეთევზები წყლის მიმართულებით, თავქვე მისდევდნენ. ბადე ნავტიკის მოძრაობის მიმართულებით ხვეტდა თევზს, რომელიც იმავე დროს ნავზე იყრებოდა.

არსებობდა მეორე სახის ბადეც, ე. წ. **დიდბადე**, რომელიც თბილისში ნაკლებად, მაგრამ მტკვრის ხეობაში, ბორჯომის მიდამოებში აქტიურად გამოიყენებოდა.

მტკვრის ხეობაში, განსაკუთრებით თბილისის მიდამოებში გავრცელებული იყო ასევე **ხორხილბადე**. იგი გრძელ ხეზე იყო გაწყობილი. ხეზე მობმული ბადე მაგრდებოდა ჯვარედინ ტოტებზე, მეთევზები მასზე ამაგრებენ პურისა და ხორცის პატარა ნაჭრებს. ასეთი ბადე, ძირითადად, გაზაფხულზე გამოიყენებოდა.

აღმოსავლეთ საქართველოში თევზის ჭერას ფაცრის ჩადგმით ამჯობინებდნენ. სულხან-საბას განმარტებით, ფაცერი თევზის მახეა, რომელიც მდინარეში ამოშენებულ კედელს წარმოადგენს. იგი ყველა მხარეში იყო გავრცელებული.

თევზის საჭერი საშუალება იყო ასევე **ოჩხი**. ესეც, ფაცერის მსგავსად, მდინარეში ჩადგმული ჩაშენებულ ქვის კედელი იყო, რომელიც ზოგიერთ მონაკვეთში 2 მეტრსაც





აღმატებოდა. თბილისელი მეთევზები ნემსკავით, ანუ ანკესითაც თევზაობდნენ. ანკესით თევზაობა ადრე გაზაფხულზე იწყებოდა და შემოდგომამდე გრძელდებოდა. თევზს ჭიაყელითა და წვრილად დაჭრილი ხორცით იტყუებდნენ.

ანკესით წვრილ თევზს (კალმახი, ჭანარი, მურნა და სხვ.) იჭერდნენ, ხოლო ჩანგლით — ლოქოსა და ორაგულს. ჩანგლებს მარგილებზე ამაგრებდნენ და მდინარეში ისე ყრიდნენ. ასეთ ჩანგლებს საღამო ხანს ყრიდნენ და მეორე დილით ამონმებდნენ.



თევზით გაჭრობა

საქართველოში და განსაკუთრებით ქალაქის ყოფაში თევზზე ყოველთვის დიდი მოთხოვნილება იყო. სხვადასხვა დღესასწაულზე, ჭირსა თულხინში თევზს სუფრაზე ყოველთვის გამორჩეული ადგილი ეკავა.

თევზის მოპოვებამ თბილისში თევზით ვაჭრობა განავითარა. ქალაქში თევზი არა მარტო საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, არა მედ მეზობელი ქვეყნებიდანაც შემოჰქონდათ. არსებობდა თევზის

შემოტანასა და მოპოვებაზე გადასახადები.

მდინარე მტკვარზე თევზის ჭერის უფლების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის მე-18 საუკუნის გერმანელი მოგზაური იოპან გიულდენშტედტი. იგი აღნიშნავს, რომ „თბილისელი მეთევზები მტკვარში თევზის უფლებისთვის მეფეს ყოველწლიურად უხდიან ათას სამას ან ათას ოთხას მანეთს, ხოლო ნატურით დაჭრილი თევზის — ერთ მესამედს“.

ახლადაჭრილ თევზს თბილისელი მეთევზები ქუჩებსა და ბაზრებში ხელზე ყიდდნენ, მაგრამ არსებობდა უფრო მონესრიგებული სისტემა და თევზით სავაჭრო სპეციალური ადგილებიც, სადაც მეთევზები, ძირითადად, სწორედ ამ სავაჭრო ადგილების მეპატრონეთა დაკვეთით იჭერდნენ სხვადასხვა სახის თევზეულს.

ძველი თბილისის თევზით მოვაჭრები ბაყალთა ამქარში იყვნენ გაერთიანებულნი. როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან ჩანს, ბაყლებსაც, ქალაქში მოსაქმე სხვა ხელოსნებისა და ვაჭრების მსგავსად, საკუთარი ამქარი, ანუ გაერთიანება ჰქონდათ, რომელსაც სათავეში მეფის მიერ დამტკიცებული უსტაბაში ედგა.

თბილისი და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ქალაქები ზამთარში ოჩხის თევზით მარაგდებოდა, რომელიც ცხენის საპალნით ხრამიდან, იორიდან, არაგვიდან, მტკვრიდან და სხვა მდინარეებიდან შემოჰქონდათ. ჯავახეთში ზამთარში გახსნილი ოჩხიდან ამოყვანილ თევზს იქვე, მდინარის პირას ხარშავდნენ და ისე მოჰქონდათ თბილისში.

გაზაფხულზე ფაცრისა და კონის თევზი შემოდიოდა, ხოლო ზაფხულსა და შემოდგომაზე — ბადითა და ჩანგლით დაჭრილი.

მე-20 საუკუნეში თბილისის ამქრული ორგანიზაციების, მათ შორის ბაყალთა ამქრის, საბოლოოდ მოსპობამ ძველ ქალაქში მეთევზეთა საქმიანობისა და მათი ნავტიკების, ბადეებისა და ნემსკავების გაქრობაც გამოიინვია.

მომზადა დეა სვანიძე



ს

სტეფანე ჯუმბერ პატიაშვილის

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილ პირველ მდივანს — ჯუმბერ პატიაშვილს მცხეთაში ვესტურეთ. უურნალი „ისტორიული მემკვიდრეობა“ იმ ძველი ფოტოებით დაინტერესდა, რომელიც გასული საუკუნის 80-იანი წლების საქართველოს ისტორიას ასახავს, პერიოდს, რომელიც ზოგს სამარცხვინოდ მიაჩნია, ზოგს კი მასზე ნოსტალგია აქვს. მაგრამ რა შეგრძნებაც არ უნდა გქონდეს, ეს ჩვენი ქვეყნის უახლესი წარსულია, როცა იყო აღმასვლაც და დაცემაც, აღმაფრენაც და გულისწყვეტაც...

ის, რაც წარსულია, ამაზე თავად ფოტოები მოგვიყვებიან, მაგრამ, თუ რაზე წყდება გული ბატონ ჯუმბერს, ამდენი წლის შემდეგ თავად გვეტყვის:

— გული ძალიან ბევრ რამეზე მწყდება. თავს არავისზე მაღლა არ ვაყენებ, მაგრამ მე და ჩემმა თანამოაზრებმა იმთავითვე ვერ გავუგეთ იმ პიროვნებებს, რომლებსაც წარმოედგინათ, რომ ეს ქვეყანა ამ გზით გაბედნიერდებოდა. მაშინ ჩვენ მათ ვარწმუნებდით, რომ ძალა, რომელიც მოდიოდა, დამანგრეველი იქნებოდა, მაგრამ ამაში ვერავინ დავარწმუნებ.

გული მწყდება იმაზე, რომ ტერიტორიების 20% დავკარგეთ, ამ ამბავს ზოგი ისე შეეჩია, რომ არც ახსენდება... ტერიტორიების დაკარგვამ ჩვენ ისეთი უარყოფითი შედეგები მოგვიტანა, რომ



ჯუმბერ პატიაშვილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატიარქი ილია II-სთან ერთად

ჯუმბერ პატიაშვილი:

ჩვენ უდეა ვიზიქოთ იმაზე, რაც ჩვენთვის ნაღდია: რჯახი, ტრადიცია, რჯახიშვილობა, პატივისცავა იმ აღამიანებისა, რომელიც გაემოს ეს ქვეყანა



ჯუმრენ პატივის დღის მაულის ესთან, შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად



ვერიპო ანჯელარიძე, ჯუმრენ პატივის დღის და ევგენი პრიმაკოვი



პუმელ აატიაშვილი მაულლესთან — თინათინ ჭიშკარესთან ერთად




ამიერკავკასიის რესაუბლიერის ცენტრალური კომიტეტის პირველი მძღვანელი:
პავლე ბაგიროვი, კარე დემირჩიანი, პუმელ აატიაშვილი



მარგარეტ თერეზი საქართველოში



ჯუმარ პატიაშვილი და ალექსანდრე ჭავჭავაძე, ნორალაქვაძი



პირველი კოსმონავტი ებრ ვალენტინი ტერეშკოვა თბილისში

ჯერ ათვლაც არ გვაქვს დაწყებული. როდესაც ქვეყანაში ასეთი ტრაგედია ხდება და შედეგის შეფასების გარეშე გრძელდება ცხოვრება, ცუდია.

გულდასაწყვეტია, რომ საქართველომ თავისი ნიშა ვერ მოძებნა იმ გარემოში, რომელსაც ჩვენი მეზობელი სამყარო ჰქვია. ამით ჩვენ ის პოტენციალი დავკარგეთ, რომლითაც ქართული საქმე კეთდებოდა. დღეს კი მისი განახლება შეუძლებელია. პოლიტიკურმა თამაშებმა და ინტრიგებმა ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანა. იმ ხელისუფლების მისია, რომელიც 2003 წელს მოვიდა ქვეყნის სათავეში, საკმაოდ მზაკვრული აღმოჩნდა. რაც მან ჩვენს საზოგადოებას აკადრა, ეს დანაშაულია. ვინც იმ ადამიანებს ხელს უწყობდნენ და ეხმარებოდნენ, მიხვდნენ, რომ საშიშ ხალხთან ჰქონდათ საქმე.


რამაც ჩვენი ქვეყანა ლამის დაღუპა, იყო ფარისევლობა, კერპთაყვანისმცემლობა, მლიქვნელობა. ფარისეველი რომ შემოგიჩნდება, ისეთ რამეზე დაგითანხმებს, რაც ყოვლად მიუღებელია; ხოლო კერპთაყვანისმცემელი, რომელიც შენ გაღმერთებს, ისეთ დროს გიღალატებს, როცა არ ელოდები.

საქართველო ისე გადანაცილდა და გაიყიდა, რომ მშომვებლები კაცს არაფერი ერგო. ქონება, რომელიც ათეული ცლები გროვდებოდა, რამდენიმე ადამიანის ხელში მოხვდა და ეს პროცესი დღემდე გრძლდება.

ადამიანი გულწრფელი უნდა იყოს, ყველა მათგანისთვის, ვინც ხელისუფლებაში იყო და არის, სიმართლე ნაქვამი მაქვს. დღეს არსებული მდგომარეობით, მიუხედავად იმისა, რომ ახალი ხელისუფლების იმედი მაქვს, გულდამშვიდებული არ ვარ. ჩემს ნილ პასუხისმგებლობას არ ვიცილებ. ეს არის ჩემი სათქმელიც და საფიქრალიც.

ესაუბრა ეკა ნასყიდაშვილი





ՍՅԱՀՑՐԴԱՎ ՊԾՈՒՅՌԵՐՆ Խ ՍՅԱԾՏԵՐՆ ՊԾՈՒՅՐԵՐՆ